

1134  
2004

# ს რ ი ლ ი

#12 (207)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

დამკვეთი  
ფასი 1.50 ლარი

# 10

## წლის "სრილი"

გილოცავთ  
უმჯობესებულ წელს



# #12, 2004

# არლი

საზოგადოებრივ-ლიბერალური  
ასოციაცია "არლის" გამომავალი

The Literary Magazine ARILI

არლი - დასასვენებელი სიწმინდეა(ნი)  
სულხან-საბა

არლი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი  
ძარღული მისი  
ბანარტაბითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი  
შადიმან შამანაძე

## სარედაქციო საბჭო

მალხაზ ხარბედია

(მორედაქტორის მოადგილე)

რატი ამპლობელი

ია ანთაძე

ირმა არჩუაშვილი

ანდრო ბუაჩიძე

ნოდარ ებრაღიძე

თამაზ ვასაძე

ეთერ ვიბლიანი

ზაზა თვარაძე

ზურაბ კვიციანი

ვახტანგ კომახიძე

ვასილ მაღლაფერიძე

ზვიად რატიანი

ირაკლი სამსონაძე

გულსუნდა სიხარულიძე

სოზარ სუბელიანი

ზაზა ფაჩუაშვილი

ზაზა ქილაძე

ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამაზ ჩხაიძე

ელისო კალმახელიძე

მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: ლესელიძის ძ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ

"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№12, დეკემბერი, 2004

## ნოვბელი 2004

ელფრიდე იელინგკი  
მიღვას იმით (სანოვბელე ლექცია).....1

## პროზა

ზურაბ ლევადა  
ბავშვის ნაქვანი კარალიოქაე ოქტომბრის თვეში.....10

ირმა მაღაციძე  
ძალწული.....22

მაკა მიქელაძე  
სენტიმენტალური მოთხრობა  
კუგოს ფიცრამდე სიყვარულზე.....29

## პოეზია

შოთა იათაშვილი  
ლექსები.....37

## ახალი თარგმანები

დერეკ უოლკოტი  
ლექსები.....42

ჯონ აბდიკი  
ბასეირნება ელიზინთან ერთად.....48

## ანა

ჯორჯ სანტაიანა  
მონანიე ხელოვნება.....59

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა  
და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

# გილგას იმისი

სანოვარე ლეძვი, ნაკითხული  
2004 წლის 7 დეკემბერს



23 წე

აში გამოიხატება წერის ნიჭი, იქნებ ეს სინამდვილესთან ჩახუტება და მასთან სიმტკიცეობაა? სიამოვნებით ჩავეხუტებოდი, მაგრამ მერე რა მომივა? საერთოდ რა მოსდით მათ, სინამდვილეს რომ ნამდვილად არ იცნობენ? ის კი ერთი თმაგანენილი ვინმეა. არ არსებობს სავარცხელი, მისი დავარცხნა რომ მოახერხოს. პოეტები გადი-გამოდინან, სასონარკვეთით ცდილობენ მის დავარცხნას და ვარცხნილობასაც კი უძებნიან, მაგრამ მოსვენებას მომენტალურად კარგავენ და ღამ-ღამობით კომპარები არ ასვენებთ. გარეგნულად რაღაცა ისე ველარ არის. ღამაზად აკრევილი თმა ოცნებების მშობლიური კერიდან შეიძლება კვლავ გამოიდგენოს, თუმცა არც მანამდე იყო იოლად დასამორჩილებელი. ან კვლავ ჩამოიშალის და სახეს ჩადრივით ჩამოეფაროს, ისე რომ, უკან შეკვრა ვერც კი მოასწრო. ან სულაც, ყველაფერი იმის შემედვარე, რაც ირგვლივ ხდება, შეიძლება უნებურად ყალყზეც კი დადგეს. მისი მონესრეიება შეუძლებელია. არ უნდა და იმიტომ, რამდენიც გინდა, იმდენი უსვი ეს ალაგ-ალაგ კბილებჩამტვრეული სავარცხელი - არ უნდა და მორჩა. არა, რაღაცა მართლა ვერ

არის. ნაწერი, რომელიც მომხდარს აღწერს, თითებშუა დროსავით გისხლტება და არა მარტო იმ დროსავით, რომლის განმავლობაშიც ეს ინერებოდა და ცხოვრება ჩერდებოდა. ვერაინ იტყვის, რომ რაიმეს მოცდა, თუკი არ უცხოვრია. ვერც ცოცხალი იტყვის და ვერც მოკლული დრო, მკვდარი ხომ მით უმეტეს ვერ იტყვის. როგორც კი რაიმე დაინერება, ეს დრო მაშინვე შეიჭრება ხოლმე სხვა პოეტთა ნაწარმოებებში. დროა და ამიტომაც ერთდროულად ყველაფერი შეუძლია: საკუთარ ნამუშევარშიცაა და სხვებსაც სტუმრობს, მათ აწვნილ ქორებსაც დაერევა ხოლმე უეცრად ამოვარდნილი ქარივით, რომელიც სინამდვილის წიაღში ჩაისახა და მასავით ცინცხალია, თუმცა ზოგჯერ შეიძლება მუხთალიც იყოს. ვინც თავს ერთხელ მაინც წამოსწევს, მერე უცბადვე უკან აღარ დახრის. გამძვინვარებული ქარი უბერავს და ყველაფერს გლეჯს. აქეთ-იქით ატრიალებს, მაგრამ არასდროს უკან, ამ სინამდვილეში არ აბრუნებს, რომელიც უნდა აღწერილიყო. ყველგან მიაქვს, მარტო იქ არა. სინამდვილე არის ის, რომელიც თმას გინწუნავს, კაბის კალთის ქვეშ გიძვრება და სწორედ ამ დროს სხვაგან გარბის, ხელიდან გისხლტება. როგორ უნდა გაიცნოს პოეტმა სინამდვილე, როცა ის მასში შედის და მერე მოუხეტლებელი ხდება, სულ გვერდზე გაურბის. გარედან კი, ერთის მხრივ, სინამდვილე უკეთესი დასანახია, მაგრამ მეორეს მხრივ, შეიძლება ნამდვილ გზას აცდე. პოეტის ადგილი იქ არაა. მისი ადგილი ყოველთვის სინამდვილის მიღმაა. რასაც გარედან გადმოიძახებს, მხოლოდ იმას თუ მიიღებს ხალხი, თან მხოლოდ იმიტომ, რომ ირავზროვნად ამბობს. არსებობს მხოლოდ ორი საჭირო და სწორი რამ, რომლებიც გვაფრთხილებენ, რომ არაფერი არ ხდება, ორ მიმართულებას გვიჩვენებენ, იმ ძირისძირობამდე ჩადიან, რომელიც სავარცხლის მთავარი მოსადები კბილებივით უკვე კარგა ხანია ჩამტვრეულია. ან ან. ნამდვილი ან მცდარი. ეს ადრე თუ გვიან მოხდებოდა, იმიტომ, რომ საფუძველი ხომ ნამდვილად არასაიმედო იყო, როგორ

საქართველოს  
პარლამენტი  
ნოვემბერი 2004

შეიძლება, რომ ფუტურო სერელებზე რამე აგებულიყო? მაგრამ ის არასაკმარისიც კი, რომელიც პოეტთა თვალსაწიერში მაინც სვდება, მათთვის საკმარისია იმ რაღაცისთვის, რაც მათ შეუძლიათ სურვილის შემთხვევაში უგულვებლყოფნით. მათ შეუძლიათ იმ რაღაცას შეეშინონ და ეშვებიან კიდევ. მათ შეუძლიათ ისევე დატოვონ და ტოვებენ კიდევაც. სიცოცხლეს არ უსწრაფებენ. მხოლოდ დანისლულ მზერას შეაგვლებენ ხოლმე, მაგრამ ამ დანისლული მზერით ის ნებისმიერად ვერ იქცევა. მზერა მიზანში სვდება. ამ მზერის ობიექტი ღონემიხდლია, თუმცა ჯერ წესიერად არც შეუთვალისწინებიათ, ჯერ საზოგადოების პირუთვნელ სამსჯავროზე არც კი წარმდგარა. ის არასოდეს იტყვის, რომ შეიძლება სულ სხვა ვინმე ყოფილიყო, სანამ ამ აღწერის მსხვერპლი შეიქმნებოდა. ის ზუსტად იმას ადასტურებს, რაც უმჯობესია საერთოდ არ თქმულიყო (რადგან მისი უკეთესად თქმა შეიძლებოდა?), რაც ყოველთვის ბუნდოვანი და თვალშეუვლები უნდა დარჩენილიყო. მეტისმეტად ბევრი ჩაფლულან უკვე მასში მუცლამდე. ეს მოძრავი ქვიშაა, მაგრამ არაფერს ამოძრავებს. თვალშეუვლებია, მაგრამ არა უძირო. ნებისმიერია, მაგრამ არა საყვარელი.

მიღმასიქითა იმ ცხოვრებას ემსახურება, რომელიც ზუსტად იქ არ მიედინება, თორემ ჩვენ შუაგულში აბა საიდან აღმოჩნდებოდით, ამ იმსხლასევე ადამიანური ყოფის შუაგულში. ის ემსახურება აგრეთვე იმ ცხოვრებაზე დაკვირვებას, რომელიც მუდამ სადაღაც სხვაგან ჩქეფს. იქ, სადაც ჩვენ არა ვართ. რატომ უნდა გალანძლო გზაზე დამდგარი ადამიანი, სულ ერთია ეს ცხოვრების გზა იქნება, მოგზაურის, თუ ცხოვრებაში მოგზაურის, რომელიც უკან ვეღარ ბრუნდება, რომელიც უბრალოდ გადაიტანეს და ეს გადატანა არ ნიშნავს ვინმეს ატანას და სხვათა შორის, არც გატანას. უბრალოდ ფეხსაცმელზე მოდებული იმ მტვერივით გადაიტანეს, დიასახლისი დაუნდობლად რომ ებრძვის, თუმცა ეს დაუნდობლობა აქ რა მოსატანია იმასთან შედარებით, ადგილობრივები რომ იჩენენ ხოლმე ჩამოსულების მიმართ. საინტერესოა, როგორია ეს მტვერი? რადიოაქტიურია თუ უბრალოდ მარტო აქტიური? ამას იმიტომ ვკითხულობ, რომ გზაზე უცნაურ მანათობელ კვალს ტოვებს. იქნებ გზაა ის, ამ კვალს გვერდით რომ მიჰყვ-

ბა და მწერალს ვერასდროს სვდება? ან იქნებ მწერალია ის, გვერდით რომ ასდევნება და მიღმას იქით გარბის? მიცვალებული ჯერ ვერ არის, თუმცა გარდასულებში უკვე შეიძლება მისი მოსხენიება. იქიდან აკვირდება იმათ, მისგან და ერთმანეთისგანაც თავიანთი მრავალფეროვნებით რომ განსხვავდებიან, რათა მერე მათ გულუბრყვილობა წარმოაჩინოს, ფორმაში ჩასვას, რადგან ფორმა ძალიან მნიშვნელოვანია, ასე რომ, იქიდან ყველაფრის დანახვა უფრო ადვილია. მაგრამ ამას არ უვიწყებენ და მის ანგარიშზე ცარციტ წერენ. ამდენად წერის გზა ცარცის და არა მანათობელ ნივთიერებათა ნაწილაკების კვალით ყოფილა მონიშნული. ყოველ შემთხვევაში, ეს ისეთი მონიშვნაა, რომელიც მიანიშნებს და იმავდროულად ჩქმალავს და მის მიერვე გაყვანილ კვალს თვითონვე მონდომებით შლის. იქ საერთოდ არ ყოფილხარ. მაგრამ რა სდება, მაინც იცი. ეს ვილაცხს ეკრანიდან აუნყეს, ტკივილისგან შეშლილი, გასისხლიანებული სახეებით, მოცინარი გაგრიმული სახეებით, პომადის წასასმელად გამზადებული წინგამოშუშტული ტუჩებით ან სხვებისგან გაიგეს, რომლებმაც სატელევიზიო შოუში დასმულ კითხვას სწორად უპასუხეს, ან იმ ადამიანებმა გააგებინეს, რომლებიც მხოლოდ საამბოროდ არიან გაჩენილები, ქალებმა, რომელთაც არაფრის შეცვლა არ ძალუძთ და არც ცდილობენ, ფეხზე წამომდგარან, ქურთუკები გადახდითა, რათა თავიანთი ახლად გამაგრებული მკერდი კამერას უკეთესად დაანახონ. ის ადრე განვრთნილი იყო და მამაკაცებს ეკუთვნოდა. ამას ემატება უამრავი ყელი, რომელთაგანაც რაღაც სიმღერ-სიმღერით ამოდის. პირის სუნს ჰგავს, მაგრამ უფრო ხმამაღალია. ეს ის არის, გზაზე რომ შეიძლება დაგენახა, კვლავ იქ რომ ყოფილიყავი. გზაზე დამდგარი ამ გზას უგანებ. ვინ იცის, იქნებ შორიდან დაინახო კიდევ იგი, მარტო რომ დარჩებდა, და რა სასიამოვნო იქნება, იმიტომ რომ გზა დასანახადაა კარგი და არა სასიარულოდ. ახლა ამ ბილიკმა ხომ არ გაიფანჯრა? იქნებ ამ ფანჯრითაც ცდილობს მიიქციოს ყურადღება და ბრდღვიალი, ხმამაღალი ნივილი და გაბრდღვიანებული კვიცილი აღარ ყოფნის? იქნებ და იმ გაუვალ გზას ეშინია, საერთოდ არავინ გამეკარება და უცოდველი დავრჩებიო, იმ დროს, როდესაც იქ უამრავ ცოდვას სჩადიან, გამუდმებით, იქნება ეს წამება, დანაშაული,

ქურდობა, მძიმე გაჭირვება, ძლიერი იძულება, იძულებითი სიძლიერე მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანი პიროვნებების ბედისწერების ფორმირებისას. გზას რა ენაღვლება. ის ყველაფერს თავის ტანზე ატარებს, მყარად, თუმცა უნიადაგოდ. ნიადაგის გარეშე. დაკარგულ მიწაზე. როგორც ვთქვი, თმა ყალყზე მიდგას, და ერთი ღერიც კი არ არის ისეთი სიმყარის, ძირს დაშვება რომ ვაძულდო. თვით ჩემს თავს ვერ ვგრძნობ სიმყარეს. არც ჩემზე, არც ჩემში. მიღმის იქით რომ მოხვდები, სულ მზად უნდა იყო, კიდევ ცრტა, კიდევ ცოტათი გვერდზე გახტომა და უკვე არარაში ხარ, რომელიც იქვეა, მიღმისიქეთის იქით. მიღმისიქეთს კი თან თავისი მიღმისიქეთის საფანგები მოუტანია, რომელიც სულ მომართულია, პირს აღებენ, რომ ადამიანი რაც შეიძლება შორს გაიტყუნონ. შორს გატყუნება კი სხვა არაფერია, თუ არა შეტყუნება. არ მინდა, გეთაყვა, ის გზა მხედველობის არედან დაგვარგო, რომელსაც მე არ ვაღიარებ. მე მინდა ის წესიერად, უპირველეს ყოვლისა კი, სწორად და ზუსტად აღვწერო. რადგან უკვე ვუყურებ, ამან რაღაცა უნდა მომიტანოს. მაგრამ ეს გზა ჩემთვის არააფერს არ იმეტებს. მე არაფერს არ მიტოვებს. მაშ რაღა დამრჩენია? შუალედური გზაც დახშული მაქვს, წინ დიდი ვაი-ვაგლახით მივიწვევ. ნასული ვარ, თუმცა წინ ვერ წავსულვარ. იქაც გარანტია მინდა ჩემი საკუთარი არასაიმედოობისაგან თავის დასაცავად, აგრეთვე იმ მიზნის არასაიმედოობისაგან, რომელზეც ვდგავარ. ჩემი ენა კი ჩემს გვერდზე მოცუნიცულებს. ჩემი უსაფრთხოების გარანტია, თუმცა აქ ჩემს დასაცავად კი არ მოსულა, არამედ იმას აკონტროლებს, იმა რამდენად სწორად ვიქცევი, რამდენად სწორი სიყალბით აღვწერ სინამდვილეს, რადგან მისი აღწერა მხოლოდ ყალბადაა შესაძლებელი, სხვანაირად წარმოუდგენელია. იმდენად ყალბად, რომ ვინც კი წაიკითხავს და გაიგონებს, მაშინვე შენიშნოს მისი სიყალბე. დაიხატ, ცრუობს! ეს ენა კი, რომელმაც ძალიერით უნდა დამიცვას, სხვა რაში მჭირდება, ის ხომ პირიქით, ჩემზე იწვევს?! ჩემივე მცველი მესმის თავს და დაკუნებას ცდილობს. ის ერთადერთი იყო, ნაწერში მოხვედრისაგან რომ მივცავა. ენა ხომ იმისთვის გინდა, რომ პირიქით, რაღაცა სხვა, შენგან განსხვავებული, ალგანწინის, მაგიტომაც ვწერ ამდენს, საკუთარ თავს ფურცლებით ვეღარ ავუდივარ. ან იქნებ



ენა აქ მხოლოდ იმისათვისაა, რომ თავი მოიკატუნოს, შენ გიცავო და ამ დროს თავს დამესხას? მეგონა, რომ თუკი გამუდმებით გზაში ვიქნებოდი და ვილაპარაკებდი, ენა ჩემთვის საიმედო თავშესაფარი იქნებოდა და თავის დაცვას წერით ვცდილობდი, მაგრამ ყველაფერი უკუღმა შემომიტრიალდა. არც არის გასაკვირი. მაშინვე შევატყვევ, რა ჩიტიც ბრძანდებოდა. რა შენიღბვაზეა ლაპარაკი, როცა იმის მაგივრად გაუჩინარდე, მთლად თვალსაჩინო ხდები.

შეიძლება, ენა შეცდომით ხანდახან გზაზე გავიდეს, მაგრამ გზიდან არასოდეს გადაუხვევს. ენით ლაპარაკი ნებაყოფლობითი პროცესი არ არის. ეს ისეთი რამეა, როცა იძულებითი ნებაყოფლობითი ხდება, უნდა ეს ვინმეს თუ არა. ენამ იცის, რაც უნდა. ძალიანაც კარგი მისთვის, მე კი არ ვიცი და არც სახელები ვიცი. ლაქლაქი იქნება ეს თუ უბრალოდ საუბარი, იგი მიღმასიქეთაც გრძელდება, იმიტომ რომ ეს დაუსრულებელი პროცესია, არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო, მაგრამ ეს ლაპარაკი არაა. იქ, გადაღმა, სადაც ყოველთვის მხოლოდ სხვები ჩერდებიან. იმიტომ საუბრობენ, რომ არ უნდათ გაჩერდნენ, ძალიან დაკავებულები არიან. იქ, გადაღმა, მხოლოდ ისინი არიან. მე იქ არა ვარ. მარტო ენა ჩა-

მომშორდება ხოლმე ხანდახან და ხალხს აედევნება, სხვა ხალხს კი არა, ნამდვილ, ნაღდ ადამიანებს. აქ შეუძლებელია დაიბნე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მიმართულების მაჩვენებლებია. ჰოდა, დაყვება ამ ხალხს ვიდეოკამერასავით, მათი არც ერთი მოძრაობა არ გამოუპარება, იქნებ ცხოვრებას მაგან მინც გაუგოს რამე, რა სდება, როგორია, იმიტომ რომ ზუსტად ის არ არის. ეს ყველაფერი მერე ხომ იმაში უნდა აღწეროდ იქნეს, რაც სწორედ ის არ არის. ესაუბრობთ იმაზე, კიდევ ერთხელ ხომ არ წავსულიყავით პროფილაქტიკურ გამოკვლევებზე. უცბად კი ისე მკაცრად ავლაპარაკდებით, თითქოს არჩევანი გვექონდეს, ვილაპარაკოთ თუ არა. მთავარი ისაა, რომ თუ ენა მიგანებს, მე განზე დავჯრები. ენა მიდის. მე ვჯრები, ოღონდ განზე. და არა გზაზე. ენა განზე მრჩება.

არა, ის ჯერ კიდევ აქაა. საინტერესოა, მიუღლი ამ დროის განმავლობაში სულ აქ იყო და იმაზე მარჩილობდა, ნეტავი ვისი დამორჩილება შემიძლია? აი, აჯერ შემამჩნია და მაშინვე დამიცაცხანა, სწორედაც ამ ენამ. აი, ასეთ ქედმაღლურ მოქცევას მიბედავს, ხელსაც კი წევს ჩემზე, არ ვუყვარვარ, ვერ მიტანს. გზად მიმავალი ის სათნო ხალხი კი უყვარს, გვერდზე ძალივით რომ ასდევნებია და თავს მორჩილად აჩვენებს. სინამდვილეში, მართო მე კი არ მეურჩება, არამედ ყველას. ის მარტო თავის თავისკენ არის. ლამეს მისი ყვირილი აპოხს, იმიტომ რომ გზის გაყოფაზე სინათლის გაყვანა დაავიწყდათ, რომლის ენერჯის წყარო მხოლოდ მზეა და შტეპსელში არაფრის შერთება არ იქნება საჭირო. გზისათვის ნორმალური სახელის დარქმევაც დაავიწყდათ. თუმცა მას უკვე იმდენი სახელი ჰქვია, მათ ჩამოთვლასაც ვერ აუხვალ. მე მივდივარ და მივყვირი, ჩემს გარდასულობაში გარდაცვლილთა საფლავებს ვქელავ, რადგანაც ამ დენაში გზას ყურადღებას ველარ ვაქცევ და სადაც მოიხდება, იქ ვაბიჯებ. მარტო ერთი სურვილია მაშობრავებს, როგორმე იქ მოვხვდებ, სადაც ჩემი ენა უკვე მისულა და იქიდან დამცინავად მეჭყანება. მან ხომ იცის, რომ თუ მე ოდესმე ცხოვრებას მოვიწოდებ, მაშინვე ცივ წყალს გადამაველებს. ჯერ დამასველებს, მერე კიდევ დამამარტოლებს. კარგი, ბატონო. ახლა მე ვუყვრი გზაზე სხვებს მარილს, ისე ვაყრი, რომ ყინული დნება. დაფქულ მარილს ვყრი, იქნებ ენას ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალოს. თუმცა მას

ხომ ისედაც უკვე დიდი ხანია ყველანაირი საყრდენი გამოცლილი აქვს. ეს რა გაუგონარი თავხედობაა მისი მხრიდან! მე რომც არ ვიდგე მყარად მიწაზე, ენას ეს მაინც არ ევატიება. ისე, მაგაზე ახია! რატომ ჩემთან ერთად არ დარჩა, იქ, მიღმასიქით? რატომ მომშორდა? რა, ჩემზე მეტის ნახვა უნდოდა? იქ, მთავარ გზაზე მოუნდა ხომ გასვლა, სადაც ბევრად უფრო მეტი და სასიამოვნო ხალხი მოძრაობს, ერთმანეთს საამურად რომ ეფლურტულებიან? რა, ჩემზე მეტი უნდოდა ცოდნოდა? ისედაც ხომ ჩემზე მეტი იცოდა, მაგრამ უფრო მეტი უნდოდა. მე ხომ ვიცი, ჩემი ენა რაცაა, დაიბოღმება და იმდენს იზამს, გულს გამოიჭამს და შეენიერება კიდევაც. სინამდვილეს გასკდომამდე მიაძღება. ახია მაგაზე! მე ის ამოვავფურთხე, თვითონ კი არაფრის ამოფურთხება არ უნდა, ყველაფერს დედის რძესავით ირგებს. ჩემი ენა მე გაღმიდან მეძახის, გამოღმა მეძახის, სწორედ აქეთ დაძახება უყვარს ყველაზე მეტად. დიდი დამიზნება აუცილებელი არცაა, რადგან თავის მიზანს უქვეყლად აღწევს, თან ისე, რომ რამის თქმა არც სჭირდება, უბრალოდ „მოძალადის სისასტიკით“ ლაპარაკობს, როგორც ჰაიდგერი ამბობდა თრაკლთან დაკავშირებით. ის მირეკავს კიდევ, დიხსაც, ენა მირეკავს, ეს ხომ დღეს ყველას შეუძლია, რადგან თავისი ენა ყველას თანა აქვს, პატარა აპარატში გამომწყვედილი, რათა ილაპარაკოს, აბა სხვა შემთხვევაში, ვის რაში სჭირდებოდა მისი შესწავლა? ზუსტად მაშინ მირეკავს ხოლმე, ხაფანგში რომ ვარ გაბმული და ვფართხალებ. თუმცა არა, ტყუილს ვამბობ, ჩემი ენა კი არ მირეკავს, ის ხომ გამქრალია ჩემსავით, ჩემი ენა ხომ მე თვითონვე ამიორთქლდა. ახლა იძულებულია იქიდან მირეკოს, ყურში რაღაცა ჩამძახოს, რა მნიშვნელობა აქვს აპარატს, სულ ერთი არაა, დიქტაფონი იქნება ეს, მობილური, ან თუნდაც ტელეფონი-ავტომატი. მისი ღრიალი ყურს იქიდან მიჭედავს, შენს ლაპარაკს არაფერი აზრი არა აქვსო, მხოლოდ ის თქვი, რასაც მე გიკარნახებო. მაშინ რაღა აზრი აქვს იმ საყვარელ ადამიანთან ლაპარაკს და ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მისი ნდობა მართლაც შეიძლება, მერე რა, რომ წაიქცა და უეცრად ვერ წამოხტა, რომ ვილაცხას უკან გამოკიდებოდა და მასთან ლაპარაკით გული ეჯვრებინა. არა, არავითარი აზრი არა აქვს. ჩემი ენის მიერ იქ, გადაღმა, საამურ გზა-

ზე ნათქვამი (ვიცი, რომ ის გზა ჩემს გზაზე მეტად საამაჟროა, ჩემი გზა ხომ გზა არცაა. მაგრამ ზუსტად არც იმ გზის დანახვა შემიძლია, თუმცა ვიცი, რომ იქ ყოფნა მირჩევნია), მასაშადამე, ჩემი ენის ნათქვამი მომცილდება თუ არა, მაშინვე გამონათქვამად იქცევა ხოლმე. არა ვინმესთან საერთოდ ნათქვამად, არამედ გამონათქვამად. თავის გამონათქვამს თვითონვე უსმენს ხოლმე, ჰო, ჩემ ენაზე ვამბობ, თავის თავს თვითონვე უსწორებს, რადგან გამოთქმის გამოსწორება ყოველთვის შეიძლება. ჰო, ნებისმიერ დროს შეიძლება მისი გამოსწორება, საერთოდაც იმიტომ არსებობს, რომ მუდმივად აუმჯობესო და მერე ახალი ენობრივი ნორმები დაადგინო, ისიც იმიტომ, რომ მერე ამ წესების დაუყოვნებლივ დარღვევა შეგეძლოს. ეს კი მერე გზად და ხიდად იქცევა ცხოვრების გზაზე, გათავისუფლებას ვგულისხმობ, რასაკვირველია. სახედრის სავალ საცალღებო ხიდად. მაცალე, არ შეიძლება, ჩემო საყვარელო ენა, სანამ რამეს იტყოდე, ერთხელ მაინც მომისმინო? რატომ და იმიტომ, რომ იქნებ რამე შეისმინო, გამოთქმის ეს წესები ბო-

ლოსდაბოლოს შეისწავლო . . . რა გაყვრება მანდ, რა ხელებს იქნევ? იმიტომ ბაქი-ბუქობ, რომ გინდა ჩემი კეთილგანწყობა კვლავ მოიპოვო? მე კი მეგონა, აქეთ პირსაც აღარ იზამდი! არასოდეს გიგრძნობინებია, ჩემთან დაბრუნება თუ გინდოდა, თუმცა ნიშნის მოცემას აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერ გავიგებდი. რაო, ენად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცეოდი, თუ ჩემგან ნახვილოდი? ამით ჩემს წინსვლასაც უზრუნველყოფდი? მერედა რა არის უზრუნველყოფილი? ყოველ შემთხვევაში, შენი ამბავი რომ ვიცი, შენ საერთოდ არაფერ შუაში ხარ. არა, საერთოდ ვეღარ გცნობ. რა, ნებაყოფლობით მიბრუნდები? აი, მე კი აღარ გიშვებ ჩემთან, აბა, ახლა რას იტყვი? გზა გზაა. გზა გზა არ არის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემი გარდასულობა, ყველასგან გამოკლებულობა, გაღმასიქით უსასრულო ყურყუტი ინებებენ და ენის თავის ადგილზე დასაბრუნებლად ჩემთან პერსონალურად მობრძანდებიან, რათა ჩემს კალთაში უსაფრთხოდ და საიმედოდ თავშეფარებულმა ენამ ბოლოსდაბოლოს იმ მშვენიერი ბგერის მოძებნა და ამოთქმა



შეძლოს. ამ ყველაფერს აზრი მაშინ ექნებოდა, თუკი ენა მოახერხებდა და ამ ბგერის, ამ ჰაერშეპარული სირენასავით გულგამგმირავი ბლავილის მეშვეობით, მიღმასიქეთისკენ კიდევ უფრო მეტად წამიბიძგებდა. ენის უკუტყემის შედეგად, დიას სწორედ ამ ენის, რომელიც მე თავადვე შეეკმენი და მერე გამექცა (იქნებ მაგიტომაც შეეკმენი? მაშინვე რომ ჩემგან გაქცეულიყო, იმიტომ რომ მე თვითონ ვერაფრით მოვახერხებ ჩემს თავს გავქცეოდი), სულ უფრო-დაუფრო მეტად ვიდევნები მიღმასიქითა სამყაროში. ჩემი ენა კი ნებიერად კოტრიალობს თავის გაუბეში, გზაზე გათხრილ დროებით პატარა საფლავში, ზევით იყურება, სუფთა ჰაერს ეძებს. ზურგზე ტრიალებს, მოთვინიერებული მხეცივითაა, ცდილობს ნებისმიერი წესიერი ენის მსგავსად, ადამიანებს თავი მოაწონოს. გორავს, ფეხებს ფართოდ შლის, იქნებ ვინმე მომეფეროსო, აბა სხვა რა ენდომება. გიჟდება, ხვევნა-კოცნა ისე უყვარს. ეს ართობს და მკვდრებს აღარ უყურებს. მე კი იმიტომ ვუყურებ, ვიცი, მერე მათაც მე ამკიდებენ. ამიტომაც ჩემი ენის შესაჩერებლად არ მცალია, ის კი უსირცხვილოდ ტრიალებს და უამრავი ხელი ეფერება. არადა ეს მკვდრებიც იმდენია, რომლებზეც თვალი უნდა მეჭიროს. ეს ტიპიური ავსტრიული გამოთქმაა და ნიშნავს, რომ მე მათზე უნდა ვიზრუნო, კარგად მოვეყურა. მაგრამ ჩვენ ზუსტად იმით არა ვართ ცნობილი, რომ ყველას კარგად ვექცევით. ნუ გეშინია, მსოფლიო უკვე ხედავს ამას. ეს ჩვენი სადარდებელი აღარ არის. მაგრამ რაც უფრო ნათლად ხმინდება ჩემში ეს მოთხოვნა, მკვდრებს მიხედვით, მით უფრო ველარ ვაქცევ ყურადღებას ჩემს სიტყვებს. მე მკვდრებს უნდა მივხედო და ამ დროს კი გამეღვლები ჩემს ენას ხელს უსვამენ და უღუტუნებენ, ჩემი მკვდრები კი მაინც ოდნავადაც არ ცოცხლდებიან. ამაში დაშინაშევე არავინაა. მათ შორის არც მე. მერე რა, თუ მეც განწილი ვარ ჩემი თმასავით, რა ჩემი ბრალია, მკვდრები რომ ვერ ცოცხლდებიან. მე მინდა, რომ იქ, გაღმა, ჩემი ენა გაჩერდეს, უცხო ხელებს მონად ნულარ დაუდგება. მერე რა, თუ ეს სიამოვნებას ანიჭებს. მე მსურს, რომ მან ბოლოს და ბოლოს დაიწყო და მოთხოვნილი კი არ გამოაყენოს, არამედ თვითონ იქცეს მოთხოვნად. მოთხოვნას უნდა დაუშორწილოს, მაგრამ არა ხვევნა-კოცნის მოთხოვნას, არამედ იმას, ჩემთან დაბრუნება

რომ ჰქვია. ენა ყოველთვის მაგრად უნდა იდგეს, მაგრამ მან ეს ყოველთვის არ იცის და მეც არ მისმენს. მოთხოვნაზე ის უნდა გამოცხადდეს, რადგან ის ადამიანები, რომელთაც ბავშვის ნაცვლად მისი მიღება უნდათ - ენა ხომ ასეთი საყვარელია, მისი წაღმა-უკულმა სიყვარული შეიძლება - ისინი არასოდეს ცხადდებიან. ისინი წესებს საზღვრავენ, მაგრამ თვითონ არასოდეს ცხადდებიან. მრავალმა მათგანმა თანაზიარობაში თავიანთი განვევის ბრძანება მაშინვე გაანადგურა, დახია, დაწვა და დროშაც თან მიაკლბა. აი, ასე. მის მოთხოვნას კი რაც მეტი ხალხი გამოეხმობება და მუცელზე ხელს მოუფათურებს, მიჭმუჭნ-მიჭმუჭნის, მის თვინიერებასა და მიმნდობლობას სიყვარულით მიიღებს, მით უფრო შორს წავებორძიკდები მე. მორჩა, საბოლოოდ დავეკარგე ჩემი ენა, მათ წამართვეს, იმიტომ რომ უკეთესად ექცვიან. აი, უკვე თითქმის მივერინავ. ეს გზა აქ ასე უცხად საიდან გაჩნდა, რომელიც მის დასაწევად მჭირდება? სად მივდივარ, რომ მივდივარ, რა მინდა? როგორ მივალ იმ ადგილას, სადაც შემეძლება ჩემი ინსტრუმენტი ამოვიღო, სინამდვილეში კი მხოლოდ შენახვა შემეძლოს? სადაღაც იქით, ტოტემშუა, შუქი ცრიატობს. იქნებ ეს სწორედ ის უსაფრთხო ადგილია, სადაც ჩემი ენა სხვებს ჯერ მოფერებით სიქას აცლის, უნანავებს, რათა მერე თვითონაც ეღირსოს დარწვევა, თუნდაც ერთხელ. იქნებ კვლავ გენას აპირებს? მას ხომ თვალი სულ საკუნად უჭირავს, ეგ არის, რომ სხვებმა ამის შესახებ ჯერ არაფერი იცინა. პირველად გაანებიერებენ და გააღულუნებენ ხოლმე ამ ვითომცდა მოშინაურებულ ცხოველს. ასეთი ხომ ისედაც ყველას ჰყავს უკვე სახლში, უცხო სახლში შეყვანა რალაში სჭირდებათ? რატომ უნდა იყოს ეს ენა იმისაგან განსხვავებული, რაც მათ უკვე იცინა? და თუ განსხვავებულია, მაშინ მისი წაყვანა სახიფათოც კი შეიძლება აღმოჩნდეს. შეიძლება ვერც კი შეწყოს იმ ენებს, რომლებიც მათ უკვე ჰყავთ. რაც უფრო მეტი მეგობრულად განწყობილი უცხო ხალხი არსებობს, რომელთაც საერთოდ ესმით, როგორ უნდა იცხოვრონ, თუმცა ამის გამო თავიანთ ცხოვრებას კიდევ დიდხანს ვერაფერს უგებენ, რადგან მოფერების სურვილს აყვებიან ხოლმე, თუმცა რაღაცას ხომ ყოველთვის უნდა აპყვე, - მით უფრო ძნელად არჩევს ჩემი მხედველობა გზას უკან, ენისაკენ.



Miles and more. მაშ ვის უნდა გაერჩია რამე, თუ არა მხედველობას? რა, ლაპარაკმა უნდა აილოს თავის თავზე ხედავც? სანამ გაიხედავდე, უნდა ილაპარაკო? აგერ წამოკოტრიალე-ბულა, მის ტანზე ხელები დაფუთფუთობენ, ქარი ასმაურებს, ქარიშხალი ანებივრებს, ყურ-თასმენა კი იმდენად შეურაცხყოფს, რომ საერთოდ აღარ ისმენს. მორჩა, აბა, ყველაფერი გაიგონე! ვისაც არ უნდა გაგონება, უნდა ისე ილაპარაკოს, რომ არავინ მოისმინოს. თითქმის არავის უსმენენ, თუმცა ლაპარაკით კი ლაპარაკობენ. მე კი მისმენენ, მაგრამ სამაგიეროდ ჩემი ენა არ მიგონებს, თუმცა უკვე ძლივსღა ვხედავ. მის ზურგს უკან ბევრ რამეს ამბობენ. ამდენად, თვითონ ბევრს ვერაფერს იტყვის. ესეც საქმეა. უსმენენ, როგორ აყოლებს ხმას ვიღაცის ლაპარაკს. ამ დროს კი წითელ კლავიშზე ვიღაც თითს აჭერს, რასაც საშინელი აფეთქება მოჰყვება. ენას მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ წარმოთქვას: მამაო ჩვენო, რომელი ხარ . . . შეუძლებელია მე გეულისხმობდე, თუმცა ჩემი ენისათვის მე ხომ ბოლოსდაბოლოს მამა ვარ და მამასადამე დედა ვარ. მე ჩემი დედაენის მამა ვარ. დედაენა თავიდანვე აქ იყო, ჩემში იყო. მამა კი არსად ჩანდა, რომ შესაბამისად ისიც აქ ყოფილიყო. ჩემი ენა ხშირად არ შემესაბამებოდა ხოლმე, ამას ცხადად მაგრძობინებდნენ, მაგრამ ამის გაგება მე არ მსურდა. ჩემი ბრალია. მამამ დედასთან ერთად მიატოვა ეს პატარა ოჯახი. მართალიც იყო. მის ადგილზე მეც არ გაეჩერებოდი. ჩემი დედაენაც მამის კვალს გაჰყვა, წავიდა. როგორც ვთქვით, ის ახლა იქ არის, გაღმა. გზაზე მიმავალ ხალხს აყურადებს. იმ გზაზე მიმავალს, ადრე მამა რომ წაჰყვა. ახლა ისეთი რამე იცის, რაც შენ არ იცი, რაც მამამ არ იცოდა. მაგრამ რაც უფრო მეტი იცის, მით უფრო არაფრისმთქმელი ხდება იგი. არა, სულ რაღაცას კი ამბობს, მაგრამ მაინც არაფრისმთქმელია. და აი, გარდასულობა გვემშვიდობება. ის არაფის არაფერში გამოადგა. ვერავინ ხედავს, რომ მე შიგნითა ვარ, ამ გარდასულობაში. არავინ მაქცევს ყურადღებას, არა, შეიძლება მე კი მაჩვენებენ, მაგრამ არაფერს ჩემსას არ აქცევენ ყურადღებას. როგორ მივალნიო იმას, რომ ყველა ამ სიტყვამ ჩემზე და ჩვენთვის რაღაცის თქმა შეძლოს? ლაპარაკით ამას ვერ მივალნე. არა, შემოდლია საერთოდ არ ვალაპარაკო, ჩემი ენა სამწუხაროდ ამჟამად ხალხში

არაა. იქ, გაღმა, რაღაცა სხვა რამეს ამბობს, რაც მე მისთვის არ დამივალბია. მან ხომ ჩემი ბრძანება მაშინვე დაიწყა. მე ამას არ მეუბნება, თუმცა ჩემია, მე მეკუთვინის. ჩემი ენა მე თუ არაფერს მეუბნება, სხვებს როგორღა ეტყვის? ამრიგად, ის არაფრისმთქმელიც არ არის. თქვენ ეს უნდა აღიაროთ! რაც უფრო შორსაა ჩემგან, მით უფრო მეტს ამბობს, დი-ახ, სწორედ მაგ დროს ბედავს ისა თქვას, რისი თქმაც თვითონ უნდა. მერე კი ბედავს მე არ დამემორჩილოს, წინააღმდეგობა გამაჩინოს! საერთოდ, რამე საგანს დიდხანს თუ უყურებ, თითქოს თანდათანობით გშორდება, თან მით მეტად, რაც უფრო მეტხანს უყურებ. ლაპარაკს თუ დაიწყებ, მის დაჭერას კვლავ მოახერხებ, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ შეინარჩუნებ. თავს აიშვებს და საკუთარ დასახელებას გაეკიდება, იმ უამრავ სიტყვას, რომელიც მე შევქმენი და რომლებიც მერე დავკარგე. სიტყვათა საკმარისი რაოდენობა გაიცვალ-გამოიცვალა, გადაცვლის კურსი კი საშინლად ცუდია და მერე სულ მარტო ეს კურსია: საშინელი. რასაც ვამბობ, დასაწყისშივე დასავეწყებლადაა განწირული. სიტყვასაც ეს უნდა, ის ხომ ჩემგან თავის დაღწევას ცდილობს. გამოუთქმელი ყოველდღე ითქმის, მაგრამ ის, რასაც მე ვამბობ, წესით არ უნდა თქმულიყო. ეს ნათქვამის მხრიდან სულმდაბლობაა. ენით გამოუთქმელი სულმდაბლობაა. ნათქვამს არ სურს, რომ მე მეკუთვნივდე. რაღაც უნდა გაკეთდეს, რათა მერე ითქვას: სიტყვა საქმედ იქცა. დიდად კმაყოფილი დავრჩებოდი, თუკი ჩემი ენა თავს მოიკატუნებდა, ვითომ შენი ვარო, მაგრამ წესით ხომ მართლა მე მეკუთვინის. რა უნდა გავაკეთო, რომ ცოტათი მაინც შევიჩვიო? სხვებს ვერაფერს გამოირჩება, მე კი საკუთარ თავს ვთავაზობ. დამიბრუნდი! უკან დაბრუნდი, ძალიან გთხოვთ! მაგრამ შენც არ მომიკვდე! გაღალმა, იმ ბილიკზე, ეს ჩემი ენა ისეთ საიდუმლოებებს ისმენს, მე რომ არ უნდა ვიცოდე და მერე ამ საიდუმლოებებს სხვებს გადასცემს, რომელთაც მისი გაგონებაც არ უნდათ. მე კი სიამოვნებით მოვუსმენდი, მომიხდება კიდევ, მათ შორის სახეზეც. დიახ, მაგრამ ის ხვდება მერე ამას? სალაპარაკოდაც არ მიჩერდება. ის სიცარიელეშია, რაც სწორედ იმით გამოირჩევა, რომ ჩემგან განსხვავებით, იქ ბევრნი არიან. სიცარიელე გზაა. მე კი წარმოიდგინეთ, რომ სიცარიელის მიღმა ვარ. გზა



მივატოვე. ყოველთვის მარტო სხვების ნათქვამს ვიმეორებდი. ჩემზეც ბევრი ცუდი უთქვამთ, მაგრამ ყველაფერი მართალი კი არ არის. მე თვითონ სხვის ნათქვამს ვიმეორებდი და ვამტკიცებ: ნამდვილი თქმა ამჟამად სწორედ ამას ჰქვია. როგორც უკვე ითქვა, უბრალოდ ერთი გამუთქმელი! უკვე დიდი ხანია, ამდენი არ თქმულა. მოსმენას ვეღარ ასწრებ, თუმცა უნდა უსმინო, რაღაცა რომ შეძლო. ამ თვალთახედვით, რაც სინამდვილეში თვალთა არიდებაა, მათ შორის ჩემი თავის მიმართაც, ჩემზე ვერაფერს იტყვიან, სათქმელი არც არაფერია, თქმა არაფრისმიმცემია. ცხოვრებას სულ თვალს ვაყოლებ, ენა ზურგს მიჩვენებს, რათა უცხო ხალხთან სასიყვარულოდ მუცელი უკეთესად მოიმარჯვოს, ეგ უსირცხვილო, ეგა. მე ზურგს მიჩვენებს, ისიც საერთოდ თუ მიჩვენა. უფრო ხშირად კი ნიშნასაც არ მადღევს და არც არაფერს მეუბნება. ზოგჯერ იქით სხვებში ვეღარც კი ვარჩევ ხოლმე. ამიტომაც ახლა ვეღარ ვამბობ „როგორც უკვე ვთქვი“. მართალია, ასე ხშირად მითქვამს, მაგრამ ახლა ვეღარ ვამბობ, სიტყვები შემომაკლდა. ხანდახან მათ ზურგსა და ფეხების ქვედა ნაწილებს ვხე-

დავ, ძლივ-ძლივობით რომ მიათრევენ, სიტყვებს ვგულსხმობ, მაგრამ ჩემს გასწრებას მაინც ყოველთვის ახერხებენ, თან უკვე დიდი ხანია. მე რაღას ვაკეთებ? მაგიტომაა ასე არხეინად რომ წამონოლილა ეს ჩემი ძვირფასი ენა აგერ, ჩემგან ორ ნაბიჯში? ბუნებრივია, ასე ყოველთვის გამასწრებს, წამოხტება და გაიქცევა, როგორც კი მე ჩემი მიღმასიქეთა ადგილს დავტოვებ და მის მოსაყვანად გადავალ. ისიც არ ვიცი, რატომ უნდა მოვიყვანო. იმიტომ ხომ არა, რომ თვითონ არ მომიყვანოს? იქნებ იმიტომაც გამირბის ის, ვინც ეს ამბავი იცის? ვინც მე არ მომყვება? ვინც სხვების ნათქვამს და მზერას ასდევნებია. ვერაფერს იტყვის, რომ მას ჩემსა და მათ შორის განსხვავების დანახვა არ შეუძლია. ისინი სხვანაირები არიან, იმიტომ რომ სხვები არიან. არავითარ სხვა საფუძველზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვები არიან. ეს ჩემი ენისათვის უკვე საკმარისია. მთავარია, მე არ ვაკეთებ ამას, რასაც ლაპარაკი ჰქვია. სხვები, ყოველთვის სხვები, ოღონდ მე არა. მათ ეკუთვნის კიდევ ეს ჩემი ტკბილი ენა. მეც დიდი საამოვნებით მოვეფერებოდი, როგორც ამას გაღმა სხვები აკეთებენ, მაგრამ ვერსად გამოვიჭირე. ამიტომაცაა იქით, გაღმა, რომ მე მისი გამოჭერა ვერ შევძლო.

როდის იქნება, რომ აქედან უხმაუროდ აიბარგება? როდის დალაგდება ყველაფერი ისე, რომ ხმაური აღარ იქნება? რაც უფრო ხშირად მიიპარება ხოლმე ენა იქით, მით უფრო ხმამალალი ლაპარაკი ისმის იქიდან. იგი ყველას პირზე აკერია, მარტო ჩემს პირს ვერ ეკარება. ლამის წყვდიადმა მომიცვა. გონება არ დამიკარგავს, მაგრამ ლამის წყვდიადში მოვხვდი. უძილობისაგან გატანჯულმა ჩემ ენას ზღვის შუქურასავით სულ თვალი უნდა ვაყოლო, იმ შუქურასავით, რომელმაც ვიღაცას სახლის გზა უნდა გაუნათოს და ამიტომ თვითონაც განათებული უნდა იყოს. თავისი ღერძის ირგვლივ ტრიალისას შუქურა სიბნელეს სულ სხვა რაღაცა გამოსტაცებს ხოლმე, რომელიც იქ იმის მიუხედავადაა, გაანათებს მას შუქურა თუ არა. ეს ის შუქურაა, არავის რომ არ ეხმარება ხოლმე, თუმცა ზოგიერთ წყალში ჩავარდნილს ეს ძალიან გამოადგებოდა და წყალში სიკვდილისაგანაც იხსნიდა. რაც უფრო ვინდობებ მის გამორთვას, მით მეტად მეფიჯუტება და არ ქრება, ჰო, ჩემს ენაზე ვამ-

ბობ. ენის ალს ახლა მექანიკურად ვთიშავ, დროებით ალზე გადაწყავს. ძალიან ვცდილობ მის მოგუდვას, გრძელი ჯოხი მიკავია, რომელსაც ბოლოში ალის მოსაგუდი სპეციალური მონყობილობა ამავრია. ასეთი ჯოხი ბავშვობიდან მასსოვს, ეკლესიაში სანთლებს აქრობდნენ ხოლმე. მოკლედ, ალის მოგუდვას რაც უფრო ვცდილობ, მე მგონი, მით მეტი ჰაერი მიეწოდება. მით უფრო ხმამალა ყვირის, ათასობით კეთილად მოფუთფუთე ხელებშუა იკლანება, მე ხომ საუბედუროდ, ასე არასოდეს მოვცევივარ და ჩემთვის რაა სასიკეთო, ისიც კი არ ვიცი. ახლა კი ასე იმიტომ ვაპყვირის, რომ უნდა როგორმე ჩამოიშოროს. სხვების გასაგონად ყვირის, რათა მათაც ბუკი და ნალარა შემოკრან და მასავით აყვირდნენ, რომ რაც შეიძლება დიდი ხმაური ატყდეს. იმიტომ ყვირის, რომ არ უნდა, \*მე მივუახლოვდე. საერთოდ არ არის საჭირო ვინმესთან ზედმეტი დაახლოება. და ნათქვამიც კი ახლოსაც არ უნდა მიდიოდეს იმასთან, რისი თქმაც გინდოდა. საკუთარ ენას ძალიან არ უნდა დაუახლოვდე, ეს შეურაცხყოფელია. ენა შეიძლება ისე გამოვიდეს მდგომარეობიდან, რომ მისივე ნათქვამი იმეოროს, თანაც ისე ხმამალა, რომ ვერავინ გაიგოს, რომ მას ამის გამოთქმა წინასწარ ახნავს. დაპირებებსაც კი მაძლევს, ოღონდ თავი დავანებო. ოღონდ არ მივუახლოვდე და რას არ მპირდება. მილიონობით ადამიანს აქვს ამის უფლება, მე კი არა მაქვს! ამ დროს, ჩემია აბა, როგორ მოგწონთ ეს ამბავი? მე თვითონ ვერ გეტყვით, მომწონს თუ არა. ენას ნამდვილად დასაწყისი დაავიწყდა, აბა, მისი საქციელი სხვანაირად როგორ ავსხნა? ყველაფერი ხომ ჩემთან დაიწყო. მაშინ სულ პატარა იყო. არა, იმის თქმაც არ ღირს, ახსელა როგორ გაიზარდა! საერთოდ ვეღარ ვცნობ. ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როცა სუ სუუ პატარა იყო. ირგვლივ კი ისეთი სინყნარე სუფევდა, მაშინ ხომ ენა ჯერ კიდევ ჩემი შვილი იყო. ახლა კი გაიზარდა და უეცრად გოლიათად იქცა. ჩემი შვილი აღარაა. მართალია, ბავშვი მოზრდილად არ ქცეულა, მაგრამ დიდი კია, თუმცა არ იცის, რომ ჯერ ჩემი მზრუნველობის ასაკიდან არ გამოსულა, თუმცა საკმაოდ საზრიანია. იმდენად საზრიანია, რომ თავის თავსაც უხურავს, იმხელას ყვირის. და ყველა მათ, ვინც კი მასზე ხმამალა იყვირებს. მერე კი დაუჯერებელ სიმაღლეს აღწევს ხოლმე. უნდა დამიჯეროთ,

ამის გაგონებას ნამდვილად არ გისურვებთ! სულაც არ ვამაყობ ამ ბავშვით, ესეც დამიჯერეთ, ძალიან გთხოვთ! როცა იწყებდა, სულ იმას ვნატრობდი, ნეტა სულ ასეთი წყნარი იყოს-მეთქი, როგორც მაშინ იყო, როცა ლაპარაკი არ შეეძლო. არც ახლა მომწონს, ასე ქარიშხალივით რომ გადაუვლის ხოლმე რაღაც-რაღაცებს, სხვებს კიდევ უფრო ხმამალა აბლაგლებს, მკლავს მოაღერებინებს და მაგარ-მაგარ საგნებს აქეთ-იქით ასროლინებს, რომელთა დაფიქსირება და დაჭერა ჩემს ენას უკვე არ შეუძლია, ის ხომ ყოველთვის ძალიან არასპორტული იყო და ესეც ჩემი ბრალია. ენა არ იტყერს. კი ისვრის, მაგრამ დაჭერა არ შეუძლია. მე კი გამოჭერილი ყვავარ, რომც წავიდეს, მე მაინც მასში ვარ. ჩემმა ენამ დამიჭირა, თვითონ კი ჩემი საპატიმროს მცველია. უცნაურია, მაგრამ საერთოდ არ მიცავს! რა, ამდენად დარწმუნებულია ჩემში? იმდენადაა დარწმუნებული, რომ არ გავიქცევი, რომ სჯერა, შეუძლია დამტოვოს? აი, მოდის აქ ერთი და რაღაცას მე-ლაპარაკება, თუმცა მიცვალებულია და ეს მისთვის გათვალისწინებული არ არის. ამის ნება აქვს, ახლა ბევრმა მკვდარმა წამოპოყ უკვე თავი და მოგუდული ვით რაღაცას მელაპარაკებთან, თავს ამის უფლებას აძლევენ, რადგან ჩემი ენა მე არ მიცავს. იცის, არ არის საჭირო და იმიტომ. ჩემგან გაქცევა რომ მოინდომოს, მე მაინც არ დავიკარგები. მე კი ყვავარ ხელებში გამომწყვდეული, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ მისხლტება ხელიდან. მე მაინც ვრჩები. მაგრამ რაც რჩება, იმას პოეტები არ წყალობენ. რაც დარჩა, მისი საქმე წასულია. მალა-მალა ფრენას ბოლო მოეღო. არაფერი და არავინ არ ჩამოსულა. და თუკი რამე, ყოველგვარი საღი აზრის მიუხედავად, არ ჩამოსულა, მაგრამ სულ ცოტა ხნით მაინც შეყოვნდა, მაშინ ის ყველაზე უფრო წარმავალიც კი გაქრება, რაც დარჩენილი იყო და ეს არის ენა. სამუშაოს სხვა შემოთავაზებას გამოეხმაურა. ყოველთვის სხვანაირად მიდის ის, რაც უნდა დარჩენილიყო. ყოველ შემთხვევაში, აქ არაა. პოდა, იყავი ახლა ასე, სხვა მაინც რალა დაგრჩენია.

გენმასულიდან თარგმნა  
შქინანა შაპანაძემ




# გავშვის ნაკბანი კარალიოკვა ოქტომბრის თვეში

ანუ ხარიტონის უკანასკნელი სიტყვა

დიდად პატივცემულო მოსამართლე!  
 ღრმად პატივცემულო მსაჯულნო! ძვირ-  
 ფასო საზოგადოება! მე ერთი უბირი სასამ-  
 სახურო ძალი ვარ! მთელი ჩემი წუთისოფე-  
 ლი, რომ იტყვიან, მხოლოდ ჩემისთანა ძაღ-  
 ლებთან, ბადრაგებთან და პატიმრებთან  
 მქონია ურთიერთანაცხოვრება და ამიტომაც  
 დღეს ამ, მე ვიტყვოდი დიდმნიშვნელოვან  
 დღეს, როდესაც წყდება ბუდი ჩემი - გთხოვთ,  
 ნუ მიაქცევთ ყურადღებას ჩემს გამოცვლაში  
 ლექსიკურ შეცდომებს, ჟარგონულ გამონათქ-  
 ვამებს და უცენზურო სიტყვებს, რამეთუ მე  
 ის ქვევრი ვარ მხოლოდ, რომელიც იმას ამ-  
 ოიძახებს, რასაც ჩასახებთ. ყოველი ჩემი გამო-  
 ნათქვამი და ნამოქმედარი კი გამოძახილია  
 გულისა ჩემისა და გნებავთ, ჩემი სულის ამ-  
 ოძახილიც. გარდა ამისა, ეს ყველაფერი დღე-  
 ვანდულობის ანარეკლია. თუ რამ დაინახოთ  
 უღირსი ჩემში ან გაიგონოთ უკადრისი ჩემ-  
 გან, ჩემი ბრალი არ იქნება ეს, არამედ იმა-  
 თი, ვინც მე ამ დღეში ჩამაგდო და ვინც მე  
 ასეთად მაქცია.

საანკეტო მონაცემები იუწყებიან, რომ და-  
 ვიბადე 1975 წლის 17 ოქტომბერს შსს-ს  
 ცენტრალური საძაღლის ერთ-ერთ გალიაში.  
 ჩემი ძუკნა დედიკო წმინდა სისხლის გერ-  
 მანული ნაგაზი იყო და ასეთივე გერმანული  
 ნაგაზი იყო მამაც. ერთი სიტყვით, გერმანუ-  
 ლი ნაგაზების შვილი ვარ მე. ჩემი მშობლე-  
 ბი შსს-ს ვეტერანები იყვნენ და ორივემ  
 რთული და ხანგრძლივი სამსახური გაუწიეს  
 ჩვენს ხალხს. მათ, როგორც ერთს, ისე მეორეს,  
 უამრავჯერ მიუღიათ საპოლიციო რეი-  
 დებში და საშინო დამნაშავეთა დაკავებისთვის  
 წარმოებულ სხვა ღონისძიებებში მონაწილე-  
 ობა, რისთვისაც მიუღიათ სახელმწიფო ჯილ-  
 დოები, სიგელები თუ ფასიანი საჩუქრები. მა-  
 მაჩემი ბრუნო ერთხელ ყურშიაც კი იყო  
 დაჭრილი გაქცეული პატიმრის მიერ კონსერ-  
 ვის ქილის თავსახურით, როდესაც იგი, ანუ  
 მამაჩემი კბილებით ეკვეთა გაქცეულს ფეხებ-  
 ში. მაშინ მახსოვს, ბრუნო დააჯილდოვებს  
 მედლით "მამაცობისთვის" და აჩუქებს აგრეთ-  
 ვე ტყავის ლამაზი საყელო შსს-ს ემბლემა-  
 ნი ლამაზი ბაღით.

აი, ასეთი მშობლებების შვილი ვარ მე.



თქვენ ალბათ გეცინებათ, არა? ჩემი სახე-  
 ლის გაგონებაზე - სად ძალი და სად ხარი-  
 ტონი, მაგრამ რა ვქნა, ასე ინება ჩვენმა კი-  
 ნოლოგმა, მისმა უდიდებულესობა გრიშამ და  
 ეს სახელი დამანათლა. კინოლოგი ლამაზად  
 უღერადი სიტყვაა, უცოდინარ კაცს ან მით  
 უშეტეს ძაღლს, შეიძლება კინომცოდნე ეგო-  
 ნოს, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვეულებრივ ენ-  
 აზე ეს სიტყვა ასე ითარგმნება - მეძალე.

მე ძალი ვარ და არა ენათმცოდნე, მაგ-  
 რამ ერთი რამ ვიცი უტყუარად, თუ სიტყვას  
 აქვს თავსართი - მე და ბოლოსართი ე, მა-  
 შინ ეს თავში მე და ბოლოში ე შემატებული  
 ახალი სიტყვა კი იცვლის აზრს, თითქოს სულ  
 სხვა მნიშვნელობისა ხდება, მაგრამ ეს მხო-  
 ლოდ ერთი შესედეით, სინამდვილეში კი არ  
 იცვლის, არამედ იმავე შინაარსისა რჩება, მე-  
 ტიც, უფრო ღრმა მნიშვნელობას იძენს. აბა  
 ავიღოთ, მაგალითად, მენაგვე და ნაგავი: გა-  
 ნა დიდი განსხვავებაა მენაგვესა და ნაგავს  
 შორის? არა, მე განა ვინმეს შეურაცყოფას  
 ვაყენებ! მე მესმის, რომ ნებისმიერი შრომა  
 დასაფასებელია და ასე შემდეგ, მაგრამ, თუ  
 ადამიანმა თავის საქმედ მენაგვეობა ირჩია,  
 თუ მთელი დღე ნაგავში იქექება, ამით ცხოვ-  
 რობს და ამით არჩენს ოჯახს, მაშინ, გინდა

არ გინდა, უნებურად ის იმ ნაგვის ნაწილი ხდება, რომელიც მას ყოველდღიურად გააქვს; გააქვს, რათა ადგილი გაუთავისუფლოს ახალ ნაგავს. ასე თუ ვიმსჯელებთ, ნაგავსა და მენაგვეს შორის ის განსხვავებაა, რომ ნაგავი მხოლოდ დროებითაა სანაგვეში, ხოლო მენაგვე კი მუდმივად. მაშ, ვინ უფროა ნაგავი - ნაგავი თუ მენაგვე? ნაგავს ხომ დროთა განმავლობაში გაიტანენ, ის სადღაც გაიხრწნება და მიწად იქცევა, ბალახად ამოვა, წვიმად წამოვა... მენაგვე კი დარჩება სანაგვეში. აღსანიშნავია ისიც, რომ მენაგვე სანაგვეში დაახლოებით იგივეა, რაც იმპერატორი რომში, ანუ მენაგვეს გაცილებით მეტი უფლება-მოვალეობები გააჩნია, ვიდრე ნაგავს. ის სანაგვეში ცოცხითა და აქანდაზით, როგორც კვერთხითა და სკიპტრით დაბრძანდება და წესრიგსაც ისე ამყარებს, როგორც თავად სურს. რომელ ნაგვის გროვასაც უნდა, მას დაკრავს წიხლს, თუ უნდა მოშარდავს, თუ უნდა იხიენებს. ვინ დაუშლის მას ნაგვის ბუნკერში ის აკუთოს, რაც სურს? ვინ არის რომში კეისარზე უფრო რომაელი?!

ეს აბსურდი სულაც არ არის და თუ წარმოვიდგინოთ, რომ ნაგავმაც ისევე, როგორც ყველაფერმა ამ ქვეყნად, შეიძლება განიცადოს ევოლუცია, ანუ სიცოცხლის მარტივ ფორმად ჩამოყალიბდეს და შემდეგ განვითარდეს, მაშინ, მე ვფიქრობ, ნაგავი დროთა განმავლობაში მენაგვედ ევოლუციონდება. არსებითად, იმავე ნაგავს გამოეზრდება ხელები, ფეხები და თავი; შრომის იარაღების ხმარებასაც ისწავლის: მაიმოიყენებს აქანდაზსა და ცოცხს, მაგრამ მიინც იმავე ნაგავად დარჩება. ნაგავი ნაგავია.

ისე, მეც კი ვინმე ვარ, მენაგვეებს ნამდვილად ტყუილად გადავწვდი, უსამართლოდ. ისინი სინამდვილეში კეთილი ხალხი და პატიოსანი მშრომელები არიან. ნაგვისა და მენაგვის მსგავსებაზე კი თეორია იმიტომ ჩამოვყალიბე, რომ ამით ჩვენი კინოლოგის, ჩვენი მეძაღლის ძაღლობა მსურდა დამემტკიცებინა.

დიას, ეს ასეა: ჩვენი დაწესებულების კინოლოგი გრიშა ძაღლია. ნამდვილი ძაღლია და ყურებიც სწორედ რომ "აწიარკასავითა" აქვს წინდაცქვეტილი. გრიშას რომ ვუყურებ, უღვაშებში მეცინება ხოლმე. მას სხეულის მოყვანილობაც თითქოს ძაღლური აქვს: წინწამო-

წეული ამაყი მკერდი და ღონიერი ფეხები, ძაღლური აღმსრულებლური მზერა, თითქმის მუდმივი შემართულობა და საოცრად სწორი მხრები, რომლებიც პაგონებისთვისაა ზედგამოჭრილი. თავის წინდაცქვეტილ ყურებში გრიშა ვერსაოდეს გაირჭობს ფანქარს და მასასადამე, დურგალიც არასოდეს გამოვა მისგან. არ არის ის დურგლად დაბადებული, არც კომპოზიტორად, არც ყინულზე მოციგურავედ. ის უბრალოდ ძაღლია, ისეთივე, როგორიც მე, ოღონდ უფრო ევოლუციონებული.

მე ამ კინოლოგის ცხოვნება რა ვთქვი, თორემ ჩემს ბედს ძაღლი ნამდვილად არ დაჰყვებდა. საქმე იმაშია, რომ ჩვენთან შსს-ს საძაღლეში ბევრნი ვყავდით ადამიანის მეგობრები და თუმცა ახლა მოდაში შემოვიდა შსს-ში სხვადასხვა ჯიშის ძაღლების ყოლა და გაავსეს საძაღლე ათასგვარი როტვეილერებით, პიტბულდებითა და დობერმანებით, მაინც ძირითადად ჩვენ ვართ - გერმანული ნაგაზები. ჩვენ უფრო ვაკმაყოფილებთ იმ მოთხოვნებს, რომლებიც სასამსახურო ძაღლებს მოეთხოვებათ. ჩვენ უფრო საზრიანები, ამტანები და რაც მთავარია, აღმსრულებლები ვართ - მორჩილები და აღმსრულებლები.

მიუხედავად ჩვენი კარგი თვისებებისა, ძაღლიშვილი კინოლოგების აზრით, ჩვენს შორისაც არის თურმე სხვაობა. რა თქმა უნდა, სხვაობა ყველაფერს შორისაც არის, ეს უდავოა, მაგრამ იმისი მიზეზი, რაზედაც ჩვენ დღემოდამ გვიკვირებენ, ეს ოჯახძაღლი კინოლოგები თავად არიან.

საქმე იმაშია, რომ თავიდან ქვეყანაზე არსებობდა ერთი ჯიში - გერმანული ნაგაზი, რომელსაც ჰქონდა თავისი სტანდარტები ანუ ზომები, წონები, ბენჯის სიგრძე, შეფერილობა და სხვა მონაცემები. თუ გამოერეოდა მათში ისეთი, რომელსაც ჰქონდა რაიმე გადახრა ნორმიდან, ეს ძაღლი ითვლებოდა წუნდებულად და მას უკვე აღარ იყენებდნენ საჯიშოდ და სანაშენედ. ასე ხდებოდა გერმანიასა და მთელ მსოფლიოში, ყველგან, მაგრამ არა ჩვენთან. ჩვენს ქვეყანაში გერმანული ნაგაზის და საერთოდ, ნებისმიერი ძაღლის ლეკვებს ჩვენი უტიზონო კინოლოგები უპირველესად სიდიდით აფასებდნენ. რაც უფრო დიდი იყო ლეკვი, მით უფრო ჯიშთანად ითვლებოდა ის და რადგანაც დიდ ლეკვებს კა არ იწ-

უნებდნენ, არამედ სპეციალურად არჩევდნენ მოსაშენებლად, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ძალის ახალი ფსევდო ჯიში, რომელსაც ჩვენმა მეძაღლეებმა (გრიშასნაირმა ძაღლებმა) აღმოსავლეთ ევროპული ნაგაზი უწოდეს. ეს ძაღლი ანუ აღმოსავლეთევროპული ნაგაზი ისეთივეა, როგორც გერმანული, ოღონდ უფრო დიდია ზომებში. თავიდან ჩვენი ამაყობდნენ ამით, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ახალი ჯიში ყველა მონაცემით ჩამოუყარდებოდა გერმანულს, გარდა, რა თქმა უნდა, სიდიდისა. აღმოსავლეთევროპული ნაგაზები მალე იღლებოდნენ, კარგად ვერ იღებდნენ გეშს, იყვნენ ნაკლებად მორჩილნი, ნაკლებად აღმსრულებელნი, ბევრს ჭამდნენ... ამიტომ კინოლოგები ისევ ძველ სტანდარტებს დაუბრუნდნენ: თავი ანებეს გერმანული ნაგაზიდან ახალი ჯიშების გამოყვანას და ისევ გერმანული ნაგაზების მოშენებას შეუდგნენ. ამიერიდან ზომაზე დიდ ძაღლებს, მითუმეტეს თუ ეს ზომაზე დიდი ძაღლი ხვადი იყო, აღარ აძლევდნენ გამრავლების საშუალებას.

აღარ აძლევდნენ და აღარ აძლევენ.

მე პირადად მამა გერმანული ნაგაზი მყავს და გერმანული ძუენას ძუძუ მიწოვია, მაგრამ ჩემმა სავალალოდ, ზომაზე დიდი გამაჩინა ჩემმა ძუენა დედიკომ. ჩემი ზომა-წონა ოდნავ აღემატება გერმანულისას და ამიტომაც ჩვენი კინოლოგის, ჩვენი მეძაღლე გრიშას, მაგ გოთვერანის გადაწყვეტილებით, მე ამეკრძალა გამრავლება!!! ახლა გამრავლება იქით იყოს და ძუ ძაღლებთანაც კი აღარ მიშვებდნენ, წარმოგიდგენიათ????!!!

ეს კინოლოგები ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან და რა ჩემი ბრალია, თუკი ცოტათი დიდი მოვევლინე ქვეყანას. აი, ჩემი ტყუპისცალი ჯულბარსი კი აკმაყოფილებს სასტანდარტო მოთხოვნებს. ამის გამო ის არის გრიშას რჩეული, ის ანაყოფიერებს ჩვენი დანესებულების უკლებლივ ყველა ძუ გერმანულ ნაგაზს და, რომ იტყვიან, ჩვენი დანესებულების ხონთქარ-გამნაყოფიერებელია. ჯულბარსი კი არა, შაჰ-აბასი უნდა ერქვას მაგას. და მე, პრინციპში ასეც ვეძახი. თუმცა ამით რა, ეს მას სულაც არ სწყინს, ძაღლისთვის ხომ მეტსახელი იგივე სახელია, ასე ვთქვათ, "კლიჩკაა", თანაც ირითმება: ჯულბარს-შაჰ-აბას.

ეე-ჰ, მე კი დამტოვეს უფუნქციოდ და... მაშინ ბარემ დამასაჭურისონ საჭურისი ალა-მაჰმად-ხანივით და ასეც დამიძახონ ხარიტონის მაგივრად ალა-მაჰმად-ხანი. არადა, ჯულბარსი ჩემი ტყუპისცალია. კინოლოგების აზრით კი, ის გერმანული ნაგაზია, მე აღმოსავლეთევროპული. ჭკუა აქვთ ახლა მაგათ?! ის შაჰ-აბასი - გამანაყოფიერებელი, მე კი ალა-მაჰმად-ხანი ვარ საჭურისი... თუმცა ამას ყველაფერს ცოტათი, რა თქმა უნდა, ვაზვიადებ. სინამდვილეში, თფუ-თფუ-თფუ-და არავითარი საჭურისი მე არა ვარ, არამედ გახლავართ კარგი ყვერებიანი ხვადი ნაგაზი და თუ ვინმეს ამაში ეჭვი მინც ეპარება, ჩემთან მობრძანდეს ბატონო და ისეთ დამამტკიცებელს წარმოვუდგენ, რომ ტანში სულ ელეთ-მელეთმა დაუაროს. ჰო ასეა, მე საპოლიციო ნაგაზი ვარ და ცოტა არ იყოს, უხეში ლაპარაკი ვიცი. აბა, ის კი არ ვარ, რა ქვია იმას, ბალონკა, ან რაცხა პუდელი დეკორატიული, რომ ვეპირფერო ყველას მარჯვნივ და მარცხნივ ზიზილპიპილოვანი სიტყვებით.

ძალიან მიძნელდება ჩემი ბლოკ-საგუშაგოს ადგილმდებარეობის ზუსტი აღწერა, მაგრამ იძულებული ვარ ეს გავაკეთო, რადგან საქმეს ასე სჭირდება. იქ იმდენი კედელი, ბოძი და მავთულხლართია, რომ თავგზა იცხებვა კაცს, სხვათა შორის ძაღლსაც. ერთი ციცქნა ადგილი, რომელშიც მე დღეღამად მისდებოდა ყურყუტი, უკნიდან ორი მაღალი ლობით არის შემოზღუდული. ამ ორი ლობის გადაკვეთაზე, იქ, სადაც ლობები ერთმანეთს ხვდებიან, იქმნება ასოცდათხუთმეტგრადუსიანი კუთხე. შექმნილი კუთხის ძირშია პატარა ხუხულა, რომლისთვისაც მე თამამად შემეძლო მენოდებინა ჩემი, რადგან მისი უდიდებულესობის, კინოლოგ გრიშას წყალობით, ამ ბოლო ხანებში სულ მე მტოვებდა იქ, სხვა პოსტებზე არ გადაყავადი. ჩემს წინ რკინის პატარა ჭიშკარი იყო და ვინორ ბილიკი, რომლითაც მოდიოდა ხოლმე გრიშა დღეში ორჯერ ან ერთხელ და მოჰქონდა საჭმელი, წყალი, გაჰქონდა ჩემი განავალი. ეჰ, ბედი ჩემი რა ვთქვი, მეჯავარებოდა ეს კაცი და მაინც ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიხარული ჩემთვის მისი მოსვლა იყო. მას ხომ საჭმელი მოჰქონდა ჩემთან. ცალ ხელში წყლით საესე დიდ ვედროს დაიჭერდა ხოლმე, ხოლო მეორეში ვედროს საჭმლის

ნარჩენებით. წესით, მაგ საზიზლარს მეხუთე კატეგორიის ხორციტ უნდა ვეკვებე, რადგან ასეთი ხორცი ეძლევათ მეძალეებს ჩვენთვის. ეს არის საქონლის კუდები, ცხვრის ყბები, ქათმის ნისკარტები და ათასი სხვა ნაგლეჯები, მაგრამ გრიშა ჯერ თავისთვის აარჩევდა ხოლმე საქმელად ვარგის ნაჭრებს, ხოლო მორჩენილი კოკლოზინა ულუფებით სხვა ძალღებს უმასპინძლებოდა - ჯერ პირველ რიგში თავისას, რომელიც სახლში ჰყავს, რომელსაც იქ უზიდავს და რომელიც, სხვათა შორის, აქედან შსს-ს ძალღსაშენიდან მოიპარა, როცა ის სულ პატარა ლეკვი იყო. შემდეგ აქაურ ძალღებს, თავის რჩეულებს აპურებდა, ხოლო მე და რამდენიმე ურჩ ამუნისა კი მხოლოდ პატიმრების სასაძილოდან მოთრეული ნარჩენებით გვკვებავდა. ხანდახან თუ ჩააგებდა ხოლმე საქმელში, პარდონ, საქმლის ნარჩენში გემოს მისაცემად ღორის კუდს, ცხვრის ყბას ან ქათმის ნისკარტს. ტრაკში შეიტყნოს თავისი ღორის კუდი, ცხვრის ყბა და ქათმის ნისკარტი, ხოლო თუ ადგილი რაიმე დარჩა, მაშინ ჩემი ისიც ზედ მიიმატოს სასიამოვნო საცობის სახით. მანანალა ძალღის შვილი ვიყო, თუ მე მაგას ერთხელ კიდეც ტრაკი არ გამოვაგლიჯო! მაპატიეთ ასეთი უპარდონო სიტყვებისთვის, მაგრამ რა ვქნა, გამოიგეთ, ერთი ჩვეულებრივი საპოლიციო ნაგაბი ვარ, ციხის ზედამხედველებთან, პატიმრებთან და ჩემნაირ ძალღებთან მიხდება სულ ურთიერთობა და სიტყვა-პასუხიც ისეთი მაქვს, როგორც შემეფერება.

ასოცდათხუთმეტკრადუსიანი კუთხე, რომელიც ჩემი ბლოკპოსტიდან უკან იკვრება მაღალი, ოთხმეტრიანი ბეტონის მავთულხლართებით თავდაბურული გალავნით, მე თავისუფლებისაგან მზღუდავდა. გალავანს იქით მართალია თავისუფლება იყო, მაგრამ მე მხოლოდ იქიდან გადმოფრენილ ჩიტებს თუ ვხედავდი. სამაგიეროდ, კარგად ვხედავდი ღობეების აქეთა მხარეებს. ხუხულადან როცა ვიხედავოდი, ჩემგან მარცხნივ განლაგებული იყო გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის სანარმოო ზონა, ხოლო მარჯვნივ საპრობილე. ამ ორ დანესებულებას შუაზე ყოფდა გრძელი, ბოქბიანი და მავთულხლართბიანი ღობე.

მარცხნიდან გამუდმებით ველოდი საფრ-

თხეს და აი, რატომ: იქ, იმ დანესებულ სანარმოო ზონის ერთ-ერთ საამქროში პატიმრები ამზადებდნენ ისეთ პროდუქციას, რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობით საკისრებს, მეორე საამქროში კი ამზადებდნენ პროდუქციას, რომელიც შეიცავდა ყვუტის რეზინებს. ჰოდა, პატიმრებს ყვუტის რეზინებიც და საკისრის ბურთულებიც თავზესაყრელად ჰქონდათ. ისინი ყვუტის რეზინებით შურდულებს აკეთებდნენ, ხსოლო დამტკრეული საკისრებიდან ამოღებულ ფოლადის ბურთულებს ისროდნენ ამ შურდულებით. და თუმცა შურდულის გაკეთებისა და ხმარებისათვის კოლონიის ადმინისტრაცია მკაცრად სჯიდა პატიმრებს, ისინი მაინც არ იშლიდნენ თავისას და ჩიტებზე და მტრედებზე ნადირობდნენ. ყველაზე კარგი გასართობი კი მათთვის ის იყო, რომ როცა დროს მოიხელთებდნენ, ფოლადის ბურთულებს მესროდნენ ამ შურდულებით. მინდა გითხრათ, რომ პატიმრებს რაღაც თანდაყოლილი, ტრადიციული ზიზლი და სიძულვილი გააჩნიათ ჩვენს, ანუ სასამსახურო ძალღების მიმართ და ჩვენც ლეკვობიდან ვართ მათზე დაგეშილები. ჩვენს კინოლოგებს, მაგ ძალღიშვილებს, ისეთივე ძალღიშვილებს, როგორც მისი უდიდებულესობა, ბატონი გრიშაა, სანყობებიდან და კაპიტორკებიდან გამოაქვთ ძველი, პატიმრული, ციხის სუნიანი და პატიმრის სუნიანი ძონძები - ბუშლატები, ტელაგრიეკები, ქუდები \_ ამ ძონძებს იცვამენ და გვაღიზიანებენ: ხან ხელს ნამოგვარტყამენ, ხან ფეხს გაგვეკრავენ და მერე გარბიან. ეს ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან გვაბრაზებს და პატიმრის დანახვისას, ან მისი სუნის შეგრძნებისას, რომ იტყვიან, გაკვრა-გაგლეჯაზე ვართ ხოლმე. თუმცა ისე, ჩვენში დარჩეს და, ძალღმა რომ თქვას, აბა რა მაგ საცოდავების ბრაღია. ეს ყველაფერი ხომ კინოლოგების დაგეგმილია, მათი ხრიკებია, შედეგია მათი შეთქმულებისა სასამსახურო ძალღების, საბრალო პატიმრების და მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ.

მე თუმცა ძალღი ვარ და ჩემი გონიერება, უეჭველია, ჩამოუვარდება ადამიანის გონიერებას, მაგრამ მაინც ასე თუ ისე მესმის ეს ყველაფერი. პატიმრებს კი, ყოველ შემთხვევაში მათ დიდ უმრავლესობას, არ ესმოდათ. ისინი გამუდმებით მესროდნენ შურდულები-

დან და მეც მეტი აღარაფერი დამჩნეოდა იმის გარდა, რომ ჩემს ხუხულაში შეეყუყუულიყავი კბილების ღრჭენით.

თუ ასოცდათხუთმეტგრადუსიანი კუთხის მარცხენა მხარე საშიში და ზიანის მომტანი იყო ჩემთვის, მარჯვენა (საპრობილის) მხარე იყო მომტანი სისარულის და ბედნიერებისა და არა იმიტომ, რომ იქიდან მე არავინ მესროდა საკისრის ბურთულებს (თუმცა ამიტომაც), არამედ იმიტომ, რომ იქ საპრობილის განცალკევებულ საკანში იჯდა და ზის რეციდივისტი ნონა - ჩემი სიმპათია და სიყვარული. ნონა სინამდვილეში სულაც არ არის რეციდივისტი, ანუ ასეთად მას თავად რეციდივისტები არ ცნობენ და თუ ცნობენ, მხოლოდ დაცინვით და ქილიკით. ნონა მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი წითური ქალია. რეციდივისტად კი იგი ცნო სასამართლომ, რადგან ხუთჯერ არის ნასამართლევი და ხუთჯერვე აბორტის საკუთარი ხელით საკუთარ თავზე გაკეთების გამო. მაგრამ რა ქნას საბრალო და გულმონყალე ქალმა, რომლის მოსიყვარულე გულს არ ძალუძს, უარი უთხრას თუნდაც ვინმეს. ჩვენი ხისტი კანონი კი არ იძლევა აბორტის გაკეთების უფლებას, თუ ეს განსაკუთრებული ვითარება არაა, ანუ როცა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და როგორც ცნობილია, უკანონო აბორტის გამკეთებელ ექიმებს ჩვენს ქვეყანაში ხელებს აჭრიან.

ასეთია თუ ისეთი ნონა, მე ის შემიყვარდა. მიყვარდა! მიყვარს! და მეყვარება! ნონას საკანზე არ იყო დამატებითი ფალუზები, ეგრეთ წოდებული ბაიანი. ეს, ალბათ როგორც ერთგვარი შეღავათი საპრობილეში მჯდომი ქალებისადმი, რადგან რეციდივისტი ქალები თითზე დასათვლელნი არიან ჩვენს ქვეყანაში, ხოლო საპრობილეში მჯდომი ქალი ერთი იყო მაშინ, დანარჩენები სასჯელს ქალთა კოლონიაში იხდიდნენ და იხდიან. თითქოსდა ქალის პატივისცემისთვის კეთილმოწყობილ, უფალუზო, მარტოოდენ გისოსებიან საკანში იჯდა ნონა და ოპერი ლორისათვის ფულს აკეთებდა. ნონას უამრავი შეყვარებული ჰყავდა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში, თუ ასეთებს საერთოდ შეიძლება ეწოდოს შეყვარებულები. ისინი სანარმოო ზონის სახურავებზე წამოსხდებოდნენ ხოლმე და გარკვეული

საფასურის სანაცვლოდ ნონას სხეულის სასირცხო ადგილების ცქერით ტკებოდნენ: ერთი ძუძუს გამოჩენას თავისი ფასი ქონდა; ორჯერ უფრო ძვირი იყო ორივე ძუძუს გამოჩენა; შესაბამისი საფასურის გადახდისას შესაძლებელი იყო ცეცხლოვნად მწითური ბენვინი სამკუთხედის ხილვა პატიმარი ქალის ფეხებს შორის, ხოლო ყველაზე ძვირია იყო სტრიპტიზი, რომელსაც ნონა მართავდა პატიმარი მამაკაცებისათვის, როცა ის ფანჯრის რაფაზე აძვრებოდა ხოლმე და ერთობ რითმულად როკავდა კოლონიის რადიოს მიერ გადმოცემული გამაყრუებელი ჰანგების აკომპანიმენტის ქვეშ. ნონა თანდთან იხდიდა ცეკვისას და მწითური ქალის საოცრად თეთრი სხეულიც ნელ-ნელა აჯადოებდა ქალს დანატრულ პატიმრებს.

ანთებული თვალებით შევცქეროდი ხოლმე ნონას მეც. მის მიერ დემონსტრირებული სანახაობა ჩემი ბლოკსაგუშაგოდან ერთობ ხელსაყრელი საცქერალი იყო, რადგან მე გაცილებით ახლოს ვიყავი, ვიდრე ნებისმიერი სამპქროს თავზე მჯდომი, სათვალეებიდან გაკეთებული, თვითნაკეთი ჭოგრიტით მაცქერალი პატიმარი მამაკაცი. ნონას მოთხოვნით პატიმრები სტრიპტიზის დროს არ მესროდნენ შურდულებიდან და ამ ხანმოკლე დაზავებებისას ყველასთან ერთად მეც ვტკებოდი მწითური ნონას სხეულის მზერით.

არსებობს ადამიანებში ერთგვარი გადახრა ნორმიდან, რომელსაც, თუ არ ვცდები, ზოოფილია ჰქვია. ამ დროს ადამიანს უჩნდება უცნაური მიდრეკილება სექსობრივი უნის ცხოველებთან დაკმაყოფილებისა. რა ინვეს ამგვარ გადახრას ადამიანებში, ამის შესახებ ერთიანი აზრი მეცნიერებაში არ არსებობს და ალბათ არც შეიძლება ამას რომელიმე ერთი გარემოება, ინვედეს. როგორც ჩანს, გარემოებათა მთელი კომპლექსი უნდა იყოს ამგვარი უჩვეულო გადახრის მიზეზი. თუმცა მთავარი გარემოება გამომწვევი ამ გადახრისა, ალბათ მაინც ადამიანის მარტოობა უნდა იყოს. ასეა ეს თუ არა, ან დაავადებაა თუ მხოლოდ ნორმიდან გადახრა ზოოფილია, მე ეს არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მწითური რეციდივისტი ნონა ნამდვილი ზოოფილი იყო. ის ხარბი თვალებით შესცქეროდა ხოლმე გადმოგდებულ ჩემს ხვადურ სანყისს და ამ





საქტერლით ალტყინებული, შავ სამოსელში გამოწყობილ ალგზნებულ პატიმართა ხვაშია-დანაი შეძახილებით გამხსნევეული თავდა-ვინწყები იხდიდა ტანზე და ეძლეოდა რით-მულ ცეკვას.

თუ ადამიანებში ცხოველებისკენ სქესობ-რივ ლტოლვას ზოოფილია ჰქვია, ალბათ ად-ამიანოფილია უნდა ერქვას ადამიანების მი-მართ შესაბამის ლტოლვას ცხოველებში. და მეც "ადამიანოფილური" ლტოლვით ვილტვო-დი ხოლმე გისოსებს მიღმა დამწყვედიული, ფანჯრის რაფაზე მოცეკვავე ქალისკენ. და ეს სიყვარული იყო! საზოგადოებისთვის მიუღე-ბელი, აღმაშფოთებელი, ამაზრუნენი, მაგრამ სიყვარული - თუმცაღა ისეთივე უზადრუკი, როგორც ჩვენი, ანუ ჩემი და ნონას დანყვე-ლილი ცხოვრება და ბედი.

პატიმრები თვითნაკით მშვილდისრებითა და ჩასაბერი ჰაერის თოფებით ისროდნენ პა-ტარა ისრებს, რომლებზედაც გამოზმული იყო ხოლმე ძალიან წვრილი ძაფი. ამ ძაფს აბამ-დნენ პატიმრები კანაფს და მისი საშუალებით აწვდიდნენ ნონას გემრიელ საქმელს, თვითნა-კეთ სამკაულებს, ნარკოტიკებს და ფულს, სა-სიყვარულო ბარათებსაც აბამდნენ ხოლმე ბა-რათების მოყვარულები. ნონაც წერდა მათ სიყვარულზე და ოპერწმუნებულ ლორიას მითითებით სთხოვდა მათ ათას რამეს. "დაგა-ვორი" ასეთი იყო: ნარკოტიკები, გემრიელი საქმელი, თვითნაკით სამკაულები, წერილები და სხვა რამეები ნონასი იყო, ფულს კი ლო-რია იღებდა. მის მოტყუებას ნონასთვის აზრი არ ქონდა, რადგან ეს ძალღიშვილი ლორია ნამდვილი ნათელმხილველი გახლდათ და ყო-ველივე უწყოდა კოლონიაში საიდან რა შე-დიოდა და გადიოდა. ნონა არ იყო უკმაყო-ფილო ამგვარი თანამშრომლობით და არც მე, რამეთუ მეც მერგებოდა ხოლმე ტკბილი ნა-ჭერი პატიმრების მიერ ნონასთვის მოწვდილი სასუსნავიდან.

ნონას შესახებ და ოპერწმუნებულ ლორი-ას შესახებ მე, ძვირფასო საზოგადოებავ, კი-დევე გაიპობობთ, მაგრამ ჯერ მინდა ჩემი ჭირ-ვარამი ბოლომდე გაგიზიაროთ, რათა მეტნაკ-ლებად ნათელი წარმოადგენა შეგექმნათ, თუ რატომ მოხდა ეს ყველაფერი ანუ რამ მიმიყ-ვანა მე, ერთგული და აღმსრულებელი საპო-ლიციო ნაგაზი დანაშაულამდე. ძაღლის

ერთგულებაზე ხომ ლეგენდები დადის ოდით-განვე და თუ იქმნება ვითარება, როცა ძალ-ლებიც კი დანაშაულს წაადიან, ეს ალბათ მე-ტად სავალალოა საზოგადოებისთვის.

ყველაზე უსაზიზღრესი არსება, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, ეს ჩვენი კინოლოგი გრიშაა, რომლის დანახვაც კი მძაგრავს, რად-გან ეს მისი გადანყვეტილებით გაგხდი ყვე-ლაზე არასახარბიელო ბლოკპოსტის მუდმივი გუშაგი. ეს იმის გამოა, რომ სანატრელი გა-მისდა ჩემი კუთვნილი მეხუთე კატეგორიის ხორცი. მისი ბრალია, ტყავი დაცხრილული რომ მაქვს შურდულიდან ნასროლი ფოლადის ბურთულებით... მაგრამ ეს ჩამონათვალი მხო-ლოდ ნატამალია ჩემი სიძულვილის გამომწვე-ვი მიზეზების კომპლექსისა, რომლის ძირითა-დი, ყოვლისმომცველი ნაწილიც არის ის გა-რემოება, რომ მე -- გრიშას მოძულე თავმოყ-ვარე ძაღლი, სიხარულით ველოდი ხოლმე მის გამოჩენას. დიას! დიას! იგი მე მაშომიღებდა და წყურვილით მკლავდა, მიჭამდა საქმელს, სანატრელს მიხდიდა თავის მოსვლას ჩემთან და მეც სიხარულისგან ცას ვენეოდი ხოლმე, როცა ვხედავდი თუ როგორ მოჰქონდა საკ-ვები და წყალი კინოლოგს. მე ჯერ წყალს დავენაფებოდი, შემდეგ კი სალაფავს ვთქვლეფდი თავდავიწყებით. გულარხინად ვიტანდი ჩემი მისამართით წარმოთქმულ სა-ლანძღავ სიტყვებს და სულ იმ სანატრელ დროზე ვფიქრობდი, როცა ჩემი მჭიდროდ ჩანყობილი, ჯანმრთელი კბილებით ღონივ-რად ჩავაფრინდებოდი გრიშას საჯდომს, თავს ელვის სისწრაფით გავიქნევე-გამოვიქნე-ვი და ღონივრად დავბრდღენიდი. რალა თქმა უნდა, ეს ფიცის ღალატია, როდესაც თანამშ-რომელი თანამშრომელს საგანგებო დავალე-ბის შესრულების დროს ტრაკში ებდღენება, მაგრამ სწორედ რომ ასეთი გზითა და სახით ვოცნებობდი ჩემი შურისძიების განხორციე-ლებას. ჯერ ერთი, მე რომ კინოლოგისთვის ბლოკპოსტზე, საძაღლეში ან საერთოდ შსს-ს ტერიტორიაზე მეკბინა, ეს ძალიან სანა-ნებლად გამიხდებოდა, რადგან მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლე გამწარებული მექნე-ბოდა ჩემი გამმწარებლის მიერ, უარეს შემთხ-ვევაში კი მე უბრალოდ, ძალღიშვით მომკ-ლავედნენ ავტომატიდან. მომკლავდნენ ისე-ვე, როგორც ცხონებული მუხტარი მოკ-

ლეს, რომელმაც გრიშას წინამორბედ კინოლოგს ვიტალის თითი მოაჭამა.

ამიტომაც მოვამზადე ჩემს გონებაში ჭკვიანური, თუმცა მზაკვრული და მუხანათური გეგმა. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ნდობით აღჭურვილი ძალი გაემხდარიყავი გრიშას თვალში, მიმელწია იმისთვის, რომ ამ უკანასკნელს პატიმართა ბადრაგირებაზე წავეყვანე და თუ რომელიმე მათგანი გაიქცეოდა, კინოლოგი, რასაკვირველია, საბელს შემხსნიდა და გაქცეულს დამადევნებდა. აი, სწორედ ამ დროს, იმის ნაცვლად, რომ გაქცეული დამეკავებინა, მე კინოლოგს მივუბრუნდებოდი და მას ვუვებდი პატიმრის ნაცვლად, საჯდომს გემრიელად გამოვუგლეჯდი და ნანატრ თავისუფლებას გავწვინებდი.

მართლაც, როგორც კი ეს აზრი მომიმწიფდა თავში, იმ დღიდან სულ ერთგულად შევციცინებდი კინოლოგს თვალბეჭდებში, გავეთამაშებოდი ხოლმე, მის ბრძანებებს მსწრაფლ ვასრულებდი, ვუქიციებდი კუდს. ამან გაჭრა. ამ სულელმა გაკვირვებით, მაგრამ ყველაფერი დაიჯერა, ჩემი გამოსწორება იწამა და გარკვეული დროის გავლის შემდეგ ბადრაგირებაზე წამიყვანა. მე ახლა პატიმრების გადაყვანის დროს ვახლდი ხოლმე გრიშას. ჩვენ პატიმრები კოლონიიდან და საპყრობილიდან გამოგყავდა, ავტოზუკში ვსხამდით, მიგვყავდა რკინიგზის სადგურზე და ალყაში მოქცეულებს ავტოზუკიდან ვაგონზუკში ვსხამდით. მართალია, მე ჩემს ნონას ახლა უკვე ნაკლებად ვხვდებოდი, უფრო მისი ყვირილი მესმოდა გისოსებიანი ფანჯრიდან, მაგრამ სამაგიეროდ, ვსულდგმულობდი იმედით, რომ გრიშა როდისმე მოუშვებდა საბელს. რა თქმა უნდა, მე შემეძლო პატიმრის გაუქცევლადაც მეკბინა გრიშასთვის, რა თქმა უნდა, საბელითაც არ ვიყავი ყოველთვის შეზღუდული, მაგრამ მე მჭირდებოდა აქტის სიმბოლური მხარე, ანუ მსურდა ყველაფერი განმეხორციელებინა მაინცდამაინც მაშინ, როცა პატიმარი გაიქცეოდა, რომ ყოველივე ეს უფრო მტკივნეული ყოფილიყო მეძალისთვის, რომ ფიზიკურ ტკივილთან ერთად მას მორალური ტკივილიც ეგრძნო. ხომ ცუდაა, რაღაც რომ გიმოხთლებს უდროო დროს. აი, ასე მიწოდდა მემუხთლა მისთვის. მას ხომ პატიმრის გაქცევისთვის საჭიროდ უნდა გამოუცხადებდნენ პირად საქმეში

შეტანით, ხოლო საყვედურს დაკბენილი ტრაკიც დაერთოდა თან.

... მაგრამ არა და არ სურდათ წყეულ პატიმრებს გაქცევა, რადგან ადამიანი შეიძლება გაექცეს საკუთარ თავს, მაგრამ აბა ტყვისა, ბადრაგს და გერმანულ ნაგაზს სად გაექცევა. რა იცოდნენ საბრალო პატიმრებმა, რომ მე მათ დაჭერას სულაც არ ვაპირებდი. პირიქით.

და აი, მოვიდა დრო და ერთხელ მაინც მოხდა კოლონიიდან ნანატრი გაქცევა. ეს გაქცევა განახორციელა ყოფილმა კოლმურნეობის მინისტრმა, მეტსახელად ტრანშიყლაპიამ. ტრანშიყლაპია თავისი მინისტრობის დროს მარცხნივ და მარჯვნივ აძლევდა ქრთამებს, მარცხნიდან და მარჯვნიდან იღებდა ქრთამებს, ყვლეფდა და ანიაგებდა ხალხის ქონებას. მე დახუსტვებით არ ვიცი, რა არის ტრანში - ეს, მე მგონი, უცხოეთიდან ხალხის დასახმარებლად გადმოგზავნილი ფულია. ის კი ვიცი, რომ ტრანშიყლაპიას მინისტრობის დროს უამრავი ტრანში უკვლოდ გაქრა და ამიტომაც შეარქვეს მას ასე. შემდეგ, როცა ექსმინისტრი ძალიან გაქსუვდა (და გასუქდა), ინტერესთა ჭიდილი შეექმნა ზოგიერთ თავის მეგობართან, ხელქვეითთან თუ ხელმძღვანელთან - ისეთივე ყლაპიებთან, როგორც თვითონ იყო. მან ამ ჭიდილში ბრძოლა წააგო და დამარცხებული ციხეში აღმოჩნდა. და თუმცა ფიასკო განიცადა, ამის გამო მას ჭამის მადა, რა თქმა უნდა, არ დაუკარგავს და არც იმ დონეზე დაძაბუნებულა, რომ სასჯელალსრულების დანესებულებებში რამე ჰკლებოდა. ექსმინისტრი ჭამდა "სგუშჩონი მალაკოებს", ქვაბით მოტანილ პილმენებს, რომლებიც მისთვის ყოველ ცისმარე დღეს მოჰქონდათ თავისუფლებიდან, ჭამდა არაქანს, ძეხეს, საცივს, მანგოს, ნაპოლონს, სვამდა წითელ ღვინოს და რევანსისთვის ემზადებოდა. ამ ექსმინისტრმა მოისყიდა ციხის ადმინისტრაცია და შსს-ს ზოგიერთი ხელმძღვანელი და განახორციელა კოლონიიდან გაქცევა. მოლაღატე მეციხოვნეებმა მას საკუთარი ხელით გაუთხარეს ოცდაათმეტრიანი გვირაბი, რომელიც, ტრანშიყლაპიას სისქის გათვალისწინებით, ორჯერ უფრო განიერი იყო ჩვეულებრივზე. გაქცევის დღე დათქმული იყო. შეთანხმებული იყო ზუსტი დროც. და სწორედ ამ დროისთვის ელოდებოდა გალავანს მიღმა შ-

ვი ლიმუზინი ჩვენს ლტოლვილს. გაქცევის მომწყობთა გეგმით, ექსმინისტრი შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გამძვრალიყო ხერულში, სწრაფადვე ჩამტარაიყო ლიმუზინში, ძრავაამუშავებული ლიმუზინის საჭესთან მჯდომ გამოცდილ მძღოლს ადგილიდანვე დიდი სიჩქარით უნდა დაედრა ავტომანქანა, გაგარდნილიყო და თვალს მიფარვოდა. ამის შემდეგ უნდა ატეხილიყო ჩოჩქოლი, განგაში და დენვა. ოპერაციას ხელმძღვანელობდა ოპერირმუნებული ლორია.

ფ. 312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

312

რომ გრიშასთვის მეკბინა, დიდი სისწრაფით დავედევნე ტრანშიყლაპიას, შევძვერი ხერულში და მეგონა, მალე სამშვიდობოს გავალმეთქი, მაგრამ... "ჰოი, სანუთროვ, ცრუო სოფლო!", აღმოჩნდა, რომ ეს შობელძალლი შუა ხერულში გაჭედლიყო. ის სქელ ფეხებს სასაცილოდ ახვანცალებდა და ვერც წინ, ვერც უკან ვეღარ იძვროდა. მე გამოოქვერი და გრიშას ძალღურად მოვასხენე ვითარება. გრიშა აცმუკდა, ანკმუტუნდა და ჩემი ნათქვამი ავტომატინანებს აუნყა. ავტომატინანებიც აცმუკდენ და ანკმუტუნდნენ. მათ ხელით რალაც ანიშნეს მოშორებით ჩასაფრებულ მაიორლორიას და ეს ღიმიანიც ქოშინით გამოვარდა, ყვირილი დაინყო და გრიშას უბრძანა: "ძალლი შუეშუიო". ჩემზე! გრიშამ მე მიბრძანა: "შეძვერიო", მაგრამ მე ვუთხარი: "ეგ ისეა გაჭედლი, მე მაგას ვერ გამოვათრევ-მეთქი". თან ისეთი გაბრაზებული ვიყავი ყველაზე, რომ დანა პირს არ მიხსნიდა. გრიშამ გადაუთარგმნა ჩემი ნათქვამი ლორიას. ლორიამ ნათქვამის გაგონებაზე შუბლში მჯილი იკრა, მე წიხლით გვერდზე გამაგლო და გრიშას უთხრა: "შეძვერი და უწინდან მიანქეიო". გრიშა შეძვრა, მიანვა, მაგრამ ძვრა ვერ უყო ტრანშიყლაპიას. ჯახირის შემდეგ გამოძვრა მტვერში ამოგანგალოლი და მაიორს მოასხენა: "ძვრა ვერ ვუყავიო". "მაშინ აქეთ მიანც გამოაძვრინეო" - უბრძანა მაიორმა. გრიშა შეძვრა, გამოძვრა და მოასხენა მაიორს: "ვერც აქეთ გამომითრევიო". მაიორმა ისევ შეაგლო გრიშა ხერულში: "არ გამოხვიდე, სანამ არ გამოათრეო". გრიშა შეძვრა ხერულში, საიდანაც დიდხანს ისმოდა ხენეშა, ფრუტუნი, ფხუკუნი და გინება. ეს გაგულსებული გრიშა აგინებდა ტრანშიყლაპიას, რადგან ეს უკანასკნელი ვერა და ვერ გამოეთრია უკან. მაშინ მე უკანა თათებზე დავედექი, მარჯვენა ხელს საფეთქელთან მივიტანე და მაიორ ლორიას მივმართე: "ნება მიბოძეთ, მოგასხენოთ ამხანაგო მაიორო!". მაიორმა ერთობ გაიოცა ჩემი ამგვარი საქციელი და აგრეთვე ის, რომ აღაშინაური ენით აულაპარაკდი, მაგრამ მიუხედავად მოულოდნელობით გამოწვეული დაბნეულობისა, მაინც გასწორდა წელში, მაინც მიიღო ხელი საფეთქელთან და სამხედრო ყაიდაზე მიპასუხა: "მომასხენეთ ამხანაგო ძალლო!". "ამხანაგო მაიორო, ნება მომე-

საქართველოს  
 კანონმდებელი  
 კრების  
 პრეზიდიუმი  
 ადამიანთა

ცით, ვუკბინო კინოლოგ გრიშას საჯდომზე, რის შედეგადაც კინოლოგი სიმწრისგან უკუბუნს ექსმინისტრ ტრანშიყლაპიას საჯდომზე, ხოლო ეს უკანასკნელი ტკივილისაგან არათუ ხერხელს, ნემსის ყუნშიც გაძვრება“, - ვუთხარი მე. “ბრავო! ბრავო! ბრავისიმო!, მაგრამ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფერი ასე მოხდება ამხანაგო ძაღლო?” - მკითხა მაიორმა. “დახს, თქვენო კეთილშობილებავ! ოღონდ მიბრძანეთ!” - მოვახსენე მე. “იქნებ პირდაპირ ტრანშიყლაპიასთვის გეკბინათ ამხანაგო ძაღლო?” - შემომთავაზა მაიორმა. “არაფრით არა, ამხანაგო მაიორო, ექსმინისტრი დიდი პოლიტიკოსია და საპოლიციო ნაგაზის ბასრი ეშვები მეტად უხეშად დააჩნდება მის ფაფუც ტაკუნებს. აი, კინოლოგის კბილები კი ისეთ უმნიშვნელო ნაიარევს დატოვებს მის წარმტაც ტაკოზე, როგორც ბავშვის ნაკბენია ხოლმე კარალიოკზე ოქტომბრის თვეში!” - ვუთხარი მე ლორიას. “ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე, ოქტომბრის თვეში... რა პოეტურია! იმოქმედეთ ამხანაგო ძაღლო, სსს-აა!!!”. ოჰ, რომ იცოდეთ, ძვირფასო მეგობრებო, რა საამოა სანუკვარი ბრძანების ერთგულად შესრულება. მე დავიძაგრე, ადგილიდან მოვწყდი, ხერხელში შევევრდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, გრიშას სახჯდომს კბილებით დავეწაფე. გრიშამ სიმწრისაგან იღრიალა და ექსმინისტრს ჩააფრინდა კბილებით ტრაკში. ექსმინისტრი ხერხელში მოცურდა. ჯახირის, ხენეშის, კრუსუნის და უაზრო ფუსფუსის შემდეგ მაიორმა ერთი ავტომატიანი შემოაგდო ხერხელში, რომელმაც მე მიკბინა და მინდა გითხრათ, ისე მწარედ, რომ მე არც კი მოველოდი, თუ ადამიანებსაც შეეძლოთ ასე ძალღივით კბენა. მე, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მაგრად ვუკბინე გრიშას, რომელმაც, თავის მხრივ, უკბინა ექსმინისტრს, რის შედეგადაც ექსმინისტრმა ტკივილისგან ხერხელი გააფართოვა და ორმოციოდე სანტიმეტრით წაიწია წინ. შემდგომ ამისა, ხერხელში შემოძვრნენ დანარჩენი ავტომატიანებიც და საქმემაც საგრძნობლად წინ წაიწია, მაგრამ აქ დროის უკმარისობის ფაქტორიც იყო და ამიტომაც გააგულისებული ლორია თავად შემოძვრა ხერხელში და სასონარკვეთით უკბინა სულ ბოლო მეავტომატეს - მოხდა ჯაჭვური რეაქცია და ამ ბოლო, საშინელმა ნაკბენმა,

როგორც მძლავრმა ელექტრულმა მუსტმა, ყველას ხსეულეებში დაგვიარა. გრიშას კბილებსა და ექსმინისტრის საჯდომს შორის მოხდა მოკლე ჩართვა. გრიშამ ისეთი ძალით უკბინა ექსმინისტრს ტრაკზე, რომ ამ უკანასკნელმა გვირაბი გაანგრია და როგორც ორთქლმავალმა ვაგონები, ისე გაგვიტანა სამზეოზე ყველანი - გრიშა, მე, ოთხი მეავტომატე და ლორია...

ეჰ, მე მგონა, სამშვიდობოს ვარ-მეთქი, მაგრამ “ჰოი სანუთროვ, ცრუო სოფელო!” შეთქმულება ჩაშვებული აღმოჩნდა და ჩვენს ექსმინისტრს ლიმუზინით კი დაუხვდნენ, მაგრამ არა შავით, არამედ თეთრით. ამ ლიმუზინიდან უშიშროების სამსახურის თანამშრომლები გადმოვიდნენ. “დაყარეთ იარაღი! წინააღმდეგობის განწევას აზრი არა აქვს!” - ბრძანა უშიშროებელთა ხელმძღვანელმა. და მართლაც, წინააღმდეგობის განწევას აზრი არ ქონდა, რადგან ჩვენ ყველანი ალყაში ვიყავით მოქცეულნი სამოქალაქო და სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი უამრავი შეიარაღებული ხალხის მიერ. მათ მიზანში ვყავდით ამოღებულნი, ისინი პისტოლეტებს, ავტომატებს და ტყვიამფრქვევებს გვიმიზნებდნენ - სახურავებზე აქა-იქ მოჩანდა ჩვენსკენ მომართული სნაიპერული შაშხანების ლულები. საიდანაც მოფრინდა პატარა, საოცრად კარგად მანევრირებადი ვერტმფრენი. ვერტმფრენმა ჩვენს თავზე ბზუილით შეინავარდა, შორიახლოს დაეშვა და უცებ ჩაცხრა. ვერტმფრენიდან სამხედრო-საველე უნიფორმაში გამოწყობილი გენერალი ბარკალაია გადმოვიდა და იქ მყოფთ მრისხანე და გამჭოლი, არნივისებური მზერა მოგვაპყრო. უშიშროებელთა ხელმძღვანელმა გაშლილი ხელი საფეთქელთან მიიტანა, სამწყობრო ნაბიჯით გენერალს ეახლა და ლაზათიანად მიმართა: “ნება მომეცით, გიპატაკოთ ამხანაგო გენერალო!” - “მიპატაკეთ ამხანაგო თანამშრომელო!” - უპასუხა გენერალმა თანამშრომელს ასევე ხელის საფეთქელთან მიტანით. “ამხანაგო გენერალო, საშიში დამნაშავეის სასჯელალსრულებითი დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობა აღკვეთილია! ოპერაციაში წარმატებით ჩაიარა! აგენტი კვადრატია!” “გმადლობთ, აგენტო კვადრატო!” - გამოუცხადა მადლიერება გენერალმა აგენტ კვადრატს. “გმადლობთ

ამხანაგებო!" - მიმართა გენერალმა დანარჩენ თანამშრომლებს. "ვემსახურებით საყვარელ მამულს" - უპასუხეს გენერალს უშიშროების თანამშრომლებმა ერთხმად. "ვივატა!" - შესძახა გენერალმა. "ვი-ვაატ!!! ვი-ვაატ!!! ვი-ვაატ!!!" - იღრიალეს უშიშროელებმა. "ვი-ვაატ!" - დაიძახა ოპერწმუნებულმა ლორიამაც გაუბედავად, ენაბორძიკით და ხმის კანკალით. იგი აქამდე კუდამოჭებული და მეტად შემინებულ იდგა, ახლა კი, როგორც ჩანს, სცადა მლიქვნელური ტესტი გაეკეთებინა, აქაოდა "მეც თქვენინი ვარო". მაგრამ განა გენერალი ბარკალაია იმის ჩიტი იყო, რომ ეს საკენკი აკენკა? შენ რალად იძახი ვივატს, შე თავგასიებულო რეგვენო, კინალამ პატიმარი გააპარე და ახლა ვივატი მოგინდა?! მე შენ გიჩვენებ ვივატს!!! სამშობლოს მოღალატე!!! - უყვირა გენერალმა ლორიას. "მე სამშობლოს მოღალატე არა ვარ! მე შსს-ს ამაგდარი თანამშრომელი ვარ! მე მაიორი ლორია ვარ!!!" - იყვირა ლორიამ. "მე კი გენერალი ბარკალაია ვარ! შენს საქმეს კი გამოძიება დაადგენს... ეგ შარვლის და "ტრუსიკის" ნაგლეჯები კი გირჩევ პირიდან გამოიღო, როცა სუკის გენერალს ელაპარაკები. ლორიამ პირიდან მეავტომატის შარვლის ნაფლეთები გამოაფურთხა, ხოლო კბილებში გაჩხერილი "ტრუსიკის" ნაგლეჯი ნეკზე გაზრდილი ფრჩხილით ამოიჩიქნა. და იყუჩა. უნდა ითქვას, რომ მაიორ ლორიას პატიმრებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად, ზოგიერთი მათი ჩვევა შეესისხლბორცებინა. იგი მუდამ თან დაატარებდა კრიალოსანს, რომელსაც ხშირად უაზროდ აჩხაკუნებდა, ხოლო ნეკზე რატომღაც იზრდიდა ფრჩხილს, ალბათ პიგიუნური თვალსაზრისით, რათა პირის ღრუ, ყურები და ცხვირი გამოეჩიქნა. კვიმატი ენები ამბობდნენ იმასაც, რომ თითქოსდა, ლორიას სხეულზე ჰქონდა ტატუ, რომელიც გამოსახავდა მატარებლის ლიანდაგს თავისი ორთქლმავლითა და ვაგონებით. ეს ლიანდაგი იწყებოდა კისერთან, სპეციალურად გარს უვლიდა ლორიას სხეულს, ჩადიოდა ძირს, წელიდან გადადიოდა დუნდულა კუნთზე და შედიოდა ლორიას ანაღურ ხვრელში. ორთქლმავლის საკვამურიდან ამოდიოდა კვამლი, ხოლო სამანქანე განყოფილების კაბინის სამერცხლურიდან მოჩანდა მე-

მანქანის გაბადრული სახე, რომელიც ხარბად და სიამოვნებით ისუნთქავდა ჰაერს გვირაბში შესვლის წინ. მაგრამ ეს ისე, ჭორის დონეზე, სინამდვილეში, მე მგონი, ტყუილია ეს ყველაფერი. ეს ისე გაუფრცველეს, ხომ იცით კვიმატი ენების ამბავი.

"თქვენ ყველანი დაპატიმრებულები ხართ ამ ძაღლის გარდა, რამეთუ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ სხვის ბრძანებას ასრულებდით და მხოლოდ და მხოლოდ შემსრულებლები იყავით ზემდგომ გარენართა ბრძანებისა, თქვენ უნდა გცოდნოდათ, რომ დანაშაულებრივ ბრძანებას ასრულებდით, რისთვისაც თქვენ ისევე დაისჯებით, როგორც ბრძანების გამცემნი დაისჯებიან. რაც შეეხება ძაღლს, ის, რა თქმა უნდა, გონიერი არსებია და თქვენზე გონიერიც, მაგრამ ის ადამის მოდგმისა არ არის. მას არ შეუძლია სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისგან გარჩევა, ის ემსახურება თავის პატრონს. ამიტომ ძაღლის მიერ ჩადენილზე პასუხისმგებელია არა ძაღლი, არამედ პატრონი". მე არ მოველოდი საქმის ჩემს სასარგებლოდ ასე შემობრუნებას. მაგრამ ვხვდებოდი იმასაც, რომ ასე დიდხანს არ გასტანდა: ოპერწმუნებულიც, კინოლოგი და მეავტომატებიც პირველივე დაკითხვაზე ჩამიშვებდნენ და იტყოდნენ, რომ მე მართლაც გონიერი არსება ვარ, რომ მეც ისეთივე მონაწილე ვარ ორგანიზებული დანაშაულისა, როგორც ისინი, რომ ეს ჩემი რჩევით განხორციელდა ოპერაცია: "ბავშვის ნაკბენი კარალიოცეუა ოქტომბრის თვეში". ამიტომ მე დრო უნდა მეხელთა და თანამშრომლებს პირველი ხელსაყრელი მომენტის შექმნისთანავე გავქცეოდი. და აი, ასეთმა მომენტმაც არ დააყოვნა: ის იყო გენერალმა დაკავებულთა სპეცმანქანებში ჩასხმა ბრძანა, რომ მას უეცრად თვალში ეცა მაიორ ლორიას უვნებელი საჯდომი. საქმე ისაა, რომ ჩვენ ყველანი დაკბენილები ვიყავით ექსმინისტრიდან დაწყებული და მეავტომატებით დამთავრებული. ტრაკზე ნაკბენი არ ჰქონდა მხოლოდ ლორიას, რადგან იგი "მინისტრეშა მატარებლის" ბოლო ვაგონი იყო. ეს გარემოება, ანუ ლორიას საჯდომის დაუკბენლობა უსამართლობად ეჩვენა გენერალს და წასასვლელად დაფაცურებული თავისი თანამშრომლები ამის გამო მისს შეაჩერა. "ე" - თქვა მან -

“რატო უნდა ქონდეთ ამით ყველას დაკბენილი საჯდომები და ამას დაუკბენელი?!” ეს ხომ უსამართლობაა!!! ჩვენ კი, ამხანაგებო, მონოდებულნი ვართ, ვებრძოლოთ უსამართლობას! რასაკვირველია, დაკავებულის წამება ფორმალურად აკრძალულია, მაგრამ ხომ იცით, რომ ეს შობელძალდი ფულს გადაიხდის, მაინც გამოძევება და უკიდურეს შემთხვევაში ერთი თანამდებობიდან მეორე თანამდებობაზე იქნება გადაყვანილი, რათა ძველებურად წურბელსავით წოვოს საზოგადოების სისხლი! მაგის უფროსებს სჭირდებათ მაგნიური ხალხი! მოდით ხალხო, ეს ძალღიმი ამაზე მივუშვათ, რათა ერთი კარგად დაუკბინოს მაგას ტრაკი! მერე კი ყველამ ვთქვათ, რომ ეს ექვმიტანის დანაშაულის ადგილიდან მიმალვის მცდელობისას მოხდა! ანუ მაიორი გაიქცა და ჩვენ მას ძალღიმი დავადევნეთ! განყოფილება ასე ამხანაგებო?!” - მიმართა მან თავის თანამშრომლებს.

“გვანყოფს!!! გვანყოფს!!!” - იღრიალეს ერთხმად სუკის აგენტებმა სიცილითა და აღტაცებით. “თქვენ ხომ არ იქნებით წინააღმდეგნი?!” - მიმართა მან შსს-ს ტრაკდაკბენილ მეთვლიკეთებს. “არა ბატონო, რას ბრძანებთ, პირიქით, მოხარულნიც ვიქნებით” - უპასუხა ერთ-ერთმა მეთვლიკეთებმა. “არ ჩაგვიშვებთ?” - ჰკითხა მათ გენერალმა ოდნავ დამცინავი, ჩეკისტური ლიმილით. “არა ბატონო, როგორ გეკადრებთა”, - მიუგეს მას დანარჩენმა მეთვლიკეთებმა. “გაიქცი!” - მიუტრიალდა გენერალი მაიორს. მაიორმა თავი დახარა, მაგრამ არ გაიქცა; “გაიქცი! - უბრძანა გენერალმა, - გაიქცი, თორემ უარესი მოგივა - ტყვიებით იქნები დაცხრილული”. და ამ სიტყვაზე გენერალმა სტეჩკინის პისტოლეტი დაურო ლორიას. სუკის სხვა თანამშრომლებმაც მიუშვირეს მას სხვადასხვა სახის იარაღი. “ვითელი სამამდე!” - ბრძანა მრისხანედ გენერალმა. “ერთი, ო-რი, სა...” - ახლა კი იკადრა ლორიამ გაქცევა. ისე გაპურცხლა, რომ იცოცხლეთ, გაგინარიათ. გენერალმა კი წამქეზებულურად გადმოშედა და სიტყვა “სამი”, რომელიც მას უნდა ეთქვა, ერთგვარად გადააკეთა: “სა-ა-ა-ა-ა-ა-ა!!!” მე საშინლად დავიძაგრე, კიდევ უფრო დავიძაგრე, კიდევ და კიდევ, მაგრამ რაც შემიძლო, შორს წასვლის საშუალება მივეცი ლორიას, რადგან მე ჩემი ფარული გეგმებიც

მამოძრავებდა, შემდეგ კი ადგილიდან მოგვდი და ცქციტი ნახტომებით მაიორს ავედევნე. ჰაერში კამარა შევკარი და ლორიას საჯდომს ყბები მოვაჭდე, სწორედ მაშინ, როცა ეს უბედური ღობეზე აძრომას ღამობდა და სასაცილოდ ფხაკურობდა. ეპჰ, კაცი თავის თავს თუ გაექცევა, თორემ გერმანულ ნაგავს სად გაექცევი... მინდა გითხრათ, რომ ოპერწმუნებულმა ლორიამ მართლაცდა ოპერტიულად ჩამიშვა. მან სიმწრისგან ყვირილი მორთო: “მე ყველაფერს ვი-ი-ტყვი!!! მე ყველაფერს ვი-ი-ტყვი!!! ეს ძალღიმი გონიერია!!! ეს მან მიჩნია, უკ-ბინეო!.. ვუკ-ბინე-ნოთი!.. ვუკბინეთ!.. კარა-ლი-ოოკიო!..” ასე უაზროდ გაპყვიროდა მაიორი ლორია სხვადასხვა სიტყვებს, მაგრამ მაშინ აბა ვინ მოუსმენდა. ის ყვიროდა, მე მის საჯდომს ვამუშავებდი, ხოლო გენერალი ბარკალაია მშვიდად ენოდა სიგარეტს. შემდეგ გენერალმა რნალც უბრძანა აგენტ “კვადრატს” და აგენტი კვადრატს ჩქარი ნაბიჯით ჩვენსკენ გამოემართა. მე ვარაუდით მიგხვდი, რომ გენერალმა წამების შეწყვეტა ბრძანა. “ახლა მოვა “კვადრატ”, მომბავს კისერზე საბელს, ზურგზე ხელს გადამისვამს, წამიყვანს და მერე მშვიდობით ნანატრო თავისუფლებავ! არა! - გავიფიქრე მე, - ასე არ მანყოფს. ახლა ან არასოდეს!” ლორიას კიდევ ერთხელ მაგრად ვუკბინე, შემდეგ კი ღობეს გადავხვტი და თავის უფლებას მივეცი თავი.

მინდა გითხრათ, რომ გერმანული ნაგავისათვის ძალიან ძნელია სადმე დამალვა. მართალია, ჩვენი ქალაქი საესეა უპატრონო ძალებით, მაგრამ ნაგავი მათგან გამოირჩევა. მე ქალაქში გამოჩენისთანავე დამაპატიმრებდნენ. დამაპტიმრება მელოდა აგრეთვე ქვეყნის ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში. მრჩებოდა ორი გამოსავალი: ან უნდა გავცეკულოყვივი სადმე საზღვარგარეთ, ანდა მივეცედელოდი ალგეთელ მგლებს. მგლები, მოგესხენებათ, ცოტა შარიანი ხალხია, ცოტა კი არა, კარგა შარიანი, მათთან საშიში და პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე საქმის დაჭერა, ყველაფერი მათგან მოსალოდნელი, ამიტომ მე პირველი ვარიანტი ვამჯობინე: გადავწყვიტი გავცეკულოყვივი საფრანგეთში. გაგონილი მქონდა, რომ წარსულში ძალიან ცნობილ კინოვარსკვლავს ბრიჯიტ ბარდოს პარიზთან

ახლოს აქვს დიდი, კეთილმოწყობილი საძაღლე, რომელშიც თურმე მთელი მსოფლიოდან მოთრეული უპატრონო ძაღლები ჰყავთ დაბინავებული. იქ მათ უვლიან და აჭმევენ. ჰოდა, ვფიქრობდი, წავალ-მეთქი, ჩავალ როგორმე, ჩავალნევე პარიზამდე და ვთხოვ ქალბატონ ბრიჯიტას, რომ ერთი პატარა ხუზულა ჩემთვისაც გამოეყო თავის საძაღლეში. მაგრამ საზღვარზე უკანონოდ გადასვლისას დამიჭირეს და ციხეში ჩამსვეს, რის შემდეგაც მომიყენეს უამრავი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მოქალაქე მოსამართლევე! მოქალაქე მსაჯულნო! ძვირფასო საზოგადოებავ! აი, ეს არის და ეს მთელი ჩემი თავგადასავალი. ახლა თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. მე მთლიანად (არანაწილობრივ) ვალიარებ დანაშაულს და გულწრფელად ვინანიებ ჩემს მიერ დაშვებულ შეცდომებს. გთხოვთ, განაჩენის გამოტანისას გაითვალისწინოთ ჩემი ადრინდელი დამსახურებები და მომისაჯოთ მინიმალური სასჯელი! გპირდებით, რომ სასჯელალსრულებით დაწესებულებებში ხალისითა და ენთუზიზმით ვითანამშრომლებ ოპერსამსახურთან, ვიმუშავებ მოხალისე ინფორმატორად და “ნა-

სედკადაც“, ხოლო ვინც სიმართლეს არ აღიარებს, ყველას გავუგლიჯავ კბილებით საჯდომს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის, ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ! გათავისუფლების შემდეგ ცოლად მოვიყვან რეციდის ვისტ ნონას და შევექმნი კარგ, ჯანსაღ, კანონდამჯერე ოჯახს. აღარასოდეს ჩავიდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს! გამოვსწორდები, ავმალდები, სულიერად გავსაბუტაკდები და გათავისუფლების შემდეგი გამოცდელი დროის გასვლის შემდეგ ისევ შსს-ში დავინყებ მუშაობას, კინოლოგად ან ძაღლად, ხოლო თუ შსს-ში მიღებაზე უარს მეტყვიან, მაშინ თბილწყალკანალმშენში ვიმუშავებ მინის მთხრელად.

აი, ეს არის, დიდად პატივცემული მოსამართლევე, ღრმად პატივცემული მსაჯულნო და ძვირფასო საზოგადოებავ ჩემი უკანასკნელი სიტყვა!



დიდი შანსი ჰქონდა, ფრაუ ბენენბერგი გამხდარიყო. პრინციპში, მისთვის სულ ერთი იყო, ბენენბერგი გახდებოდა თუ რომელიმე სხვა ბერგი. მთავარი იყო, ძქვა და შვილისათვის, ანუ უშუქობისა და უფულობისათვის დაეღწია თავი და ვინ გაუღებდა ნამდვილი ცხოვრების ფართო კარიბჭეს, სულ ცალ ფეხზე არ ეკიდა?

მით უმეტეს, რომ გამოციტებულიფათიანმა ჰერ ბენენბერგმა თვეზივით უფერული თვალები კარგა ხანს არბენინა ლამაზი თარჯიმნის შავი კულულებიდან მაღალ წვივებამდე, მხრებისა და თქოების გავლით, რასაკვირველია. გერმანულენოვანი ციციებისლიანები არიანო, არსებობს მთარული აზრი, მაგრამ ქართველებს, საკუთარ მდულარე სისხლთან შედარებით, ბრაზილიელების გარდა, ყველასი ყინულივით ცივი ეჩვენებათ. ამაშია საქმე!

ასე რომ, ნამდვილად ვერ იტყოდი, ეკას და ნახვავზე გერმანიიდან საქართველოში მივლინებით მოვლენილ ჰერ ბენენბერგს ის თავისი შედარებით ცივი სისხლი არ აუჩქროლდაო. ის კი არადა, ცოტა მოფერიანდა კიდევ, ლოყები აუჭარდისფერდა. ეს კი, რა თქმა უნდა, თუ შამპანურის ზემოქმედების უნარს არ ჩავთვლით, ეკას დამსახურება იყო.

სასიამოვნო ყრუანტელმა, რა თქმა უნდა ეკასაც დაუარა... მთლად ისეთმა ვერა, გიოს და ნახვავზე რომ დაუფლიდა-ხოლმე სტუდენტობისას. ოღონდ გიოს მაშინ ჯიბეში კაპიკი არ უჭყაოდა და კაფეში ეკა იხდიდა. ჯანდაბას, მაგრამ - ცოლად გამოიყვით - რომ სთხოვა, ეკას თავისი ნაყიდი ყავა სასულეში გადასცდა და მიმტანმა გოგომ ლუდის ნახევარლიტრისანი კაბით წყალი მიაცალა სახეზე. მაშინ გიოს ეკასთვის ხელოვნური სუნთქვის გაკეთება მოუხდა და რა თქმა უნდა, ცოლობაზე საუბრის სურვილი დაეკარგა. ისედაც ყველაფერი გასაგები იყო, ამიტომ ეს თემა გაურკვეველი ვადით, სავარაუდოდ, ქვეყნის და გიოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლამდე მოიხსნა დღის წესრიგიდან. ეს პერსპექტივა არ ხიბლავდა ეკას, ამიტომ ყოველი საინფორმაციო გამოშვების შემდეგ სულ უფრო და უფრო იღუშებოდა და სულ უფრო და უფრო კარგავდა იმედს.

როგორც ყველა ეთიკურ-ინტელექტუური ინტროვერტი, ისიც ჩარჩოებს ვერ ეგუებოდა. მართალია, აქამდე ეს არ იცოდა და კიდევ კარგი,

მაგნო საკუთარ განსაზღვრებას - ინტერნეტში გადაეყარა და დამშვიდდა... თუმცა გარეგნულად უფრო სენსორულ-ლოგიკურ ექსტრავერტს მოგაგონებდათ, მაგრამ უცხო თვალისათვის იბღებოდა.

რა იცოდა, რომ ყველა მისი თანატოლი ქართველი გოგო მასაგით საკუთარ თავში იმალებოდა? ასევე ეთიკურ-ინტელექტუალად რომ ინტროვერტობდა და მხოლოდ ფიქრსა და ოცნებაში რომ არღვევდა ყველა აკრძალვას - გაბრაზებით, ნიშნის მოგებით და თანაც - როგორი ირონიით!

ეკაც არღვევდა წესებს, ისიც მხოლოდ ოცნებებში. ყველა აკრძალულ ხილს უსინჯავდა გემოს. ყველას ჯიბრზე - მკაცრი მშობლების, უფროსი ძმის, ჭორიკანა მეზობლების, გამოჩერჩეტებული პაპიდის და სწობი ნათესავების ჯიბრზე... ყირაზე გადადიოდა... ამტვრევდა ჩარჩოებს... ხელში მიძიმე ურო ეჭირა და გულმოდგინედ ჩექქავდა უკანასკნელ ლურსმანს. გულს რომ იჯერებდა და ფიქრიდან გამოურკვევდა, ისევ თავისი ხელით აკონინებდა დამსხვრეულს. ისევ ნებაყოფლობით შედიოდა მასში, მიიღებდა სათანადო პოზას - პროფილში ან ანფასში... გააჩნია, როგორ ხასიათზე დადგებოდა მსხვერვის შემდეგ, აიკრავდა სახეზე ბედნიერ ღიმილს და გაირინდებოდა. მკაცრი მშობლები, სწობი ნათესავები, ჭორიკანა მეზობლები, გამოჩერჩეტებული პაპიდა და უფროსი ძმა კი ღიმილით მიმოდინდნენ და უქებდნენ ჩარჩოს. ოხ-ოხ, რა სიამოვნებით დაღუნავდა და მიაყრდა ყველას სახეში, მაგრამ ვინ მისცა გამბედაობა!

უცხო ენები რომ დაამთავრა, ოთხი წელი სამსახურს დაექებდა. სკოლის მასწავლებლობას ვერავინ უსწენებდა - ბავშვებს დააგლეჯინებდა ნერვებს?!

მერე, თბილისში უცხოური ორგანიზაციები რომ მომრავლდა, იმაზე დაინყო ზრუნვა, სადმე შემქვრალიყო. დიდი წვლების შემდეგ თარჯიმნად მოეწყო. უცხოელზე გათხოვების ოცნებამაც სწორედ აქ აიღო სათავე. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ მოშიზებულადა და ნორჩად გამოიყურებოდა, თუმცა უკვე ოცდაათს იყო გადაცილებული. ასაკი ჯერ კიდევ დამამედებლად ჟღერდა - ორმოც წლამდე სულ "ზა



ტრიდატ“ იქნებოდა, არავინ მოსთხოვდა იმის დაკონკრეტებას, ამ “ზა“-ში მინც რამდენი იგულისხმებოდა. ვინ რა იცოდა, რომ ეს “ზა“ მთელი შვიდი წელი იყო და კაცმა რომ თქვას, ან ვისი რა საქმე იყო.

მილიონ ს ჩემ-ტო!

მიზანსწრაფული იყო ეკა. ვინ თქვა, სუსტ მდებარე არ შეიძლება დიდი მიზნები ჰქონდეს და მათ მისაღწევად ყველა აპრობირებული და ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ სრულიად შესაძლო საშუალების გამოყენება არ შეუძლიათ. ვინც ასე ფიქრობს, ძალიან ცდნება. არ არსებობდა მიზანი, ეკას დაესახა და არ განეხორციელებინა. მიზანზე მყარად იდგა და ყველაფერს გონებით წყვეტდა. ხანდახან გულსაც მიუშვებდა, გაახალისებდა, ფლირტის, ხანდახან სიყვარულის უფლებასაც კი აძლევდა, მაგრამ როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების უამი დადგებოდა, გული გონებას უთმობდა გზას და არჩევანის უფლებას მას უტოვებდა. გონება კი მოგეტსუნებოდა, გულზე ჭკვიანია - ცრემლები და სენტიმენტები, ამ გულჩვილი ორგანოსაგან განსხვავებით, სულ ცალ ფეხზე ჰქიდა.

ასე იყო! დაისახა მიზანი და ნიბიჯ-ნაბიჯ შეუდგა განხორციელებას. უცხოელზე გათხოვება მისი გეგმის ერთ-ერთი სავალდებულო ნაწილი იყო, ვინაიდან სწორედ ამ პუნქტის წარმატებით დაგვირგვინება განსაზღვრავდა ყველა სხვა მიზნის ასევე წარმატებით შესრულებას.

ვილი, ანუ ჯერ ბენენბერგი, რა თქმა უნდა, გრნობებს არ ატყობრავდა, სამაგიეროდ, ყველაფერი ჰქონდა, რაც ეკას სჭირდებოდა - წარმატებული ბიზნესი გერმანიაში, პარტნიორები - ევროპასა და ამერიკაში, სოლიდური საბანკო ანგარიში და ფეშენებელური ვილა მიუხედავად.

ოცნებაში ეკა უკვე იქ იყო, ვილის ვილაში. უზარმაზარ მინისკედლიან მისაღებში, რომელიც ვერანდაზე, ვერანდა კი - ლურჯად მოლივილივე აუზთან გადიოდა... მივა, წყალს ფეხის წვერით გასინჯავს, მიპარვით. მერე ტრეფს ჩაყოფს, მერე მუზლს, და წყალიც უმაღლეს გათბება. დაწვება ზურგზე და ნეტარებით ასედავს უზარმაზარ გაჩახჩახებულ ვილას. ისიც, თავის მხრივ, გადმოხედავს და გაუღიმებს - ევროპული ღიმილით.

- მოგწონს? - შეეკითხება ვილი ეკას.

- მომწონს რომელია, მთელი ცხოვრება ამაზე ვოცნებობდი, - სულაც არ დამალავს ეკა.

- ნუ გავიწყდება, რომ ჯერ კიდევ ოცნებობ, - მხოლოდ ფეხს დააჭერს ვილი.

- დიდი ამბავი, თუ არ შეგეტსუნებინა. შენზე

უკეთ მე ვიცი, რომ შენც და ეს აუზიც ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ხართ და ფიქრს თუ არ დამაცლი და ენას არ ჩაიგდებ, საპნის ბუშტივით გასკდები და აორთქლდები. მიყარე მერე კაკალი! - დაემუქრება ეკა ვილის.

ასეც მოხდა. მაგრამ უკვე ოცნებიდან პირდაპირ ეკას ცხვირწინ ვილი გადმოხტა - ასეთი რეალური! ასეთი შესაძლებელი! ხსნა!

მოკლედ, ბევრი არც იმას უფიქრია. რამდენიმე ერთობლივი ვახშამი “მეტენში“ და ეკას მოლოდინით გალულუ თითზე ბრილიანტისთვლიანი ნიშნობის ბეჭედი აკაივდა.

იმ საღამოსვე შეიკრიბა დაქალთა საბჭო.

- ვააო! - ერთხმად შეჰკვილეს საბჭოს წევრებმა.

- ნახე, როგორ ბრწყინავს! - თქვა ნინიკომ.

- მაგრა გაგიმართლა! - დაძინა მაკამ.

- ასწორებს! - შენიშნა ისევ ნინიკომ.

- აბა, ახლა შენ იცი, თუ რალაცა, ტლინკები არ ყარო! მაგათთან მოსულე, ხო იცი? ქორწინამდე კი არ დაგინყებს ლოდინს... ჩვენი კაცები-ვი, - დაარიგა ქეთი.

მოკლედ, მოისმინა რეპლიკები, შესმინა შეგონებები, რალაც-რალაცები ჩაინიშნა, რალაც ზეპირად დაიმასსოვრა და რომელიმე ძვირადღირებული სასტუმროს ძვირადღირებულ ნომერში მოსალოდნელი მიწვევისათვის დაინყო მზადება. “სან-სეტში“ გავარდა, მთელი დანაზოგი საჭირო აქსესუარებში მიაშვლია და...

შეთავაზებამაც არ დააყოვნა - სულ მალე ახლადშექმნილ სექსუალური თეთრეულში გამოწყობილმა ეკამ ჰერ ბენენბერგის გვერდით, ძვირფას ქვეშაგებში ამოყო თავი.

არა, ჯერ აბაზანაში.

ეკა კედელს ზურგით მიეყრდნო და გაირინდა. მარმარილოს ფილებით მოპირკეთებულმა, გაბზრილობულმა კედლებმა გაცივებით გადმოხედეს. ზურგზე სიცივე იგრძნო. კედელს მიღმა ცხელი თბილისური ზაფხული იდგა, ეკა კი ერთიანად კანკალმა აიტანა. სწრაფად მოშორდა კედელს და ონკანი გახსნა. ისუვლა თბილი წყლის ჭკვლმა. ვინ იცის, რამდენი კილომეტრი გამოიარა, ვიდრე საშაპეში შემომავალ მილამდე მოაღწევდა და ეკას მხრებს დაეღვრებოდა შეგებად და ნეტარებად, ჩამორეცხავდა გაუთბებობასა და სირცხვილს. ვინ იცის, რომელ ზღვებსა და მდინარეებში გამოეგლო, ახლა კი გიჟური შხუილით თეთრ ფილებს ენარცხებოდა, ტრახპისაკენ მიექანებოდა და ისევ უკვალოდ ქრებოდა, ინთქმებოდა უხილავ მინისქვეშა

სამყაროში...

იღვა ასე გამტყრებელი, შხაპქვეშ და ათას სისულელეზე ფიქრობდა. ოღონდ ვილიზე არ ეფიქრა და წყლის წვეთების წარმომავლობაზე კი არა, დედამიწის ქანებში მათ წარმოშობაზეც კი სიამოვნებით დაიწყებდა ტვინის წყვლეტას. გრძნობდა, როგორ უთბებოდა გაყინული სისხლი და სიამოვნებისაგან კატასავით კრუტუნებდა.

ონკანი დაკვტა. რბილმა პირსახოცმა ხარბად შეისრუტა პრიალა ტანზე შერჩენილი თბილი წყლის წვეთები. ირგვლივ სარკესავით ბრწყინავდა ყველაფერი. თვით სარკეც, რა თქმა უნდა.

მაკაიუე მოიშორა, "სან-სეტში" ნაყიდ საცვლებში გამოეწყო, მერე დიდხანს უყურა სარკეში საკუთარ ორეულს და მასთან გააბა კამათი:

- დარწმუნებელი ხარ, რომ ეს გინდა? - ჰკითხა ორეულმა.

- რა თქმა უნდა... - აულეღვებლად მიუგო ეკამ.

- აბა, თვალი გამისწორე... - მინც რა უტიფარიი.

- თავი დამანებე!

- აბა, რას ვამბობდი? შენ გგონია, გამაცურებ? რაში გჭირდება ეს წვერცანცარა გერმანელი... გიოს ჯერ კიდევ ახსოვხარ... მიდი, დაუტყე...

- გიოს არა... რომ მდომოდა, იქ არ მყავდა?

- მაშინ რაღას უდგებარ, გადი იმ შენს ვილისთან... არსად დადგეარგოს. მიდი, დაუტყენე ჭორფლიანი ყვრიმალბეი, შეუტყენე თითები იმ წითურ თმაში, "იპ ლიბე დიპო" - დაუტყენი და დაადნი შექრად! - წაუსისინა ისევ გამოსახულებამ.

- მინც რა მწარე ენა გაქვს. მომშორდი!

- წავალ, არა აქ დაგიჯდები, აი! სანთელს დაგიჭერი!

- წადი-მეთქი, შე იდიოტო!

- იდიოტიც ხომ ვილაცის ანარეკლია! ნეტავი ვისი?

- მომწყდი! - ეკამ სავარცხელი სარკეს ესროლა და ისე იკივლა, საკუთარმა ხმამ გამოაფხიზლა.

- კათრინ! გეე ცუ მირ! - მოესმა ოთახიდან და გააჟრჟოლა.

რამდენჯერ წარმოუდგენია ეს წუთები, მაგრამ მაშინ ყველაფერი უფრო ლამაზი იყო და სასიამოვნო. მართალია, იქ, ფიქრში, ყველაფერი უფრო მოკრძალებული იყო, ოთახში უფრო უბრალო ავეჯი იდგა, თვითონაც უფრო უბრალო თეთრეულში იყო გამოწყობილი, მაგრამ გული უტყებდა რაღაც სხვანაირად, სიამისაგან თითქოს

უჩრდებოდა კიდევ. ოცნებაში სანოლში ვილი კი არა, გიო ელოდა. ახლა კი! ჯანდაბა! რაზე არ წახვალ ადამიანი ბედნიერების გამო!

ეკამ ჯვარი მოიხსნა, სარკის კიდეზე ჩამოკიდა და აბაზანიდან გამოვიდა. აქ ვილი ელოდა - ბედნიერი, ატკრციალებული და გაცისკროვნებული, აბრეშუმის ქვეშაგებში გარინდული, ეგზოტიკური საცოლის მოლოდინში.

- გეე ცუ მირ! - გაიმეორა იდიოტური ლიმლით და ორივე ხელი გაუნოდა შეცუბუნებულ ეკას.

- ახლა გული ამერევა, - გაიფიქრა ეკამ, მაგრამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. მერე გიოზე დაიწყო ფიქრი, თვალები მაგრად დახუჭა. წარმოიდგინა, რომ გიო უკოცინდა სახეს და თითებს, გიო ეალერსებოდა და... მაგრამ ეს "მინე ლიბე" უბურღავდა ტვინს.

"ღმერთო, გევედრები, დადუმდეს, რა იქნება" - ფიქრობდა ეკა. ჯვარცმა კი აბაზანაში ეკიდა, სარკის წინ და რა უნდა ექნა - ღმერთს დიდი ხნის წინ მიეცა კაცისათვის თავისუფალი ნება...

\* \* \*

პრელუდიის დეტალებზე შეჩერება არ ღირს. მით უმეტეს, რომ ყველაზე სანტიმერესო სწორედ რომ პრელუდიის შემდეგ მოხდა და ეკას წარმოსახვით ნეტარებას წამში დაუსვა წერტილი:

- ვას ისტ დასო! - შეჰყვირა გაცოცხლებმა, განრისხებულმა, კიბორჩხალასავით აწითლებულმა ჰერ ბენენბერგმა, როდესაც მიხვდა, რომ გაუფავალი ბილიკის გათელვა პირველად სწორედ მას მოუწევდა. ეს კი სულაც არ ხიზლავდა შუაგულ ევროპელს.

ახლა ბევრიც რომ ემტკიცებინა ეკას, ჩვენც ისეთივე ევროპელები ვართ, როგორც თქვენ, თქვენზე კიდევ უფრო ძველებიცო, ვერ დაუმტკიცებდა. ერის ცივილურობაზე ჰერ ბენენბერგს ერთობ გაზვიადებული წარმოდგენა უკვე შერყვოდა, ამიტომ დაწყებული საქმე შუა გზაზე შეწყვიტა და დაუყოვნებლივ ახსნა-განმარტება მოითხოვა აბრეშუმის თეთრეულში შემბალული, თავკივით გარინდული და შემინებული საცოლისაგან.

ამოდ ეცადა ეკა აეხსნა, რომ ჩვენში წესია ასეთი - ქალი თავის ქმარს ელოდება, ეს ტრადიციაა და პატივს ვცემთო... ამოდ ეცადა საკუთარი უბინოებისათვის რაც შეიძლება დამაჯერებელი გამართლება, საკუთარი თავისათვის კი - ქვას რომ გახეთქვას, ისეთი ალიბი მოეძებნა, მაგრამ გაგიგონია?

- სულ ფეხზე მკიდია თქვენი ტრადიცია და

ნეს-ჩვეულებებიო! - კიდევ უფრო განითლდა ნითური ვილი და - ხვალ ვეროპაში მივემზავებ, ორ კვირაში დაებრუნდები. შენ კი, გეთყვა (ბითო, ანუ), თავი მოინესრიგე და ისე დაშვიდი, ქორწილზე და ამისათნებზეც მერე ვისაუბროთო - გადმოხტა იმ აბრეშუმის სარეცეულიდან და ახლახან გახდილ ჯინსებში ისე სწრაფად ჩახტა, თითქოს არც გაეხადა საერთოდ.

- აბა, აუფ ვიდერ ზენო! - და გაფრინდა პირველივე რეისით.

ვაი შენს ეკას!  
 ისევ დაქალთა საბჭო, ისევ თათბირი. ნინიკომ თქვა: - მაგათი ჯიშო!  
 მაკამ: - მაგათი კი არა, ჩვენო!  
 ქეთიმ კი: - კაცების ჯიშო, ზოგადად!  
 ეკამ ცოფები ჰყარა: - ჭრელი პეპელა ხო არა ვარ! ამათ ასე მოსწონთ. იმათ ისე!

- ეგ რაა, ჩემი მეზობლის დაქალს რომ დაემართა, ის იყო საქმე... - დარდს უქარვებს ნინიკო.

- და რა დაემართა? - ყველამ ნინიკოს შესებად.

- ფრანგზე თხოვდებოდა.

- მერე?

- რა მერე, იმასაც თავისმა ჟაკმა ისეთივე ულტიმატუმში წაუყენა, როგორც შენ - შენმა ვილიმ.

- მერე რა ქნა? - მაკას ცნობისმოყვარეობით ყურები დაუგრძელდა.

- რა! რა და მსურველი კი მოიძებნებოდა, მაგრამ დედამისმა თავი გაიგიჟა - ჩემი შვილი კახა კი არაა, ვილაცას იმისათვის დაუნჯეს, რომ ფრანგზე გათხოვდესო. ქირურგთან წაიყვანა და ოპერაცია გაუკეთა.

- აუუ!  
 - ჟაკმა კი პარიზიდან დაურეკა - დიდი პარდონი, მაგრამ სხვა შემიყვარდა და ორევეუარო, ანუ სულ კარგად მეყოლეო, - დაასრულა ნინიკომ.

- არაა... იგონებ! - მაკა როგორც ყოველთვის, ყველაფერს ეჭვით უყურებს.

- არაფერს არ ვიგონებ, მართლა ასე იყო. ჰქონდათ მერე ერთი გლოვა და ვაი-ვიში.

- რას გლოვობდნენ? - ჟაკის დაკარგვას თუ ქალწულობის?

- ორივეს ერთად.

- ვაი რა! გული ნუ გაუხეთქე გოგოს. ვიპოვით გამოსავალს, - ქეთი ყოველთვის შესაშური ოპტიმიზმით გამოირჩეოდა.

- რას? მეც ქირურგთან წამიყვანთ? - ეკას

ბოლო იმედი ჩაეფერულა.

- არა, კაცს ვიპოვით! - დაასკვნა მაკამ.

- ოპერაციას ისევ ეგ სჯობია! - დაეთანხმა ნინიკო.

- არ მინდა, არ გავყვები! - გაჯიუტდა ეკა.

- და დარჩები შინაბერად?

- გოგეობო! საეჭვოდ დაბალ რეგისტრში ალაპარაკდა ქეთი, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამოსავალი ნაპოვნია. ყველა სმენად იქცა:

- რა იყო? - შესძახა ყველამ ერთად.

- იდეა მაქვს! - კიდევ უფრო დაბალ რეგისტრში განაგრძო ქეთიმ.

- ამოღერდე?! - მოუთმენლობისაგან სული შეუტუბდა ნინიკოს.

- ჩემი ქმრის ძმაცაი ჩამოფრინდა გუშინ... მოსკოვიდან!

- ოო?!  
 - ბიზნესი აქვს იქ... წარმატებული! იქნებ?

- უუ!!!  
 - ქეთუმ, აბა შენ იცი, დატრიალდი!

და ქეთიც დატრიალდა. ჯერ ქმართან მოუწინა ერთობ დელიკატური საუბრის ჩატარება, შემდეგ მის ქმარს - თავის მეგობართან. ბოლოს კი, წარმატებული გარიგების აღსანიშნავად, ეკასთან სადღესასწაულო ვახშამიც გაიმართა. ამ დროისათვის მთავარი გმირი, ანუ ჰერ ბენენბერგი უკვე თვითმფრინავში იჯდა, ევროპის გზაზე განოლილ ღრუბლებს მიაპობდა და ტერაქტების საშიშროებაზე ფიქრობდა.

დაქალთა საბჭო კი პრობლემის ასე იოლად მოგვარებას აღნიშნავდა.

- მოდით, ამ ჭიქით ეკას და ვილის გაუმარჯოს! - შამპანურის ჭიქას თავს ზემოთ სწევს ქეთი.

- თუ ეკას და რა ჰქვია იმ ტიპს? სანდროს?

- ეს ნინიკოა.

- მოიცა რა, ნუ ჩაგვაშამებ ახლა საღამოს,

- ესარჩლება ეკას ქეთი.

- არც მიფიქრია, მაგრამ ველარ გავიგე, ვისი სადღეგრძელო შეესვა. ორივე ეკას გასაბედნიერებლად იღწვის - ვილიც და სანდროც, - "გულუბრყვილოდ" ილიმება მაკა.

- მაშინ ორივეს გაუმარჯოს! - პოზიციებს თმობს ნინიკო.

- კარგი თუ, გეყოთ! ისედაც ცუდად ვარ, - ამბობს ეკა.

- აბა, ამას უყურეთ. ერთდროულად ორი კაცი დაიბრია და კიდევ ესაა ცუდად. მე და მაკამ რა ვქნათ? - თავს ისაწყლებს ისევ ნინიკო.

- სანდრო რომ გამოთავისუფლდება,

თქვენთვის დამითმია.

- მაღლობა ღმერთს! ერთი მაინც გაიმეტა, იცინის მაკა.

\* \* \*

როცა სანდრო თბილისიდან წავიდა, დრო იყო ისეთი... დროც და ქალაქიც - გახსენება არ ღირს! ჩაბნელებული, ჩაბნძურებული! საშინელი ომი იყო, მოკლედ. ყველგან ომი. შიმშილი, სიცივე და სიბნელე. ადამიანები აღარ იღიმებოდნენ. დადიოდნენ და ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. აღარაფერი ახარებდათ, ან რა გაახარებდათ მშობერი კუჭით.

იმ დროზე ფიქრი არ უყვარდა სანდროს. არც ფიქრობდა. მართალია, არც მოსკოვი დახვედრია ხელგაშლილი და არ ჩაუხუტებია ყოფილი მეთუთმეტე შვილი. სამაგიეროდ, აქ არც ენერგოკრიზისი აგდებდა დეპრესიაში, არც სიცივე აწუხებდა და არც შიმშილი. წვრილი ბიზნესით დაიწყო. მერე თანდათანობით გაამსხვილა, ფულმა ფული აშოვნინა. ოღონდ ერთი რამ დღემდე ვერავის გაერკვია - "ნოვი რუსკი" იყო თუ "ნოვი გრუზინი".

თვითონ არც ერთი ხიბლავდა და არც მეორე, ძველქართველობა მიჩნევიდა - ამბობდა და წელიწადში ერთხელ ჩამოირბენდა ხოლმე თბილისში, სოლოლაკს მანქანით შემოვივლიდა, მთანმინდას ასკვებოდა, მოზღვავებულ ნოსტალგიას გაიქარწყლებდა და ისევ მოსკოვში მიფრინავდა. რუს ქალებში დიდი წარმატებით სარგებლობდა. ამიტომაც შერჩა უცოლოდ და მხოლოდ თბილისელ მეგობრებთან შეხვედრისას თუ აუჭქროლდებოდა გული - ოჯახური იდილია, ქართველი ცოლი და შესაბამისად, ქართველი შვილები მოუნდებოდა.

აქ იწყებოდა დიდი ვნებათაღელვა - მაჭანკლობა, გოგოების შერჩევა-გაცნობა, ქება და ცაში აყვანა, მაგრამ სანდროს ყოველთვის ეჭვარებოდა და გადანყვეტილების მიღებას არ ჩქარობდა.

ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იყო. თემომ ქეთის დანაბარები რომ გადასცა, სანდროს თვალები შუბლზე აუვიდა. ჯერ ეგონა, თემო ხუმრობსო. მერე - თემო კი არა, ქეთიო. ბოლოს, როცა თემომ, როგორც იქნა დაარწმუნა, სახუმაროდ არ მცალია, გერმანელი სასიძოს ჩამოსვლამდე სულ რაღაც სამი დღე დარჩა და თუ დროზე არ გაინძერი, დარჩება გოგო შინაბერადო, თვალები კიდევ უფრო ასცილდა წარბებს.

- ჰა, რას იტყვი? - არ ეშვებოდა თემო.

- მოიცა და... თბილისში დაილია კაცები?

- კაცები კია, მარა... რა ვიცი, შენ მაინც წასული ხარ... აქ ბევრი არ გიცნობს და...

- მოკლედ, არ გაეუბაზრებ, ამის თქმა გინდა?

- დაახლოებით...

- მაგაზე უარს როგორ გეტყვი, მარა... თვითონ თუა თანახმა?

- სხვა რა გზა აქვს...

მოკლედ, ორმხრივი შეთანხმება შედგა. შეხვედრის დრო და ადგილიც შეირჩა - მეორე საღამოს, თემოს და ქეთის ბინაში.

\* \* \*

სანდრო ორმოცის იქნებოდა. ან ცოტა მეტის. ჭალარა უკვე შერეოდა. მაღალი იყო, განიერი მხარბეჭით. მის დანახვაზე ეკა ისე დაიბნა, ვილიც დაავიწყდა და თავისი გასაჭირიც - ენა ჩაუყვარდა.

გაზაფხულის თბილი საღამო იყო და ოთახში იის სურნელი იდგა. ყვევლები უყვარდა ქეთის. მართალია, ქმარს წელიწადში ერთხელ, მიიღა დაბადების დღეზე თუ გაახსენდებოდა ეს, მაგრამ ლარნაკში მაინც მუდამ ეწყო - ქეთი თვითონ ყიდულობდა.

ეკამ სანდროს ხელი ისე გაუწოდა, სახეზე არც შეუხედავს. მთელი საღამო თვალს არიდებდა. ორივე ჩუმად სვამდა ყავას. ძირითადად ქეთი ლაპარაკობდა, ათას სისულელეზე... უბრალოდ, სიჩუმეს ავსებდა. გვარიანად რომ დაბნელდა, ეკამ წასვლა დააპირა. სანდრომ - მე გავაცილებო, თქვა და ადგა.

მანქანის კარი გაუღო. ეკა ჩაჯდა. მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ. ისხდნენ ასე დამდურებულე ბივით. ეკას სანდრო აოცებდა (ვერ გავგო, რატომ მიიღო ასეთმა კაცმა ეს ავანტიურული წინადადება), სანდროს კი - ეკა (ასეთ გოგოს საამისო რა სჭირდაო, - ფიქრობდა). ჰოდა, ისხდნენ ასე, ერთმანეთით გაკვირვებულნი და მდუმარედ გაპყურებდნენ განათებულ ქუჩებს.

- მიყვარს ლამის თბილისი, - თქვა უცებ ეკამ.

სანდრომ შედახედა. ეკას ხმა პირველად გაიგონა და გედა.

- ბავშვობას მაგონებს. - დაედოიდი-ხოლმე, ქუჩებში და ფანჯრებს ვუყურებდი.

- რატომ?

- რა ვიცი, დიდი-დიდი ჭალი ან მოხატული ჭერი დამენახა, მაგრამ მეგონა, რომ იქ უცნობი, ზღაპრული საშვარო იყო და ძალიან მინდოდა, მეც იქ ყოფილიყავი...

- Там хорошо, где нас нет?

- Но плохо, что там нас нет, где хорошо! - ვკამ სიბნელეს გახედა და გაელიმა.

- იქითაც იმიტომ მიგიწევს გული?

ეკას თითქოს ცივი წყალი გადაასხესო.

- საით?

- ევროპისაკენ.

ეკა აიღანძა. არ იცის, რა უბასუსოს... თუმცა, რატომაც არა, იცის:

- თქვენც ამიტომ ხართ მოსკოვში?

სანდროს გაელიმა.

- ვიცოდი, რომ ამას მეტყვოდი... მაპატიეთ, არ მინდოდა...

- გამიჩერეთ...

- კარგი, დავივიწყოთ...

ეკა გაირინდა. უცებ საკუთარი თავის მიმართ ისეთი ზიზღი იგრძნო... ძალიან მოუწონდა აქედან გაქცევა, სადმე, ჯანდაბაში... გადასაკარგავში გადაკარგვა. სანდრო, რა თქმა უნდა, ეკას ფიქრებს ვერ კითხულობდა, ამიტომ სანაპიროსკენ აიღო გეზი. შავად მოდუღუნებდა მტკვარი. შავად და მდუმარედ. მალე ვილი ჩამოდიოდა, ეკას კი აღარსად ეჩქარებოდა.

- როგორ მომენტარა თბილისი, - თავისთვის ჩაილაპარაკა სანდრომ.

ეკამ დუმოილით უბასუსა.

- თქვენ არ გენატრებათ-ხოლმე?

- რამდენი წელია თბილისიდან არ გავსულვარ და რა მომანატრებდა...

- გაუსვლელადაც შეიძლება მოგენატროს... როცა ჩამოვდივარ, აი, აქ... ისე მტკივა... - სანდრომ მკერდის მარცხენა კუთხეში მიიღო ხელი

- უცხოსავით დადვივარ ქალაქში და ადამიანები კი არა, სახლებიც ვეღარ მცნობენ. აღარავის ვახსოვარ... ან თუ ვახსოვარ, ძალიან ცოტას. მე ყველაფერს ვამწნევ და ვიხსენებ, მე კი ვერც მამწნევენ და ვერც მიხსენებენ. ეჰ-ჰე! დამიბერდა ჩემი ბავშვობის ქალაქი.

- დაგიბერდათ?

- ჰო, დაძველდა... დაპატარავდა თითქოს, რა ვიცი...

- დაპატარავების რა გითხრათ...

- ხედავთ იმ სახლს? - სანდრომ მაღალი, ქვით მოპირკეთებული სახლისაკენ გაიშვირა ხელი.

- ვხედავ.

ბავშვობაში მეჩვენებოდა, რომ ამაზე დიდი სახლი არ არსებობდა. ახლა თითქოს დაპატარავდა... ან მე გავიზარდე...

- ალბათ, უფრო თქვენ გაიზარდით.

- ერთხელ მამამემს ვკითხე - ტანსაცმელი რატომ მიპატარავდება-მეთქი და ტანსაცმელი კი არ პატარავდება, შენ იზრდები - მითხრა. გამიკვირდა, მე თვითონ როგორ ვერ მივხვდი-მეთქი.

- თუ ასე გიყვართ თბილისი, რატომ არ ბრუნდებით?

- ჩამოვალ. აუცილებლად დავბრუნდები. ორივე გაიწმინდა.

- სანდრო... - ეკა თითქმის ჩურჩულებს.

- ?!

- მე მგონი, არ იყო კარგი იდეა... აი, ქეთის წამოწყება... მოკლედ, რაც იყო...

- გეთანხმები.- შენობითზე ისე გადავიდნენ, ვერ გაიგეს.

- თუ მეთანხმები, მაშინ რატომღა დამთანხმდი? განიშმატდა მოულოდნელად.

- უბრალოდ, მაინტერესებდა როგორი იყავი... - მერე?

- მერე არაფერი. გაგიცანი... როდის ჩამოდი?

- ზეგ.

- ესე იგი, მოსასწრებად გვაქვს საქმე? - ახ-თისითდა ისე სანდრო.

ეკა დამდულურულივით შეხტა ადგილზე.

- არა, ხომ გითხარი, რომ ცუდი იდეა იყო...

- მაშინ საქმროს დაკარგავ.

- ჯანდაბამდე გზა ჰქონია.

- მოდი, ერთად დავხვდეთ აეროპორტში...

- რა ვუთხრა, ვინ არის ეს კაცი-მეთქი?

- როგორ თუ ვინ - მისი დუბლიორი. წესით არ უნდა იეჭვიანოს.

- დამცინი? - ხმა აემღვრა ეკას.

- შენ არა. მას.

- ...

- კარგი რა, ნუ იბუტები. რომელზეა რეისი?

- სალამოს შვიდზე.

- გამოგივლი და წაგიყვან.

\* \* \*

აეროპორტში რატომღაც ყველას შენუხებუ-ლი სახე ჰქონდა - აქ დრო ერთითად იწელი-ბა. როდის თვითმფრინავი დაჯდება, როდის მგზავრები ჩამოვლენ... მერე ბარგს ელოდე ერთი საათი... ბოლოს და ბოლოს, როცა მოლო-დინის ადრესატი გამოჩნდება, სულაც რომ არ გიხაროდეს მისი ჩამოსვლა, მაინც იბადრები. გი-ხარია, რომ მოლოდინი დამთავრდა. აბა! ეშმა-კურადაა ყველაფერი გათვლილი. მთავარი პრო-ცესია და არა შედეგი. მერე მიდის ერთი ჩახუ-ტება, კონცა, შეძახილები და ყვავილები.

მარტო ეკა იდგა ცოცხალ-მკვდარივით და

ვილის გამოჩენას ელოდა. მართალია, არგამოჩენა ერჩია, მაგრამ ვილის ნაჩუქარი ბრილიანტის ბეჭედი თითს უწვავდა და ახსენებდა, რომ ყველაფერი, რაც მის თავს ხდებოდა, ცხადზე უცხადესი იყო და სულაც არ ესიზმრებოდა. სანდროს ნერვიულობა დაეტყო. მოუთმენლად დააბოტებდა ფილებიან ბილიკზე და შიგადაშიგ ეკას აკვირდებოდა.

ბოლოს, როგორც ეჩნა, ვილის ნითური თავიკ გამოჩნდა. მოელვარე ფაიფურის კბილებით ყურებამდე გალიმებული. ებღღვნა ეკას და ტუჩებში დაუნყო კოცნა. სანდრომ თვალი აარიდა.

- ეს ჩემი... მეგობარია, გაიცანი, - როგორც ეჩნა, თავიდან მოიშორა ვილი და სანდროზე მიუთითა.

- ოო, ზეერ გუტ, ზეერ გუტ! - აულურტულდა ვილი.

“რეგენი! ალბათ ფიქრობს, რომ გზა გავუკაფე!” - გულში იგესლებს სანდრო.

ეკა თარგმნის. არა, სანდროს ფიქრს არა, რასაც ხმამალა ამბობს, მხოლოდ იმას. ხმამალა კი ვახშამზე ეპატიჟება - აეროპორტიდან პირდაპირ რესტორანში. ვილიმ დრო ითხოვა, სასტუმროში შევივილი, წყალს გადავივლებ და თქვენთან ჩამოვალო. ეკა და სანდრო სასტუმროს რესტორანში დასხდნენ.

სასიძო მალე გამოცხადდა, დაბანილ-დაღვრიჭინებული. ცხელი წყლისაგან კიდევ უფრო აკამაშებული ნითური ლოყებით და ისევ იმ იდენტური, ევროპული ღიმილით.

ვანშამი შეუკვეთს და შამპანურის წრუპვა დაიწყეს, თან ხმადაბლა საუბრობდნენ - თავთავიანით ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე და პოლიტიკურ კურსზე. საბჭოთა კავშირიც გაიხსენეს და ბერლინის კედელიც. მხოლოდ ეკას თემას ედო ტაბუ. ვილი გუმანიტ ხედებოდა, ვინ უნდა ყოფილიყო სანდრო, მის მიმართ მადლიერებით იყო აღსავსე და შამპანურით შეუყუყუნებული ენას არ აჩერებდა. ეკა კი თავიჩინდრული იჯდა... დარცხვენელი... არ იცოდა, რა ეთქვა, აქეთ სანდროსათვის, იქით კი - ვილისათვის.

- ალბათ, ძვირი დაგიჯდათ მგზავრობა? - იკითხა მოულოდნელად სანდრომ.

ეკა გაშტერდა - სასაუბრო თემის ასე მკვეთრად შეცვლა არ ესამოგნა. ან რა საჭირო იყო აქ ფულზე საუბარი. მაგრამ ვილიმ ისეთი ცნობისმოყვარე თვალებით გადახედა, რომ იძულებული გახდა, ეთარგმნა.

აი, ვილოს კი, სულაც არ ეუხერხებოდა

ამაზე ლაპარაკი და სიამოვნებით მოჰყვა იმის ჩამოთვლას, სად რა გადაიხადა. როგორც გაირკვა, ჯამში აქედან წასვლა, უკან ჩამობრუნება და ახლო მომავალში საცოლესთან ერთად გერმანიაში დაბრუნება, პლუს სასტუმრო და გათვალისწინებული ხარჯები 3000 ევრო უფედებოდა - უყვართ გერმანელებს სიზუსტე. ჩვენებურად მენჭვილმანე იქ ყაირათიანს ნიშნავს.

სანდრომ ჯიბისაკენ წაიღო ხელი. ფულის შეკვრა ამოიღო, ვილის დაუდო და მოულოდნელად ინგლისურად ალაპარაკდა:

- ეს საქმარისია, რომ თქვენი ხარჯები აინაზღაუროთ?

ვილიმ თვლები დააჭყიტა. არა, კი გაიგო, რაც უთხრეს, მაგრამ რატომ იღებდა საკუთარ თავზე მისი მგზავრობის ხარჯს სანდრო, ამას კი ვერ მიხვდა.

- შინ მარტო მოგინევთ დაბრუნება. - განაგრძო ისევ სანდრომ, ისევ ინგლისურად.

ეკას ენა ჩაუფარდა და გაფითრდა. ვილიმ ახლა ეკას შეაფეთა ცნობისმოყვარე მზერა, მაგრამ პასუხი ვერც მისგან მიიღო - ეკა ჯიქურ არ იღებდა ხმას.

- ის ფერშტეი ნისტ! - მხრები აიჩჩა ვილიმ.

- რა ვერ ფერშტეინ! - სანდროს სიბრაზისაგან სისხლი მოაწვა. ეკას თითიდან ბეჭედი წააძრო და ფულის შეკვრას ზედ დაადო.

- ცოლად შენ კი არა, მე მომიყვება! - სანდრომ ხმას აუწია.

მერე ეკას ხელში ხელი ჩასჭიდა და თითქმის სირბილით გამოიყვანა რესტორნიდან, მანქანის კარი გააღო და ძალით ჩასვა. ვილი გაშტერებული იჯდა მაგიდასთან, რომელზეც ნითელ კუბოკრულ სუფრაზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ნიშნობის ბეჭედი.

მეორე დღეს სანდრო და ეკა ისევ აეროპორტისკენ მიჰქროდნენ. ამჯერად არავის ხედებოდნენ. თვითონ მიფრინავდნენ. ორივეს მოსკოვი ელოდა. მართალია, ხელგაშლილი არა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. რაც მთავარია, წინ პირველი და კიდევ უამრავი ვენებიანი, მთვარიან-ვარსკვლავიანი და სიამით აღსავსე ლამე ელოდათ.

2004 წ.



## მამა მიქელაჟე

კრსად არ დგას ისეთი სევდიანი სინაზის სინათლე, როგორც საავადმყოფოებში ღამით. თუ ვილაც გიყვარდა, გიყვარს და კვდება, საავადმყოფოების სინათლე ხდება მსხვერველადი, მაგრამ არ კარგავს სინაზეს, სევდა კი ემატება.

თათა კვდებოდა.

პროვინციული ქალაქის ცენტრალურ, ვინაიდან ერთადერთ კლინიკაში კვდებოდა.

ისტორიულ და ძველისძველ შენობაში თალოვანი ფანჯრებით და ცენტრალური, ვინაიდან ერთადერთ, საოპერაციოს თავზე შუშის თალოვანი გუმბათით დერეფნებიც და მისაღებ-მოსაცდელეებიც, კაბინეტებიც და პალატებიც ისე იყო შემონული, რომ მზიან ამინდში თეთრხალათიანები ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. სხივარდნილებში უჩინარდებოდნენ, ღამით მთვარე არ აძინებდა მორიგეს. ფხიზლად დარაჯობდა მის სიფხიზლეს.

თათა კვდებოდა. ამაღამ?

ერთი კვირაა არ მიძინებია, მის საწოლთან ვაღამ-ვათენებ, მაგრამ ამაღამ... ვგრძნობ.

რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. როგორ მოახერხა, მაინცდამაინც ჩემი საავადმყოფოდან ორ ნაბიჯზე ექცია მანქანა ჯართად... ტელესერიალია.

ლოდინის მეტი არაფერი დამრჩენია. მთავარი, შუჭზე თათა უკვე გავს სარა ბერნარს თავის უკანასკნელ გზაზე. მორჩილად ვზივარ მის სასთუმალთან და ვივსები პალატის თერთად მოციმიციმი, დერეფნების მწვანედ მებუჭავი და საოპერაციოს ცისფრად მოცრიატე სინათლეებით.

სათუთად უსუსურნი არიან გრძელკისერა გოგონები.

სკოლაში თათას ყანჩას ვეძახდით.

ყანჩას კისერი ყინჩად ეჭირა.

მთელ კლასს უყვარდა.

მეც.

ერთ მერხზე ვისხედით და როცა გადაგვსეს, მეგონა, შემბატყვეს, როგორ მიყვარდა. წკაპ-წკაპ-წკაპ - წვეთოვანი წვეთავს, წიკ-წიკ-წიკ - მაჯის საათი მემუდარება. დრო მიდის. მიდის სიკვდილისკენ. საპროცედუროდან ექთანის ხმა მესმის. ცდილობს სანიტარი ძილს გამოგლიჯოს.

- მერხის ამბავს გიყვები. ერთ კლასში ვსწავლობდით. მაშ! პირველი კლასიდანა და ერთ მერხზე ვიჯექით. განა ჩვენთანა? ერთი სოფლის იქით, ჩემი სოფლიდანა კიდევ ორი სოფელი უნ-

# სენტიმენტალური მოთხრობა კუბოს ფიცრამდე სიყვარულზე



და გადამველო. ჩამოვივლიდი აქეთა, აილებდა გენკაი ჩემ ჩანთასა და მიველიოდი ერთადა თოვლშიცა, ქარშიცა და წვიმაშიცა. ი, რას ვიფიქრებდი გოგო, ბავშვი ვიყავი. კი ვატყობდი, მაგრამა აზრათ არ მომსვლია. მეცხრე კლასში რო ვიყავი, ძმაკაცებში უთქვამს ან ეგ იქნება ჩემი ცოლი, ან არავინო. ამბავი მომიტანეს. აი, მაშინ შემისტა პირველადა გული. ეგა ეგეთი სხვანაირი იყო, თუ დაიჩემებდა, მორჩა. სიყვარული ამისხნა კი არა და. ერთ მერხზე ვიჯექით-თქო, ხო გითხარი, ჰოდა, ერთ დღესაცა დამხვდა ზედა ორ ერთმანეთზე გადაჯვარებულ გულში ჩამძივებული "გული+გული". ამოუჭრია დანითა. ესა ვითომა გიული პლიუს გენადიო, გაიგე? ქა, კილამანა სკოლიდანა გარიცხეს. ეგ იყო და ეგა.

მეცხრე კლასში ვიყავით, ერთი მერხიდან რომ გადაგვსეს.

მეცხრე კლასში რომ ვიყავით, თათას ვანყვინებ.

არსად აღარ არის ისეთი სიხარულიანი სინათლე, როგორც ბავშვობისდროინდელ ალღუმებზე მინახავს. რა გვიხაროდა, არავინ რომ არ იცოდა, უთუოდ ამის გამო იყვნენ ასეთი ნათელი და აღტაცებულნი იმდროინდელი ზეიმებით, თუმცა მაშინ ალღუმი კი არა, საჩვენებელი გამოსვლა გვექონდა. ყველა წესის და რიგის დაცვით, ახასსახებული სტადიონით, ბუშტებით, ლენტებით, ჰულაჰულებით, ტრიბუნებზე ცოცხალი სურათებით და, რა თქმა უნდა; მშვიდობის



მტრედებით. მე და თათა სწორედ ეს უკანასკნელი ვიყავით, გვეცვა იასამინსფერ-ოქროსფერი ტრიკოები და გვეკეთა თეთრი ხელთათმანები (ხელებს კარგად თუ დააფართხუნებდი, მშვენიერი მტრედი გამოდიოდა). ჰო, კიდევ ოქროსფერი ლენტები გვეკეთა თავზე ინდოელების ბულადებივით. უბნის ძეგლებიჭობა სტადიონზე იპარებოდა, რომ ჩვენზე ენადირათ. გენერალური რეპუტაციის წინ ისეთმა წვიმამ დასცხო, რომ მისსაც გაუკვირდა. სანამ ტრიბუნებამდე მივირბინეთ, გავილუმპეთ. რალა აზრი ჰქონდა დამალვას. მოულოდნელად მუსიკაც ჩართეს. მძიმე ბავშვობა გვექონდა, ან "ბონიემი" იქნებოდა ან "აბბა", სხვა რა?

რა თქმა უნდა, თათა გამოვიძახე საცეცვაოდ. არც დაფიქრებულა, ისე გამოფრიალდა. უცნაური ვინმე იყო. რამდენი ხანია ვიცნობდი და გალიმებული არ მინახავს, დაფრიალებდა და იცინოდა, იცინოდა და დაფრიალებდა. ვისტუნეთ, ვირბინეთ, ვიკვილეთ, ვინივლეთ, ვიცეცეკვსავით იმ ღვართთაგან, სუ ყირამალები ვჭიმეთ, ვიკოტრიალეთ და ვიკოტრიალეთ ხასხასა ბლახ-ში. მეორე დღეს არ მომესალმა. კომკავერში მეც დამამუნათეს, მაგრამ თათას ეტყობა სახლში მოხვდა ჩემზე მაგრად.

სკოლის გაბუტვების ვადები ხომ განუსაზღვრელია.

ბანკეტამდე უმძრახად ვიყავით.

ახლა წევს ეს შტერი დამტვრეულ-დაჩეხილი, კლდეს მიღწენილი, ფრთებჩაოყრილი გედივით, გედის ფერი ადევს და გედის სიმღერას მღერის. გრძელი თითები გაიწივა. თეთრხელთათმანები-ანს უგავს, არამოფართხალეს.

ტუმ, ტუმ, ტუმ, ვიდაც დადის დერეფნებში. ჯახ-რუხ - ფანჯარა მისურეს.

- ერთხელაც კიდევ მითხრა - აგრძელებს მოგონებების საღამოს ექთანს, - სკოლის დამთავრების დღეს ცოლად თუ არ გამომეც, გადავიკარგებო. ეგ იყო და ევა. რას ვეტყვოდი. სად უნდა გადავიკარგო, კაცო, ვინაფსული ვარზეა მომდგარი, იმოდენა საქმეს ვინ გააკეთებს-თქო. გვიანდა მითხრა, რო კედებოდა, მაშინა. მოსწონება ჩემი სიტყვა. მაშინ კიდევ გამებუტა და წლის ბოლომდე ხმა არ გაუცია. ვინერვიანე კი არადა, სადა მქონდა მაგისი დროი. ისე ლამაზობით ვტროდი ხანდახანა.

მოვიდა ბოლო ზარიცა. დედაჩემს ეტყობა გული უთქვამდა. გავისედო და არ მიშვებს შინიდანა. მოვიდნენ გენკაის ძმაკაცები მანქანებითა. დედაჩემმა, თქვენ კაათ იყავითო და არ მიშ-

ვებს, გოგო. ერთი კარიდან რო არ გამიშვებს, მეორედან არ გავეპარე?! ხალათითა და სახლის ჩუსტებითა. გავბივიარ ისე რო... ი! მე რაი? კი ვატყობდი ჩემ თავსა, მაგრამა აზრათ არ მომსვლია. იყო მერე შერიგებები, კი პურის ჭამა და რამეი. მერე ნელ-ნელა, ცოტ-ცოტაობით ავაშენეთ ოჯახი, ბავშვებიც წამოგვესწრენ. მეტსაც გავაკეთებდით, მაგრამა დრო გაფუჭდა. გენკამა დაიწყო კი სამუშაო, მაღალ დენებზედა, თორე რა გვეშველებოდა, არც კი ვიცი. ცოტსა მეც ვესმარებოდი... ძან უდროოდ წამართვა ღმერთმა.

ნიკ-ნიკ-ნიკ.

წკაპ-წკაპ-წკაპ.

ციხფერი კლაკნილი, წითელი ზიგზაგი, მონიტორი - შშშ, ბალონები - ცცცც, ნათურები - ბზზზ.

თათა სკოლის ბანკეტის მეორე დღეს გაბედნიერდა. შვილიც მივულოცეთ. სადღაც სხვა ქალაქშიც გადავიდნენ. ამბავი ჩამოგვივიდა, რომ გაშორდნენ. ერთხელ შეშვდა, მერე მე აქეთ წამოვედი სამუშაოდ და დავკარგე.

სკოლის დამთავრების აღსანიშნავად ხმა გავცეთ ერთმანეთს. გუშინდელივით მახსოვს - მოდი შევრიგდეთ, როგორ ვუთხარი. შევრიგდით. ვიბანკეტეთ.

- რა უქენი სანდროს, კაცის ფერი რომ არ ადევს - მივუჯექი აივნიდან კაბის სწორებით შემოფრიალებულს. ახალი შერიგებულები ვიყავით და გულითად მეგობრობანას ვთამაშობდით. ვუთხარი, რომ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია. გამიციანა ხალისიანად.

- სერიოზულად გადაწყვიტე? - ვეცადე არ შემტყობოდა, რომ ძალიან მესიამოვნა.

- ჯერ ერთი, მე სერიოზულად არაფერს ვაკეთებ. მეორეც, ყელში ამოვიდა მჭავე და რალაცის მომლოდინე სახის ყურება. მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ! შენ თუ გიყვარვარ? არ გიყვარვარ? ხომ გიყვარვარ? რამე ახალი და ორიგინალური მინდა... მაგარია "ბიტლზი". მარადიულია მიი-შეელ.

- ჰო, "ბონიემს" ჯობია - ვუკბინე, მაგრამ აისხლიტა, უცნაური ვინმე იყო. ყველაფერზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ამინდზე გესაუბრებო და თანაც თხასავით ხტოდა თემიდან თემაზე.

- შენ რომ ამოიყვანე, იმ ტიპს მართლა მოეწონვარ? - გამიციანა უცებ. ყველას მოსწონდა, იმიტომ, რომ იცინოდა და დაფრიალებდა...

სანდრო, ერთი პარანოიკ კუნთმაგარა და თვალბატულა დედასერთა ჩვენი კლასელი, უგ-



ზო-უკვლოდ დაბორიალობდა, კბილებს აღრჭი-  
ალებდა, წასვლა ვერ გადაეწყვიტა. აშკარად  
ცუდად გრძობდა თავს.

- რა ხდება? - სადარბაზოში გამომიჭირა იმ  
ჩემმა მოყვანილმა. ვენეოდი ჩუმად.

- დაშორდნენ - კონსტატირება გავუკეთე  
ფაქტს.

- ვერი, ვერი გუფ, აიმ ვერი ვერი გლეფ -  
ნაილინა მან და თათასკენ გაეშურა.

სადარბაზოშიც აღწევდა თათას დაუზარელი  
სიცილი. კარის გაჯახუნებაც გავიგონე. სანდრო  
იქნებოდა. ასეთისგან რამე ახალს და ორიგინა-  
ლურს ვერ ეღირსები - გადავწყვიტე ჩემთვის  
და ნადრევად.

ერთ ნახევარ საათში კარზე ზარი გაისმა. შე-  
მოსასვლელში ვიდექი და მე გავალე. თვალებს  
არ დავუჯერე. სანდრო ოფელში ცურავდა.

- ლიფტი არ ეუშაობს და ხელით ამოვიყვა-  
ნე - მომიბოდიშა და მაგნიტოფონიანი ოთახის-  
კენ დაიძრა.

ჩვეულებრივი ბანკეტი გვეკონდა, ყველანი,  
როგორც შეგვეძლო, ისე ლამაზები ვიყავით,  
ერთმანეთს ვეპრანჭებოდით. საკუთარი თავით  
ვტკებოდით, არ ვიმწევდით წვერ-ულვაშისა  
და მკერდების ნაკლებობას და, რა თქმა უნდა,  
ვერ ვხვდებოდით, რა სასაცილო იყო ჩვენი  
სურვილი, ყვოფილიყავით დიდები და სერიოზუ-  
ლები. ვიყავით პინგვინებოვით შევ-თერთი ბიჭე-  
ბი, თერთ-ცისფერ-ვარდისფერ-იასამნისფრად  
ამიფონებული გოგონები. და ერთადერთი, რაც  
არაჩვეულებრივი სჭირდა ჩვენს ბანკეტს, მე-  
ნ სართული იყო, კლასელის მამის სახელოსნო,  
თავისი აივნებით, ვერანდებით და შიდა კიბეე-  
ბით.

სანდროს გადავუსწარი. კარი გავუღე და  
ოთახში ჯერ მე შევედი. ბოლომდე რომ მომშა-  
მოდა გუნება, თათას სახის დანახვა მინდოდა.

ასეც ვიცოდი.

ჩემი ამოყვანილის (ჩემზე რომ არაფერი  
ვიქცათ) შანსები თვალსა და ხელს შუა დაცვა  
ნულამდე.

- შემირიგდი რა - სახალხოდ გამოაცხადა  
სანდრომ და თათას ფეხებთან ცოცხალი დათვის  
ბული ჩამოსვა.

დიდი არეულობა დაიწყო. გოგონები აკვილდ-  
ნენ, დედა რა სიცოცხლეა, დედა, რა მაზალოაო.  
მე სიტყვაში გამოვედი, მაზალო კი არა, მაჟა-  
ლო-მეთქი. ბიჭები ჩემზე არანაკლებ დაბოღმ-  
ნენ, მაგრამ ვითომ იმათაც აიტაცეს საერთო  
მხიარულება. სად იშოვე და როგორ გამოგატა-

ნესო. ვილაცამ დათვი დათვის ტყავს რომ  
დახვეს, იცოდნენ... თათა ჯერ დაიბნა, მერე  
ცრემლები მოადგა, მერე ბელს ეფერა. გაბრწყინ-  
ებული იხუტებდა, ბალანს უჩქავდა, აკოტრია-  
ლებდა. სანდრო ორივეს თავს დასტრიალებდა -  
ფრთხილად იყავი, ღონიერიყო, აფრთხილებდა  
სულ მთლად აფრიალებულ და აკისკისებულ,  
სულ ბავშვადტყვეულ რჩეულს.

დათვი ეჭვის თვალით გვიყურებდა, რომ გა-  
დარია ეს ხალხი, რა აკვილებოთო. თავისთვის  
დაბურდლუნებდა, ნუ გამიჭირეთ საქმეო, თათე-  
ბით გვიგერიებდა ყველას, თათას გარდა. იმა-  
საც მეტი რა უნდოდა. იცინოდა და იცინოდა.  
ისეთი ლამაზი იყო, ისეთი, ისეთი, რომ სიგარე-  
ტის მოსანევედ აივანს მივაშურე. იქ ჩემმა "ამ-  
ოყვანილმა" მომაგნო.

- რას ფიქრობ, რა იქნება - მკითხა გალიზი-  
ანებულმა.

- რას იზამდი, მეეთექსმეტე სართულზე "პარ-  
ლეი" რომ ამოგერხინებინათ. შენ ... და მთელი  
გულით - უფრო გალიზიანებულმა ვუპასუხე. ...  
და სწორადაც მოიქცა, ცოტა ხანში სამივენი წა-  
ვიდნენ - სანდრო, თათა და დათვი.

სხვა მობანკეტების საერთო ანსამბლიდან ამ-  
ოვარდნილი მოოქროსფრო-მოვერცხლისფრო-  
მოთეთრო კაბა სახელოსნოში უხვად ჩამოსხივე-  
ბულ სინათლეში ჩაიკარგა, მერე ოქროსფერი  
თმებიც გაქრა, ბოლოს მოვერცხლისფრო-ნაც-  
რისფერმა თვალებმა მოიხედეს, მე მომეჩვენა,  
რომ მხოლოდ მე მომხედეს და თან ნაწყენმა.

სამშობიაროებში ჩვილი სინათლე დგას, თო-  
თო და მოჩურჩულე.

ბიჭი რომ გაუჩნდათ, დათო დაარქვეს, ბევრი  
არ უფიქრიათ. კლასში ერთი ამბავი ატყდა,  
დათვის საპატიცემულოდო. ბავში გრძელკისე-  
რა, უსუსური და თოვლივით სათუთ-თეთრი.  
დათვის რა მოგახსენოთ და ყანჩას გავდა.

ჩემი გაფრენილი ყანჩა. სამშობიაროს თოთო  
სინათლეში გაოგნებული დაჰყურებდა პატარა  
ფუთას. ჩვენც მაგრა დამფრთხლები ვიყავით.  
თითქოს პირველად აღმოვაჩინეთ, გამარაგლებადი  
რომ ვიყავით.

მერე დიდი დრო გავიდა. ერთხელ სანდრო  
შემხვდა უნივერსიტეტთან. უბრად ჩავუარეთ  
ერთმანეთს. ცოტა მოშორებით ვიდექით და  
გვეკონდა საშუალება, ვერ დაგინახე გვეთვალთ-  
მაქცა. გაუხეშებული და თავდაჯერებული მქნე-  
ნა და არაფრად მეპიტიანა. მეორე დღეს ზუს-  
ტად იმ ადგილას შემხვდა თათაც.

გავგეხარდა.

ამ მთის და იმ ბარის რომ გამოვიძიეთ, სანდრო მერულა მოვიკითხე. არ ვიციო, გამიცინა და ის იყო, თხასავით უნდა გადამხტარიყო, მაგალითად, ჯაბ-ფესტივალის ნიუანსებზე, დავასწარი:

- რა, მინც დაშორდი?

ნახტომში ქამანდით დაჭერილის განცვიფრებით შემომხედა.

- არა, თვითონ დაგეტოვა - კვლავ ამინდზე მესაუბრებოდა - ასე გამიწია დათვმა დათვური სამსახური - გაიცინა უცებ - იყავი შადურების გამოფენაზე? ჩვენი სკოლა რომ დაამთავრეს?

- ცოლი მოიყვანა? - ვითომ ეგ მინტერესებდა.

- ექ დათვი ხეზე როგორ ავა, იავანანიაო. გამეცინა.

- შენ იცინი კიდევ?! - გაუკვირდა ყანჩას - პირველად შევნიშნე. მეგონა, მარტო ილღვირებოდი.

- ვიზრდები - ჩემდაუნებურად გავიპრანჭე. თათამ გაიღიმა. ისე, ისე, რომ სევდამ გამეფუდა.

- შენ ილიმი კიდევ. მე მეგონა, მარტო იცინოდი.

- ვიზრდებით - შემისწორა მოწყენილმა.

ონჯანი წვეთავს, სისტემაშიც ბევრია გადასასხმელი სითხე. შეიძლება ცოტა თვალი მილულოს კაცმა, მერე სისხლის შემცვლელი, მერე... დაიძინოს რა ამ ჩემმა ექთანმა, ხომ ხედავს, მე ვუზივარ ავადმყოფს, რაღა მაგის კუდის აწევა მინდა.

- ჰო! მერხი... ერთხელაც გავარდა ხმა, სკოლაში მერხებს ცვლიანო. ეს ჩემი კაცი არავის დაუბარებია, გავიხედო და გარბის. რა დაგაკარგვია-მეთქი, გავძახე. ხმა არ გამცა. ცოტა ხანში კიდევ მომაყენა ის მერხი კარზე. დირექტორით ვინა უთხოვია. გადააჭიდებია ისა, რათ გინდაო, არ უთქვამს ამასა, ძალს ისა და ძალს ჩემი კაცი. ბოლოს იმას ხელი ჩაუქნევია - წაიღე, შენცანა იმდენი პატვიცცა მაქო. იმის მერე ჩვენთანა დგა, იქნება ასე, ნათია იყო, როგორც შენი ნაბოლარაი, იქნება ასე... თორმეტი წელი. კაი გამახსენდა და რო ჩავალ შინა, უნდა გადავღებო, ცოტა გაიცრიცასავით. რო მოიტანა მაშინ? რა უნდა მეთქვა? გამიხარდა. არადა, ვიფიქრე, ბავშვებს გაუხარდებათ-თქო. ეგ იყო და ეგა.

- გიული, წაიღე ჟანგბადის ბალიში და თუ გინდა, დაისვენე - გავძახე ექთანს.

- თქვენ დაისვენეთ ერეკლევიჩი, ამხელა ოპერაციის შემდეგ ერთი კვირაა, არ დამჯდარ-

ხართ... თქვენი ვინ არის - ვეღარ მოუთმინა გულმა.

- ჩემი პირველი სიყვარულია.

შენ'უსდა.

არ ვუთხარი, თანამერხელია-თქო, არ დამიჯერებდა.

ერთი ძვალწერილი და ხორცმრავალი მწყერივით ქალია, კობტა, ცოცხალი, სუფთა, გამრჯე, ლამაზი პირისახით, ციმციმა თვალებით, მოკლედ შეჭრილი შავი თმით, გარუჯული ლოყებით, სულ რძისა და პურის სუნი ახდის.

მის ქმარსაც ვიცნობდი. დაუზარელ ხელმარჯვე ოსტატს, შეკრული კუნთების და მუშა ბეჭების პატრონს, დინჯს და მორიდებულს. ხან რას გვიკეთებდა საავადმყოფოში და ხან რას. ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან.

- გადარჩება - ძალიან უიმედოდ გამამხნევა და თავისივე ტყუილით დარცხვენილმა კარი ჩუმად გაიხურა.

- პური არ გაგიტყხით ერთი კვირაა. დაიმტვრა და რა თქვენი ბრაღია. ამ მანქანიდანა ცოცხალს კი არა, საერთოდ რამეს თუ ამოვიტანდი, არ გვეგონაო, რო მოიყვანეს - რა უნდა ქალს რულზედა... კაცსა ამდენი ხანი ცოლი არ მოუყვანია, ესა კიდე თავს იკლავს...

არა, არ მინდოდა მეორედ გამფრენოდა ჩემი მშვიდობის მტრედი, ფრთებდალენილი გედი და კისერმოტყხილი ყანჩა.

გიულის ჟანგბადის ბალიში დარჩა. კიდევ კარგა ხანს მესმოდა მისი ძილშერეული დუდუნი. სანიტარის ალბათ ეძინა.

- შენა ჩემთანა რატო არ ჩამოდიხარ? ხეობაში რომ შეხვალ, ხელმარჯვნივ ლამაზი სოფელია, იქა ასწლოვანი წაბლია. ზუსტადა ნათავადარი სასახლის გვერდით, ხელმარჯვნივა. ადვილად მისაგნებია, წინკარში სკოლის მერხი მარტო მე მიდგა. სანამ ცოცხალი იყო ჩემი კაცი, ოჯახის საქმეებს ემაგ მერხზე ვჭრიდით ხელი-ხელწაკიდებულები, საღამო ხანსა პირველკლასელებივით ჩამოგესდებოდით ზედა. აღარ არის და მენა მჯერა, ცაში ერთი თეთრი მერხი დგა. ჯდის იქა ჩემი გენკაი და მულოდება. ეგ არი და ეგა.

თათამ თვალები გაახილა.

- ასეც ვიცოდი, რომ შენ დამხედებოდი - თქვა, თუმცა როგორ იტყოდა. აპარატზეა მიერთებული.

- გადავიღალე, მეჩვენება - სკამზე მჯდარს ჩამეძინა, ორივე ხელში ყანჩას\* გაყინული თითები მეჭირა.

ტელესერიალი ყველაზე ცხოვრებისეული ჟანრი, კინო გაცილებით დიდი იშვიათობაა ბუნებაში - გამიელვა ბოლოს.

საავადმყოფოს სინათლე იყო სევდიანი, ნაზი და აღარ იყო მსხვერვალი.

წკაპ-წკაპ-წკაპ. წიკ-წიკ-წიკ. შუშ, ცცც, ბზზზ, ტუმ-ტუმ-ტუმ. დრო სულ სიკვდილისკენ მიდის.

მე მეშინია საავადმყოფოების, მაგრამ არ მეშინია სიკვდილის. სულ პატარა რომ ვიყავი, სიკვდილისაც მეშინოდა. მაშინ სიკვდილი მოხუცი ქალი იყო. ამ მოხუც ქალს ერქვა ბაბუდა. ბაბუდას ერქვა ქალბატონი ნინიჩკა. მეძახდა ტატაკას და მე ვერ ვებედავი მეთქვა, რომ მქვია თათა.

ყოველთვის წვიმაში მოდიოდა, ყოველთვის რეა სათაზე. ყოველთვის თან მოჰქონდა ბინდის თანწმლები სევდა, პაპიროსი "ყაზბეგის" და ვალერიანის ძირების სუნი. გახსნიდა პანანკინტელა შავ რედიკულს, ამოიღებდა არარეალურად ლამაზი, ბოლოებპრეხილი, ნანვეტებული თითებით ვერცხლის გამავეხულ გრავირებულ პორტსიგარს, მოიბარჯებდა პაპიროსს და ერთი მეორის მიყოლებით ეწეოდა ღერს ღერზე, ღერს ღერზე, მონუელს ჩაუქრობდა ტოვებდა საფერფლეზე. ჭდეში განხეილი თითქმის ნახევარი ნაწმვები კიდევ დიდხანს ბოლავდნენ, ფაიფურის ჭაღზე მიხატულ ქალებს აწუხებდნენ. მეგონა, ... ნეკებპრეხილი ხელებით ოდნავ წამოწევენ და ცხვირაბუხებით დაბაკუნებენ ბაკუნა ფესსაცმლების ოთხკუთხა ჭვინტს.

ქალბატონი ნინიჩკა კვამლში გახვეული დამამასხორდა. პირბადიანი შლაპით, ნატიფად ჩამოქანდაკებული პროფილით, კაეშინიანი ფართო შავი თვალებით, ბინდისფერი კაბის საყელოზე და თავად კაბაზე ჩანკიკიკებული პანანინა მრგვალი ლილებით. ხელით ნაქსოვ-ნაქარგი ძველებური მაქმანის მომწვანოდ რძისფერი საყელოთი. ძველებურივე ვარცხნილობით, კვამლისგან რომ ვერ გაარჩევდი, ისეთით. პატარა, კოხტა ქალი იყო, კვამლისფერი ფაიფურის ანტიკვარული თოჯინა. შემოვიდოდა, შავ გაცრეცილ პალტოს კალთაში იდებდა, როცა სულს მოითქვამდა, მერეღა ჰკიდებდა იქვე საკაზე და ყოველთვის, ყოველთვის ერთ ისტორიას ყვებოდა - როგორ სწავლობდა ოდესაში, როგორ გაიცნო ბუკა, როგორ შეუყვარდათ ერთმანეთი, როგორ დაინერეს ჯვარი კოკროჭინა უკრაინულ ეკლესიაში, რა ბედნიერი ორი წელი გაატარა მეუღლესთან და როგორ მოუკვდა ტიფით,

ოცი წლის რომ იყო, მაშინ. როგორ ცხოვრობდა დედამთილ-მამამთილთან ათი წელი, სანამ არ უჩრჩიეს, შვილო, გათხოვდიო, როგორ წამოვიდა სახლიდან და მერე... მერე არაფერი, სულ, სულ არაფერი... სამოცწლიანი არაფერი.

არავინ იცის, რატომ მოდიოდა ჩვენთან, რატომ ემეგობრებოდა დედას, რატომ სრესდა პაპიროსს "ყაზბეგს" არარეალურად ლამაზი, ბოლოებპრეხილი, შეყვითებული თლილი თითებით, რატომ დგებოდა მოულოდნელად და რატომ მიბაკუნებდა წვიმაში უქოლგოდ, შავი გაცრეცილი პალტოს და პირბადიანი შლაპის ამარა.

უცნაურად უსუსური არსება იყო. შაქარს თუ არ მოურევდი ჭიქაში, სასონარკვეთილად აანკარუნებდა ლამაზეუკ ცოვზს. თუ თავის ისტორიას არ მოაყოლებდი, იჯდებოდა გარინდული და გაოგნებული გაუძნრეულად, მარტო პაპიროსის ახალი ღერის ასაღებად თუ შეტოკვებოდა.

ყოველთვის ასე იწყებდა - ოდესაში რომ ვსწავლობდით, ან ჩემი ბუკა ამბობდა.

რატომ მეგონა სიკვდილი, არ ვიცი. ძალიან მეშინოდა მისი. ან დედას ვეკვროდი, ან კუთხეში ვიბუხებოდი. ათასში ერთხელ თუ გამცემდა მხას.

- ტატაყლა, ბარძოჯე, ლალ ჟრუმზე ევონ-ს? მეგონა, ჩემს იქით ვილაც სხვას ხედავდა. ხშირად უკანაც მიმიხედავს.

ერთხელაც მოვიდა და მართლა მოკვდი.

სიცხე მქონდა. დედას ჩაის მოსარევეად და ათასჯერ მოსმენილი ისტორიების მოსასმენად არ ეცალა. შემლილივით დაქროდა ოთახებში, ძმრის, ლიმონის, მოხარშული კომბოსტოს, პენიცილინის და შიშის სუნი დაჰქონდა. კრუნჩხვა დამეწყო.

- გამარჯობა ღმერთო.
- გამარჯობა თათა. რა გაგჭირვებია? რატომ მოხვედი?
- მინდოდა მეკითხა, ადამიანები დაფრინავენ?
- შენ ხომ ეგ იცი, შენ ხომ დაფრინავ.
- მერე ეს კარგია თუ ცუდი?
- არ ვიცი - დაიბნა ღმერთი.
- მეც არ ვიცი - ჩავფიქრდით ერთად.
- რას იზამ ახლა შენ? დარჩები?
- არა, დედას შეემინდება.
- ბაბუდასაც.
- ბაბუდა სიკვდილი არ არის, ხო?
- ე! მე შენ დიდი გოგო მეგონიხარ.
- კარგი, წავედი და ბაბუდას ვკითხავ, რატომ მეძახის ბარიშნას.

- ჭკვიანურად იფრინე.  
- იცი, კიდე რა უნდა მეკითხა, ამდენ ხანს სიყვარული შეიძლება?

- გაიზრდები და გაიგებ.  
სანამ მე ღმერთს ვესაუბრებოდი, სახლში აი, რა მომხდარა.

დედა ყურმილში კიოდა. ის კი იჯდა და ენ-  
ოდა. მოულოდნელად ადგა და ჩემთან მოვიდა.

- ჩემი ბუკა ამბობდა...  
დედას თვალებმა ელვა გააკვესა.  
- ასეთ დროს ბავშვი ძველ ზენარში უნდა  
გავახვიოთ, ენა დაუჭიროთ, დასამშვიდებელი  
მივცეთ...

რაც ყველაზე საოცარია, თვითონ, სხვების  
დახმარების გარეშე, მშვიდად ამოქმედდა. პანან-  
კინტელა შავი რედიკულიდან რაღაც მიქსტურა  
ამოიღო, რაღაც ოთახის ყვავილს ფოთლები შე-  
ატეხა და საფეთქლები დამიზილა, ძმრიანი ზენ-  
არები მიცვალა და სანამ სასწრაფო მოვიდოდა,  
მოვიხედე კიდევ.

მოგვიანებით ვერცხლის სადგარიანი ჭიქიდან  
ჩაი მოსვა, ვერცხლის პორტიგარი გახსნა და  
პირველად დაეინახე, როგორ გაიღიმა. სახე არ  
შეცვლია, შიგნიდან განათდა...

- ჩემი ბუკა ოდესაში სამედიცინოზე სწავ-  
ლობდა. არ მითქვამს, ბუკას რომ ვალერიანი  
ერქვა და ყველა წამალს ვალერიანის ძირები  
ერჩივან?

დედას ნელ-ნელა უბრუნდებოდა ფერი. ბავშ-  
ვის მშვიდი სუნთქვა, ვალერიანის ძირების სუ-  
ნი, საათის ნიკნიკი და წვიმის შხაპუნის ხმა  
მადლად ტრიალებდა სამზარეულოში.

- უჰ! რა დაგვემართა, აჰ! რა გადავიტანეთ,  
ოჰ! ოჰ! - ქოთქოთებდა გაბჭურაზე უპატრონო-  
დ დარჩენილი ჩაიდან.

ჩამეძინა.  
ის კი ისევ მოულოდნელად ადგა. შავი პალ-  
ტო შემოიცივა და წასვლისას თქვა:

- ჩემ ბუკას ისე უნდოდა ბავშვი - პაპირო-  
სი საფერფლეზე დადო - მეც მინდოდა, განსა-  
კუთრებით მერე - მოულოდნელად ხმას დაუნია  
- ... თითქოს ბუკა მკარნახობოდა, როგორ უნ-  
და მომეველო ტატაჩკასთვის... - და კარებში და-  
ამატა - არავის არ უთხრა, ოღონდ. მართლა გა-  
ვიგონე ბუკას ხმა - აციმციმებული თვალებით  
გაენლო დედას, წვიმაში გაპაკუნდა და აღარ გა-  
მოჩენილა.

მაღე პირველ კლასში წავედი.  
მე და ლევანი ერთ მერსზე ვისხედით.  
ლევანი იყო მსუქანი, სერიოზული და ყელზე

ბავთით. შეკითხვაზე, ვინ უნდა გამორეიდოთ,  
თქვა "ეკიმი" და მაშინვე შემეყვარადა. ეტყობა,  
ბაბუდას ვიზიტებს უკვლოდ არ ჩაუფლია.

მე ისევ დავფრინავდი. ღამ-ღამობით სულ  
დღისით უკვე იშვითადა. ძილში ლევანთან ერ-  
თად ვნახულობდი ყველაფერს, იმას, რასაც სკო-  
ლაში გვასწავლიდნენ: ეგვიპტის პირამიდებს,  
კრეისერ "ავრორას", შაქრის ღერწმის პლანტა-  
ციებს და მარგალიტის ნიუარებს. თუ რამეს გა-  
ვაფუჭებდით, ძილში ერთად ვუხდიდით ბოდი-  
შებს განაწყენებულ მასწავლებლებს. რამდენჯერ  
დარჩენილი საშინაო დავალება ამოუხსნია ჩემთ-  
ვის ძილშივე.

"არ გავცვლი მე ჩემს თათასა,  
სხვა ქვეყნის ღამაზე ქალზედა".  
დამინერა მეოთხე კლასში.

ბევრი ვიცინე.  
სახლიდან ათი ტაბლეტი ანალგინი მოიპარა  
და თავს იკლავდა.

შემეშინდა და შევრიგდით.

მე-7 კლასში შრიობითი სემესტრიდან მატა-  
რებით ვბრუნდებოდით და სადღაც პროვინცი-  
ულ ქალაქში ჩამომსვენს ბრმა ნანწავის შეტე-  
ვით. ლევანმა გზა გააგრძელა. გაგებრაზდი. ნაო-  
პერაციცევს თვალი გახელილი არ მქონდა და  
თავზე დამადგა. თბილისიდან დაბრუნდა, გამი-  
ხარდა. რომ მაკოცა, ცოტა ტუჩები მოგვიხვდა  
ერთმანეთზე და ძალიან შეგვგრცხვა. იმის მაგივ-  
რად, რომ რაღაცა, დავემგობრდით. უერთმანე-  
თოდ არსად არ დავდიოდით. სანდროც ამ  
დროს გამოჩნდა. ლევანი ბრაზობდა. მე დავფ-  
რინავდი.

ბაბუდას სიბერის ავადმყოფობა შეეყარა,  
ჩვენ სახლს კი არა, თავისას ვერ აგნებდა. ხში-  
რად სხვა ქალაქებში პოულობდნენ. აბრუნებდ-  
ნენ ხან სახლში, ხან საავადმყოფოში. სულ ოდ-  
ესაში მიდიოდა.

მერვე კლასში ვიყავი, კმბავი რომ მოგვიტა-  
ნეს, კვდებოა.

დედა ავად იყო და მთხოვა, მოინახულეო.  
ლევანი გავიყოლე. მარტო მეშინოდა.

საწოლში ძლივს ჩანდა, გამხდარი, გალეული  
საყელოზე ჩანიკნიკებულ პანაწინა ღილებს რამ-  
დენიმე აკლდა. ძარღვებადქცეული ღამაზი კის-  
რის გარშემო ხელით ნაქსოვ-ნაქარგი უძვირფა-  
სესი მაქმანის ნარჩენები შემოხვეოდა. მოწყვეტი-  
ლად მიუჭუჭულიყო კვამლისფერ თეთრეულზე.  
ბოლოებებარეხილი, არარეალურად ჩამომდნარი  
მოლურჯო თითები მოუსვენრად ფუსფუსებდნენ  
და გაპაუნული ვარცხნილობის მონქსარიგებას

ცდილობდნენ. ბავშვობის დროინდელმა შიშმა ამბიანა. ჩემს უკან ვიღაცას თხოვდა პაპიროს "ყაზბეგს", ვალერიანის ძირებს და ოდესის ბილეთს. ვერ მიცნო.

ბუკაზე ჩამოვუგდე საუბარი. გამოცოცხლდა.

ისევ ძველი ისტორია მომიყვა. როგორ დახვდა ბუკა ოდესის უნივერსიტეტთან, როგორ დახვდა ჯიბის ვეებერთელა საათს და თქვა, რვა საათია, ახლა კი დროაო, როგორ სთხოვა ხელი და მოულოდნელად აკოცა. მოულოდნელადვე გადაუნხიეს კოკოროჭინა ეკლესიაში და მღვდელს ჯვრისწერაზე შეუთანხმდნენ.

- ჩემმა ბუკამ ყველაფერი მოულოდნელად იცოდა - თქვა ჩურჩულით, - ღმერთთანაც მოულოდნელად წავიდა...

მოულოდნელად გაყინული ხელით ჩამებლაუჭა, ღრმად ამოისუნთქა და შიგნიდან განათდა.

- უჰ! ძლივს არ გამიშვეს ოდესაში...

წვიმდა და რვა საათი იყო.

მე და ლევანი საავადმყოფოდან გადასხვაფერებული გამოვედით. ბუკის ვლაპარაკობდით. ვიცინოდით, როგორ არ დავჩრჩი ღმერთთან იმის გამო, რომ ბაბუდასათვის მეკითხა, ბარიშნას რატომ მეძახდა. ლევანი იბღვირებოდა და ისეთი ახლობლები ვიყავით, თითქოს ეს-ეს იყო, ჯვარი დავიწერეთ.

მერე არაფერი, სულ, სულ არაფერი.

ერთხელ წვიმაში ვიცეკვეთ.

მერე ერთი მერხიდან გადაგვხსეს.

მერე გაეთხოვდი. გაეთხოვდი იმაზე, ვინც მოულოდნელად გააკეთა რაღაც.

მერე ჩემი ბავშვის სანახავად მოვიდა. ისეთი დაბნეული იყო, გეგონებოდათ, ჯერ კიდევ ეგონა, რომ ბავშვები ყარყატებს მოაქვთ. პო! იხუმრა კიდევ, ჩენი კლასის პირველი ბავშვი "ყანჩაშ" მოიტანაო, ბავშვი კი არა, წერტილიაო...

და დაესვა წერტილი პირველ სიყვარულს.

ახლა ბევრ რამესაც.

სხვა დაფორინავდი.

ამიტომ არ მიყვარს საავადმყოფოები. საავადმყოფოებში ყოველთვის რაღაც მთავრდება და რაღაც იწყება.

სანდრო? სანდრო რა. პირველი და უკანასკნელი მოულოდნელობა დათვი შემთხვევითობა იყო მხოლოდ და ნიშნის მოგება. რამდენჯერ ვცადე, რამე მსგავსის პროვოცირება მომეხდინა. ერთხელ სახლში ბუხარი დავახვედრე შევბულღიდან ჩამოსულს, თავის მძაკაცებთან ერთად ბუხრის პრეზენტაცია მოვუწყვე, ერთხელ ოთხმეტრიან ჭქერს რომ წვდებოდა, იხელა პალმა

დავახვედრე. ერთხელ... ყველაფერს ისე ღებულობდა, როგორც კუთვინის. ერგებოდა. მერე საღვაც რუსეთში გადამკარგა. იქ ფული კეთებოდა კარგად. და მერე რა, თუ არავის სჭირდებოდა ჩემი რუსი ფილოლოგობა. არასოდეს არ ჰქონია ლევანის სიფრთხილე და სიფაქიზე ურთიერთობებში.

გავშორდით.

დათუნას წართმევა დამიპირა.

დედამ დამირეკა, ლექციები მქონდა პროვინციულ, კარგადანაზღაურებად უნივერსიტეტში. ჩამოსულია, ბავშვის წაყვანა უნდა სასწავლებლადო.

დავვუეკი მანქანაზე და...

- გამარჯობა, ღმერთო.

- გამარჯობა თათა, ისევ მოხვედი? რატომ აღარ დაფრინავ?

- დავიღალე.

- დარჩი თუ გინდა.

- ბავშვი!

- კიდევ რატომ გინდა დაბრუნება?

- ერთხელ ერთ სუფრაზე მოვხვდი. ვიღაც სიმპატიური ბიჭი მომიჯდა და მთელი საღამო მესაუბრა. ყველაფერზე, ყველაფერზე, ყველაფერზე. მიყვარს მფრინავი ქალებიო, ასე მითხრა, ყველაფრის პასუხი რომ მზადა აქვთო. მაცინა, ბევრი...

- მერე?

- მაღლობის თქმა დამაინყვდა. მეორე დღეს ვერც ვიცანია. ბევრი მაღლობა დამრჩა სათქმელი... დედაც მეცოდება. კუბოს ფიცრამდე სიყვარულიც აღარ და აღარ შემხვდა...

- კარგი, წადი. ფრენას ნუ ივინყებ, ბავშვს გაფრთხილება უნდა.

- შენ კარგი ღმერთი ხარ. ყოველთვის მაძლევ არჩევანის უფლებას.

- გამოიყენე მერე, შე ყანჩა შენა!

ახლა თვალებს გავახელ და ლევანი დამხვდება.

- ვიცოდო, რომ შენ დამხვდებოდი - ვერ ვთქვი. პირზე რაღაც მეფარა.

\* \* \*

თბილისში შევხვდით. ისევ უნივერსიტეტთან. მოულოდნელად. როგორც კი შესაძლო გახდა, აქეთ გადმოვიყვანე და ერთი ექვსი თვეა არც მინახავს. როგორ იყო, კი ვგებულობდი კოლეგებისგან.

კაფეში შევედით. არა, მე შევედი. თათა შეფრიალდა, რაც უნდოდა, ყველაფერი მოითხოვა, მუსიკა შეაცვლივინა, ადგილი არჩია დიდხანს

და როგორც იქნა, შემაშინა.

- მაგარია არა, რეი ჩარლზი. სანთელი ქარში...

ისეთი ლამაზი იყო, ისეთი, ისეთი. სიგარეტს სიგარეტზე ვეწოდო.

- როგორა ხარ.

- თქვენის ლოცვა-კურთხევით...

და დავიწყეთ დიდი ხნის უნახავი კლასელების აბდა-უბდა, მათ მეტს რომ არავის ესმის.

- შტაბი გასსოვს?

- დუდანას კურტკა?

- ნუ გამახსენებ.

- ოთარის ჩანთა.

- ვა-ხა-ხა-ხა.

- ჟურნალი რო დაწვით და საკლასო ოთახში ჩაგვკეტეს მთელი დღით.

- გრძელი კაშნეები იყო მაშინ მოდაში და ჩამოგვართვეს. მე-4 სართულის ფანჯრიდან არ გადაძვრენო.

- გველესიანს რომ ზოოპარკში სირაქლემამ ბოლო სიგარეტი შეუჭამა.

- ანთებული.

- ვა-ხა-ხა-ხა.

- ორკაპიკიანებს რო ვაგროვებდით კინოში შესასვლელად.

- თოთხმეტში სარდაფის ფანჯრიდან რო ვიპარებოდით და ნორამასწმა ფეხით რო გამოათრია ძაგანია.

- სვანიძემ რო ალოე შეჭამა და მოდებამდე რომ წითელი კუთხიდან ფიკუსი მოუთრია.

- ბეროშვილის "როკ-ჯგუფი"?

- "რომის პაპის" შატალო?

- ბარძიმას მგლები? ოთხი ბიჭი ყავს, იცი?

- კაი კაცო.

- წონწორია და სარალიძე რომ ახალა დაქორწინდნენ, იცი? შედეგმაც არ დააყოვნა - ნამწყილ ი ვჩე ნამწყილ.

- არ გადამრიო.

ფრთხილად ვკითხე.

- გახსოვს, შენ ბაბუდასთან რომ ვიყავით.

- ჰო, ღმერთმა მითხრა, ეგ და ბუკა გუგულებივით არიანო.

- ახლა რატომ დაბრუნდი? - უფრო ფრთხილად ვკითხე.

გაჩუმდა. მეგონა, ისევე თხასავით გადახტებოდა სხვა თემაზე, მაგრამ მიპასუხა:

- მაღლობის თქმა დამაინწყდა შენთვის.

- ეს ჩემი პროფესიული ვალია - ვიფიქრე, სიცოცხლისთვის მემადლიერებოდი.

- მაგიტომ არა, "მაგას" შენ ვინ გკითხავს...

წვიმაში რომ მაცეკვე, იმისთვის.

- მართლა მაგარია რეი ჩარლზი - ვთქვი როგორც შემძლო, ისე ღრმავაროვნად.

ახალი სიმღერა დაიწყო.

- ესეც კარგია - თქვა თათამ - კოკერია. ზაფხული ქალაქში.

ზაფხული იყო. ცხელოდა. თათას მოკლე, გრძელსახელობიანი კაბა ეცვა, მე კი ვიცოდი, რამდენი ნაკერი ედო, მაგრამ არ უნდოდა, სხვებსაც შეეშინათ მისი დაღწილი ფრთები.

- ახლა რა უნდა ქნა? - ვკითხე რაღაცის იმედით.

- შენ რომ ბანკეტზე ტიპი ამოიყვანე, ახლა სად არის? - ისევე გადახტა.

- საზღვარგარეთ დაახვია - არ მესიამოვნა.

- ერთი-ორჯერ შევხვდი რუსეთში - ეს უფრო არ მომეწონა.

გაეცინა.

- თუ მეტი არავის არ გამირიგებ, გეტყვი სა-მომავლოდ რას ვაპირებ. სკოლის მერხები უნდა ვანარმოო სერიულად. წარმოიდგინე დიდი, პატარა, წიფლის, წითელი ხის, მოდერნი, კლასიკა, ბელეზიანი სკოლის მერხები, საფირმო ნიშნით "გული+გული". დაათუნას ფირმის საპატრიო გენერალურ დირექტორად დავინშნავ, შენ თანაპრეზიდენტად. ჩვენი დევიზი იქნება "მერხი არ არის სიყვარულის საგანი, მერხზე შეიძლება ისწავლო საგანი - "სიყვარული".


- შენ რა, გესმოდა? - ვერ მოვითმინე.

- მე ხო დაფრინავ?! - ფრთებივით აიქნია ხელები.

- მერე? - ვკითხე დაბნეულობისგან. ვერ არ მგეუროდა.

- რა მერე? ჩემს გვერდზე სკამზე გადმოფრთხილდა და მაკოცა.

- ავშენდებით!



## პერფორმანსის თეატრის 10 წლისთავზე


შადიმან შამანაძეს,  
 პერფორმანსის თეატრის პირველ შემკედლებელს

იყო სადღაც და აღარ არს თეატრი  
 მიმოქროლის, ყოვნების და სკუპის,  
 დადგა ფაში თურმე უკვე მონატერის,  
 თუმც კი ქალაქს წამოხადეს ქუფრი.

რუსთაველზე მშვიდად გაიარების,  
 რესტორნებშიც შეიჭმების პური,  
 მაგრამ უკვე ვერსად ნახვის თეატრი,  
 იშვიათებს სიზმრებშიდ რომ სურინ.

მახსოვს, ერთხელ იატაკზე დავგორდი,  
 მახსოვს, ერთხელ ვიყვირე და მოვკვდი.  
 თბილისს იყო და აღარ არს თეატრი -

ვიგონებთ და გიჟი ცრემლი მოგვდის.



## "არც მიწისა ვარ, არც ცისა"

რუსუდან კაიშაურს

სულისშემზუთავია ეს გაუთავებელი თავბრუდამზვევი სირბილი -

სამზარეულოდან ზეცისაკენ,

ზეციდან სამზარეულოსაკენ,

სამზარეულოდან ზეცისაკენ:

სიჩქარეში ტაფა რომ შერჩება ხოლმე მარცხენა ხელში და

შიშხინებს ერბო-კვერცხი,

და სანამ შემწვარა,

ასჯერ მოასწრებს ცაში აჭრას,

მარჯვენათი მოზრიალე კალმისტრით

ლაფვარდის შეთქვეფას,

მერე კი კვლავ უკან ჩამობრუნებას -

გაზქურის ლობიო-ტროპებთან და მწვანილ-მორფოლოგიასთან -

სულისშემზუთავია -

და ის კი დარბის, დარბის,

არ ეთმობა არც ერთი და რათა გაგვაგონოს,

ჩამოგვევირის შუაგ ზიდან:

"ერბოკვერცხზე გეპატიჟებით!"

## ირგვლივ, თევზის რენვაში

ამორავდა მის გზაზე  
 კვლავ ეშმაკის მანქანა,  
 და გულის ჩანდარიდან  
 გზნებით ნამიზეზვევი  
 სხვისკენ გადაქანდა.

ასზე შეიპირა,  
 სივარეტით, ზღვის პირს,  
 მკერდში ცეცხლის ალით,  
 გამობრძანდა ქალი  
 ყვრიმალებით მქრქალით.

ირგვლივ, თევზის რენვაში,  
 თმათა მიმოწეწვაში  
 მეზღვაური კვენეს და  
 ვერ აანთო კვესი.

ცეცხლის მოკიდებაზეც  
 უთხრა უკაცრიელმა  
 სანაპირომ უარი,  
 ყიამეთი ბულვარის  
 დაიარა მაინც  
 თითებშუა გაჩრილი  
 გრილი სივარეტით.

მოსალოდნელ არშიეში  
 იყო ვნება არშინი,  
 შიში - მილიმეტრი.

და ეშმაკის მანქანამ  
 იქით გადააქანა  
 სადაც ჩანდა მრავალი  
 შებოლილი ქაშაყი,  
 სადაც ჩანდა მრავალში  
 ერთადერთი, ამაყი,  
 მლაშე მეზღვაური.

## სტუმარი

სანამ თოვლი მოსულა,  
 სანამ მატარებელი,  
 არვინა მყავს ამქვეყნად  
 შენი მადარებელი.

მაგრამ ფიფქის ფართხალში,  
 ბუკში ლოკომოტივის,





გამინდება ახალი  
სიყვარულის მოტივი.

პირველი ლიანდაგი,  
ხვაურიელი თოვება,  
მალრიბული ბადაგი  
ვაგონივით მომება.

თაფლისფერი თვალების  
ანთებული ხავერდით  
ხელი გამომიწოდა,  
მომესალმა... წავედით!

.....

გაილია ალერსში  
საკვირველი სამი დღე,  
მერე გული დახურეს,  
ისე, როგორც გამიღეს.

დუეტიდან ნელი-ნელ  
გადავდივართ სოლოზე,  
და დამზრალი ხელები  
იორთქლება ბოლოჯერ.

ბედისწერის ბორბალიც  
იქოქება თანდათან,  
ასე იყო ყოველთვის,  
ათადან და ბაბადან.

.....

ვაც ზალი და ბაზარი,  
ფარჩები და თახჩები,  
ვიღიმიან ცბიერად  
ვაჭრები და ჩარჩები.

ხელს დაუქნევ ბაქნიდან  
სტუმარს, ღვთისგან გაჩენილს  
და სიცოცხლის ბოლომდე  
იმ სამ დღეში ჩარჩები.

### ღამის ჰანიკუ

\* \* \*

მხოლოდ და მხოლოდ ვარსკვლავებს ვავცქერ.  
მთვარე სახლის  
მეორე მხარეს დაბუდებულა.



\* \* \*

უცებ მივხვდი:  
 თორმეტი წლის წინ დაწერილი წერილების  
 გადაკითხვის ჟამი მოსულა.

\* \* \*

გამთენისის სიმყუდროვეში  
 სიგარეტის ბოლი  
 უცებ ამიხმაურდა.

### სანამ დროა

დედა წევს და მძინარეა... ზამთარია...  
 ცივ კედელში ელექტრობის გამტარია...  
 მოისწრაფვის დენი ჩვენს კენ, რათა  
 ჩააბნელოს სახლი მოკლე ჩართვამ.

დედა წევს და მშფოთვარეა... ზამთარია...  
 რადიოში: რიმდარია-რამდარია...  
 ცხოვრება რომ რთული არის, ვისწავლე,  
 ვიცი, პავლედ გადაიქცა იქ სავლე.


დედა წევს და გაიღვიძა... ზამთარია...  
 მგონი მალე შევიშლები... რათ არიან  
 ამ ჩემს სახლში უბედური ნივთები  
 კირთებით?

დედა იწვა და წამოდგა... ზამთარია...  
 დანას ეძებს ალესილს და შეატარაინს...  
 შემილოცე, სანამ დროა, დე,  
 აბადლებუ, მაბადლებუ, ბე.

ცივ კედელში ელექტრობამ გაიარა,  
 აბადარა, მაბადარა, ბაიარა,  
 სავლე უკვე გადაიქცა პავლედ,  
 დედაჩემი სარეცხს წყალში ავლებს.

გაზაფხულდა, ზაფხულია, აგვისტო,  
 დედაჩემიც გაიღვიძებს, დაგვისო.  
 მე ვიჯდები და აუქმევ ბუზ-ბუზებს  
 ბაღნებს, ჩემებს, ბუთხუზებს.

იზრდებიან ბავშვებიო,  
 ჟიჟივებენ შაშვებიო...  
 ზარნი რეკენ: დინ-დინ!  
 შემოსულა, შემოსულა შემოდგომაც  
 სიყვითლით და დინდგლით.



დასასრულის მოლოდინი თან მდევს,  
 შემელოცე, შემელოცე, ჰა, დე!

აბადელა, დაბადელა, დელა...  
 მე ვწევარ და ტირის ირგვლივ ყველა...

### გაზაფხულის დილა

გაზაფხულის დილა იყო მშვიდი,  
 ჩიტებისთვის გამხმარ პურს რომ ვფშენიდი.

მრევლი საყდრად იჩოქებდა რწმენით,  
 მე კი ბაღში ლამპიონებს ვწმენდდი.


ფეხად მეცვა მორღვეული წინდა,  
 იყო ნისლი და ოცნება წმინდა.

უცებ ფიჭვის სურნელემა დადგა,  
 ომნიბუსი ახმაურდა სადღაც.

ნელი-ნელა გავიარე ბაღი,  
 ჩამოშექცა თავზე ზეცის თაღი...

ასე მწარედ ჩამოვშორდი ჩიტებს,  
 და ეს დარდი სუყველაფერს იტევს.

გაზაფხულშიც რომ არ არის შველა,  
 ამიტომაც მწუხარება ყველა.



### ვაშლი

ნატურმორტს აკლია ვაშლი,  
 შენს სახეს ლურჯ თვალებს ვაშლი.


შენს თითებს ვამატებ ბეჭდებს,  
 სულ მინდა, ფანჯრის წინ მეჯდე.

სულ მინდა, როდინით ნაყო,  
 აწმყოში ზილავედე ნამყო.

ნატურმორტს აკლია ბროწეული,  
 და საფერფლე, სიგარეტით, მოწეულით.

შენს პორტრეტს ლურჯ თვალებს ვაშლი,  
 ბრძავე ჩემო, მიირთვი ვაშლი!





## ლექსები წიგნიდან

### “ზღვის მტევნები“, 1976

I'm just a red nigger who love the sea,  
I had a sound colonial education,  
I have Dutch, nigger, and English in me,  
and either I'm nobody, or I'm nation.

- მწკარედი: ვარ უბრალოდ წითელი ზანგი, რომელსაც უყვარს ზღვა, / საფუძვლიანი კოლონიური განათლებით, / ჰოლანდიელი, ზანგი და ინგლისელია ჩემში, / და ვარ ან არავინ, ანდა ვარ ერი.

1953 წელს უოლკოტი ტრინიდადში გადასახლდა და, უესტ-ინდიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, აქტიურად ჩაება კარიბის ქვეყნების ლიტერატურულ და თეატრალურ ცხოვრებაში. სხვადასხვა წლებში მან დააარსა რამდენიმე თეატრალური დასი და სამშობლოში უოლკოტი-დრამატურგი გაცილებით პოპულარულია, ვიდრე უოლკოტი-პოეტი; თუმცა მსოფლიო აღიარება მას სწორედ ლექსებმა მოუტანეს. ჯერ კიდევ სამოციან წლებში უდიდესი ინგლისელი პოეტი რობერტ გრეივის წერდა: “უოლკოტი გაცილებით ღრმად ჩასწვდა ინგლისური ენის მაგიას, ვიდრე მისი თაობის ინგლისელი პოეტების უმეტესობა (შესაძლოა, ყველაზე ღრმადაც)“.

უოლკოტი ოცამდე პოეტური კრებულის ავტორია; მათ შორისაა “მწვანე ღამეში“ (In a Green Night) - 1962, “გარიყული“ (The Castaway) - 1965, “ყურე“ (The Gulf) - 1970, “სხვა ცხოვრება“ (Another Life) - 1973, “ზღვის მტევნები“ (Sea Grapes) - 1976, “ვაშლ-ვარსკვლავის სამეფო“ (The Star-Apple Kingdom) - 1979, “იბლიანი მოგზაური“ (The Fortunate Traveller) - 1981, “შუაღამისული“ (Midsummer) - 1984, “რჩეული ლექსები: 1948-1984 (Collected Poems: 1948-1984) - 1986, “არკანზასული ანდერძი“ (The Arkansas Testament) - 1987, “პომეროსი“ (Omeros) - 1990, “ძღვენი“ (The Bounty) - 1997, “ტიეპოლოს მწვეარი“ (Tiepolo's Hound) - 2000.


დღესდღეობით 74 წლის პოეტი ბოსტონში ცხოვრობს და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, აქტიურად განაგრძობს ლიტერატურულ საქმიანობას.

პოეტი და დრამატურგი დერეკ უოლკოტი, 1992 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, 1930 წელს დაიბადა კარიბის აუზის კუნძულ სენტ-ლუსიზე, ქალაქ კასტრიში. არქიპელაგის სხვა კუნძულების მსგავსად, იმ დროისათვის სენტ-ლუსიც ბრიტანეთის იმპერიის კოლონიას წარმოადგენდა.

უოლკოტიმ საკმაოდ ადრეულ ასაკში, 18 წლისამ გამოსცა პირველი კრებული სახელწოდებით “25 ლექსი“, რომელსაც თვითონვე ყიდდა კასტრის ქუჩებში. ამ დროისათვის მას უკვე გაეკეთებინა უმთავრესი და, ამავდროულად, ურთულესი არჩევანი: მან თავიდანვე არამშობლიურ, ინგლისურ ენაზე დაიწყო წერა. ამას რამდენიმე ობიექტურმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. პირველ რიგში, მისმა შერეულმა წარმომავლობამ: უოლკოტის დედა ტრინიდადელი ზანგი მონების შთამომავალი იყო, მამა კი ინგლისელი, რომელსაც, თავის მხრივ, ჰოლანდიელი დედა ჰყავდა. ამასთან, კარიბის ქვეყნების მაშინდელი საგანმანათლებლო სისტემა მთლიანად კოლონიურ, ინგლისურ ენაზე იყო დაფუძნებული.

მოგვიანებით, სამოცდაათიანი წლების მიწურულს, პოემაში “ხომალდი სახელწოდებით ფრენა“, უოლკოტი წერდა:

## ღერქე უოლოგი



### არძიპელაბი

ამ წინადადების ბოლოს იწყება წვიმა.  
წვიმაში ჩნდება იალქანი.

იალქანი თანდათან ქრება კუნძულების თვალთახევიდან.  
ბურუსში შედის რწმენა, რომ სადღაც  
ისევ არსებობს ის ნაპირი.

ათწლიანი ომი დასრულდა.  
რუხი ღრუბელი, ელენეს თმა.  
ტროა, ნაცრის თეთრი სვეტი  
წვიმიან ზღვაში.

წვიმა, ცერად დაკვიმული სიმები არფის.  
ერთერთს დასწვდება ალალებდზე უსინათლო მამაკაცი,  
გაიჟღერებს ოდისეის პირველი ბწყარი.

### ბოლოს

მე ვცხოვრობ წყალთან,  
მარტო. ცოლისა და შვილის გარეშე.  
რამდენნაირი გზა მოვსინჯე,  
რომ აქამდე მოვსულიყავი:

დაბალი სახლი ნაცრისფერ წყალთან  
 და ფანჯრები, მუდმივად ღია  
 დამძლეული ზღვისკენ. ჩვენ არ ვირჩევთ ასეთ რამეებს,

მაგრამ ის ვართ, რაც გამოვვდის ჩვენი თავისგან.  
 ჩვენ ვიტანჯებით, წლები მიდიან,  
 ვერევიტ ტკივილს, მაგრამ არა მოთხოვნილებას


ტკივილისა. ხოლო სიყვარული - ქვაა,  
 რომელიც გდია ზღვის ფსკერზე; ზემოთ  
 წყალია, ნაცრისფერი წყალი. უკვე აღარაფერს ვითხოვ

პოეზიისგან, მხოლოდ - სიმართლეს.  
 არც მიტევებას, არც დიდებას, არც განკურნებას.  
 უბრალოდ, როგორც მდუშარე ცოლი,

დამიჯდეს გვერდით და ვუყუროთ ნაცრისფერ ტალღებს.  
 და შემოგვარიყოს ცხოვრებამ ნაგავი,  
 როგორც ზღვამ - ნაპირს.

მე უნდა გავხდე უგრძობელი,  
 დავივიწყო ჩემი ნიჭი. ეს ბევრად მეტია  
 და ბევრად ძნელი, ვიდრე ცხოვრება,

ვიდრე რასაც თვლიან ცხოვრებად.



## სიყვარული სიყვარულის შეგდება

მოვა ის დროც,  
 როცა შენ, ბედნიერი,  
 მიეგებები საკუთარ თავს  
 შენივე სახლის კართან, შენს სარკეში,  
 და თქვენ გაუღიმებთ ერთმანეთს, შემოდი.

დაჯექი, ეტყვიტ ერთმანეთს, ჭამე.  
 და შეიყვარებ ისევ უცხოს, რომელიც შენ ხარ.  
 მიეცი ღვინო. მიეცი პური. დაუბრუნე შენი გული  
 თავისთავს, უცხოს, რომელსაც უყვარდი

მთელი ცხოვრება, შენ კი ყოველთვის  
 ცვლიდი სხვებზე, ვერ ამჩნევდი; მაგრამ მას ესმის.  
 მოაშორე თაროებიდან სასიყვარულო წერილები,

სურათები, სევდიანი ჩანაწერები.  
 ამოხაპე საკუთარი სახე სარკიდან.  
 ჩამოჯექი. იზეიმე შენი თავი, შენი ცხოვრება.

## ზღვის გმინები

ეს იალქანი სინათლეში,  
კუნძულებით გაბეზრებული,  
გემი, რომელიც მიიწევა კარიბის ზღვაში

შინისაკენ, შეიძლება ოდისეოსია,  
რომელიც ისევ ეგეოსის ტალღებს მიაპობს  
ითაკასაკენ. მამა და ქმარი

ზღვის უმწიფარი მტევნების ჩრდილში  
დგას და, აგზნებულს, თოლიების კვილშიც კი  
ნავსიკაეს სახელი ესმის.

ვერ ეღირსება გულს სიმშვიდე. ვერავისას. ის ძველი ომი,  
ვალდებულებას და სურვილებს შორის აღძრული,  
არასოდეს დასრულდება და იგივეა

ყველასათვის, იმისთვისაც, ვინც ჯერ ზღვაშია  
და იმისთვისაც, ვინც ნაპირზე იფურთხავს სანდლებს.  
იგივეა იმ დღის შემდეგ, როდესაც ტროამ

ამოისუნთქა ბოლო ცეცხლი და როცა ზღვაში  
ბრმა გოლიათის ნასროლმა ქვამ აშალა ტალღა,  
უზარმაზარი ტალღა, ჰეკამეტრი.

კლასიკა მხოლოდ გვანუგეშებს.  
ჩვენ ეს არ გვეოფნის.

## შუაგაფხული, ტოპაპო

ფართე ნაპირი, გამთბარი ქვები.


თეთრი სიცხე.  
მწვანე მდინარე.

ზიდი.  
გამომწვარი ყვითელი პალმები

მთველმარე სახლის ფანჯრებიდან  
აკვისტოს ბულში.

დღეები, რომლებიც შემრჩნენ,  
დღეები, რომლებიც დაკარგე,

დღეები, რომლებიც გაიზარდნენ  
ქალიშვილებივით, და ვეღარ ვეზვევი.



## ოჯობი, გულტერიერი

ჩვენ კელოდებით ერთ განსაცდელს,  
 მის მაგიერ მოდის მეორე.  
 ეს არ არის ცუდი ამინდი -  
 მისთვის თადარიგს ვერ დაიჭერ,  
 ხოლო მოუმზადებლობა - ყველაფერია.  
 ქალი, ცხოვრების თანამგზავრი,  
 უახლოესი მეგობარი,  
 ბავშვი შენს ახლოს,  
 ერთგული ძაღლი -  
 ჩვენ ვდარდობთ მათზე,  
 ჩვენ გავყურებთ ზღვას და ვფიქრობთ -  
 ალბათ იწვიმებს.  
 ჩვენ ვემზადებით წვიმისათვის.  
 შენ ვერ ხვდები, რა აქვთ საერთო  
 დასუსტებული მზით ფერშეცვლილ ოლეანდრებს  
 ზღვისპირა ბაღში  
 და ოქროსაგან გაძარცვულ პალმებს.  
 და ვერ ხვდები, რა აქვთ საერთო  
 წვეთს, რომელიც ხელზე დაგეცა  
 და ძაღლის წკმუტუნს.  
 შენ არ გაშინებს ჭეჭა-ქუხილი,  
 რადგან იცი, რომ მზადყოფნა - ყველაფერია.  
 მაგრამ არსება, ფეხებში რომ გებლანდება,  
 ცდილობს გითხრას,  
 რომ დუმილია ყველაფერი,  
 რომ დუმილი უფრო ღრმაა, ვიდრე მზადყოფნა,  
 რომ დუმილი ზღვასავით ღრმაა,  
 ისევე ღრმაა, როგორც მიწა,  
 როგორც სიყვარული.

## დუმილი

უფრო ძლიერია, ვიდრე ქუხილი.  
 რეტდასხმულები, მეტყველების უნარს ვკარგავთ  
 და ვემსგავსებით ცხოველებს, რომლებიც  
 კერასოდეს გამოთქვამენ თავის სიყვარულს  
 ჩვენსავით, ვიდრე  
 სიყვარული არ გახდება გამოუთქმელი,  
 და თუკი მაინც რამით ითქმის, მხოლოდ  
 სლუკუნით, და მხოლოდ  
 ცრემლით,  
 სისველით, თვალებს რომ გვიბინდავს  
 და სიყვარულს არ არქმევს სახელს,  
 და არც იმას, რაც ჩვენ გვიყვარს, არ არქმევს სახელს;  
 დუმილი მკვდრების  
 და დუმილი გულის სიდრემეში ჩამარხული სიყვარულის  
 ერთი დუმილია,  
 და ჩვენ რომელ სიყვარულზეც არ უნდა ვდუმდეთ,



ქალისაზე, ბავშვისაზე, ძაღლისაზე, მეგობრისაზე,  
 ეს მუდამ ერთი სიყვარულია  
 და ყოველთვის ნეტარებაა,  
 და კარგვის შიშით კიდევ უფრო გაუსაძლისი,  
 ნეტარებაა, ნეტარებაა.

**ძალბ**

არ მობეზრდება ცხოვრებას ბასრი ბალახების მიწაში ჩასობა.

აღტაცებული ვარ მსგავსი ძალადობით -  
 სიყვარული მყარია. მშვენიერია

დაუნდობლობა, რომლითაც ერთმანეთს უმასპინძლებიან  
 ურო და გრდემლი. მათ კარგად ესმით  
 ერთმანეთის.

მე შემოდლა გავამართლო ბუნებრივობა  
 მსხვერპლისაკენ გაქცეული ღომისა და გაშეშებული ფურიერემის,  
 გავამართლო შიში მის თვალეში.

მაგრამ ვერასდროს გავუგებ არსებას,  
 რომელიც ცდილობს ისე წეროს ამ ყველაფერზე,  
 თითქოს თვითონ ყოფილიყოს სამყაროს ღერძი.

ინგლისურიდან თარგმნა ზემინალ რატმანმა





მათმა კლასმა ოლინგერის საშუალო სკოლად მონათლული სასწავლებელი 1952 წელს დაამთავრა, სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ძველ სახელს გადაარქმევდნენ. თუმც 2002 წელი უცილობლად ჟღერდა ყოველწლიურ გამოცემათა ნათელხილვებსა და ოხუნჯობებში, მართლა არავის ეჯერა, რომ ასე შორეული მომავალი ანმყოფ იქცეოდა ოდესმე. ისინი ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისანი იყვნენ და 2002 წელი წარმოუდგენლად შორეული ეჩვენებოდათ. ამჟამად დასავლეთ ალთონის რესტორნის ფაიორვენთის წვეულებათა დარბაზში იღხენდნენ, ნახევარი მილით რომ იყო დაშორებული საგრაფოს შესანიშნავ საავადმყოფოს, სადაც ბევრი მათგანი დაბადებულიყო და სადაც ლოგინს მიჯაჭვული იწვა მათი ერთ-ერთი მძიმედ დასწულებული მეგობარი.

დევიდ კერნი თავის მეორე ცოლთან, ანდრეასთან ერთად - რომელიც უკვე კარგა ხანია მისი მეუღლე გახლდათ და, ამ-

## გასეირნება ელიზაინთან ერთად

დენად, არ ეუცხოებოდა ხუთ წელიწადში ერთხელ გამართული თავყრილობები - ავადმყოფი თანაკლასელის, მამი კაუფმანის მოსანახულებლად წავიდა საავადმყოფოში, სადაც ის აგერ უკვე ექვსი კვირა იყო იწვა - ძვლების კიბო ჭირდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა. მამი კაუფმანი მარტო ცხოვრობდა სახლში, რომელიც კარგა ხნის წინ აორთქლებული ქმრის ხელში ორმოცი წლის წინ ეყიდა და სადაც სამი შვილი გაეზარდა მეორე კატეგორიის მასწავლებლის ხელფასის პატრონს. მოკითხვის ბარათებითა და სხვადასხვა თაობის მონაფეთა მხატვრობით გადაჭრელებულიყო ფანჯრის რაფები და კედლები პალატაში; სიცოცხლით სავსე და სტუმართმოყვარე მამის წამონევისა და დაჯდომის თავიც აღარა ჰქონდა.

- რა ზღვა სიყვარულს ველირს! - თქვა მან. - სანამ ეს მოხდებოდა, საკუთარი თავისადმი სიბრალულსა და, უნდა ვალიარო, სიყვარულის ნაკლებობასაც ვგრძნობდი...

ჰოდა, უამბო მათ, როგორ წამოდგა ლოგინიდან, ანაზღად როგორ გაუჟავდა თქმ... რომ ტიკინასავით კუთხეში მიგდებულივით იგრძნო თავი; მერე კი, ხელჯოხით დასწვდა ტელეფონს, რომელიც იღბლად იატაკზე ეგდო. ბოლო ხანებში ხელჯოხს იშველიებდა, რადგან ეგონა, რეგმატოიდული ართრიტი სჭირდა. ჯერ დააპირა, თავისი ქალიშვილისათვის, დოროთისათვის დაერეკა, ორი ქალაქის გადაღმა რომ ცხოვრობდა.

- საკუთარ თავზე ისე ვბრაზობდი, რომ დოთის ტელეფონის ნომერიც ვეღარ გავისენე; არადა ყოველ მეორე დღეს ვურეკავ.

მერე კი ჩემს თავს ვუთხარი: "მამი, ახლა ღამის სამის ნახევარია. შენ დოთის ტელეფონის ნომერი კი არა, ცხრა-ერთი-ერთი გჭირდება. შენ სასწრაფო დახმარება გჭირდება". ისინი ათ წუთში იქ გაჩნდნენ და, რომ იცოდეთ, როგორი გულისხმიერებით მომევიდნენ! ერთ-ერთი მედმუშაკი ჩემი ოცი წლის წინანდელი მონაფე აღმოჩნდა.

- რა კარგია! - წამოიძახა ანდრეამ და გაეცინა. ამ მეტისმეტად მორთულ პალატაში ის ახალგაზრდა, შემართული, უნარიანი და გულმონყაღე ჩანდა; დევიდი ცოლით ამაყობდა. სხვა ტომელებს მოსტაცა, სხვა - არა პენსილვანიის შტატიდან წამოიყვანა.

მამიმ სცადა თავისი განცდები გაეხმო მათთვის.

- დროდადრო, ცოტა არ იყოს თავად უფალზეც კი ვბრაზობ, მაგრამ მერე ჩემი თავის შემრცხვება ხოლმე. ღმერთი იმაზე მეტ განსაცდელს არ მოგივლენს, რომ ვეღარ გაუძლო.

ათეისტურ პენსილვანიაში ხალხი ფილოსოფიურად ეკიდება ცხოვრებასო, - გაუელვა დევიდს. იქ, სადაც ის ამჟამად ცხოვრობდა, შეუვალი ათეიზმი გაბატონებულიყო, რაც ადამიანებს ნადირისათვის ჩვეული უტყვი, ნირწამხდარი შეუპოვრობის განცდის ამარა ტოვებდა.

მამი კი განაგრძობდა:

- შერლი მექლეინის გადაკითხვა გადაწყვიტე; ის ამბობს, რომ ცხოვრება წიგნსა ჰგავს და ადამიანის არჩევანზეა, თუ რომელ თავში აღმოჩნდებიო. თუ ეს ჩემი უკანასკნელი თავია, მაშინ ასე უნდა წავიკითხო; მაგრამ, ხომ იცით, აქ მწოლიარეს ბევრი დრო მაქვს საფიქრლად და...

ფართო, კეთილი პირისახე ბალიშებით გადათეთრებოდა; ლურჯი, წყლიანი თვალები ჯერ წელა, მერე უფრო სწრაფად მოატარა იქაურობას და ყბებს ქვემოდან თითქოს სიმშრალე შეეპარა.

- არა მგონია, ასე იყოს, - ვაუკაცურად დაბოლოვა მან. ბექებზე გაკრულიც კი

მასწავლებელი იყო, თავის მსმენელებზე მეტად ტირობდა და, რჯულზე მეტად განმტკიცებული ჩვეულებისამებრ, გაკვეთილის ჩატარებას აპირებდა.

- სიკვდილის არ მეშინია, - უთხრა მან სტუმრად მოსულ, საზეიმოდ ჩაცმულ-გამოპრანჭულ წყვილს, - გულში ჩამიმარხავს ის, რომ... რომ...

"ჰო, რაა?" - გაიფიქრა დევიდმა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, გაეგო, თუ რა ჩანებრსა მომაკვდავ ქალს გულში, თუმცა იცოდა, რომ დრო წამებს ითვლიდა. ის ახლა ისე იშვიათად ჩნდებოდა ხოლმე აქეთ, ზოგჯერ გზაც ებნეოდა, თუნდაც მარტო ერთი მილი ჰქონოდა გასავლელი. საზეიმო თავყრილობა არ ითმენდა.

- ...რომ კარგად გავხდები, - დაასვენა მამიმ; ოღონდ, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს სტუმრებმა შვებით ამოისუნთქეს, თითქოს ოდნავ იმედგაცრუებულნიც კი დარჩნენ. გაღიზიანებულმა, აწია ხელი, რომელზედაც საავადმყოფოს ხორცისფერი რგოლი და შუნტი ეკეთა, წრე მოხზა.

- ...რომ როცა ის მოვა, მე ისევ იქ ვიქნები. აქ... ხომ ხვდებით, რასაც ვამბობ?

სტუმრად მოსულმა წყვილმა ერთდროულად, სიმწრით დააქნია თავი.

- აქ მოხვედრას ვგულისხმობ, - აღიარა მამიმ. - ვერ ვიტყვი, მოუთმენლად ველი-მეთქი.

- არა, - დაეთანხმა ანდრეა და თავისი ნათელი და ჯანსაღი ღიმილით გაიღიმა. ნაცრისფერი შალის კოსტიუმი ეცვა, რომლის განიერი გადანაკეცების წყალობით ჩვეულებრივზე ფუმფულა ჩანდა.

დევიდი რალაცის თქმას ეშურებოდა და სიტყვებს ეძებდა, მაგრამ მამიზე მოგონებებმოძალბებულს ენა ჩავარდნოდა: საბავშვო ბალი ახსენდებოდა და მრგვალპირისახიანი პატარა გოგონა, მოასფალტებულ სათამაშო მოედანზე რომ მოჰყავდა ასევე მრგვალპირისახიან დედას-

; მერე გულმოდგინე მონაფე ამოუტივტივედა გონებაში, ყველა კითხვაზე პასუხი რომ ჰქონდა გამზადებული, მაგრამ ამ-

ის გამო არც მასწავლებლისა და არც არა-  
ავისთვის თავი არასდროს მოუბეზრებია;  
ყურადღება არასოდეს მოუთხოვია, ოლ-  
ონდ, მასზე თუ მიდგებოდა ჯერი, მზად  
იყო, გაბრწყინებულიყო; ყველანაირი წა-  
მონყების მოთავე და კლასის მდივანი, -  
გოგონა, სიცოცხლის წყარო. სასკოლო  
დადგმებსა და შეკრებებზე მუდამ პატარა  
ონავარი დაიკოს როლს თამაშობდა. დევი-  
დი კი, რატომღაც, სულ ერთთავად მამის  
როლში იყო, თმაზე ტალკისფხვნილდაყრი-  
ლი. ახლა ეს ფხვნილი აღარ სჭირდებოდა,  
- ადრევე გაჭაღარავებულიყო და მერე გა-  
თეთრებულიყო კიდევ დედამისივით.

- ასე რომ, ჩემს თავს ვეუბნები, - გა-  
ნაგრძობდა იგი, - "მამი, გეყო ბუზლუნი.  
მშვენივრად გიცხოვრია, სამი შესანიშნავი  
შვილი გაგიზრდია და ეს ყველაფერი ჯერ  
კიდევ არ დამთავრებულა." დოთმა შემომ-  
თავაზა, ჩვენთან იცხოვრეო, მაგრამ, ამ ყო-  
ფაში ჩავარდნილი, ვერ გავიმეტებ,  
ტვირთად ვერ დავანვები. ჯეიკმაც მითხრა,  
აქ, არიზონაში გადმოდიო. ჰგონია, მშრალ-  
ი ჰავა მომიხდება; მაგრამ რა ვქნა, -  
სარკმლიდან უდაბნოს ვუტყვირო და კონ-  
დიციონერის გამო ფანჯარა ვერ გავაღო?  
სასაცილო ისაა, რომ - ეს ნამდვილად გა-  
გამზიარულებს, დევიდ, შენ მუდამ კვიმატი  
ცნენების პატრონი იყავი - რეაბილიტაციის  
ცენტრში, სადაც მე უნდა გადამიყვანონ,  
ჩემზე ადრე დედაჩემი მოხვდა და ახლა იქ  
იმყოფება. ჩემს განყოფილებაში ასეა, მაგ-  
რამ განა ეს ბედის ირონია არ არის? მთე-  
ლი ჩემი დღე და მოსწრება მისგან ორი  
კვარტლის იქით ვცხოვრობდი, ახლა კი  
ზედ მის ქვედა სართულზე ვიქნები.

მოსწავლეობისას არავის უწინასწარ-  
მეტყველია, რომ 2002 წელს მათ მშო-  
ბელთაგან რომელიმე ცოცხალი იქნებოდა.

- ღმერთო ჩემო, დედაშენი ოთხმოცდაათს  
გადააბიჯებდა, - თქვა დევიდმა.

- და კიდევ, იცი რა... ვინ იფიქრებდა  
ამას, როდესაც, შენც ხომ იცი, როგორ ეწე-  
ოდა! არც სასმელზე ამბობდა უარს შიგა-  
დაშიგ.

- ყოველთვის ძალიან კარგად მექცეოდა.  
უშენოდაც შემძლო მებოდილა თქვენსას  
და მამაჩემს დავლოდებოდი, სანამ სკოლის  
საქმეებს მოითავებდა. ჯინ რამაისაც -  
(ბანქოსაც - მთარგმნ.) ვთამაშობდით ხოლ-  
მე.

- სულ იმას ამბობდა, დევიდი შორს წა-  
ვაო.

დევიდს მოაგონდა მამის დედა სამზარე-  
ულოს მაგიდასთან, ნაქირავე ბინაში გა-  
მოკეტილი მიუსაფარი მდგმურევით რომ  
გაკრთებოდა გვერდით ჩაქროლილი მატა-  
რებლის მგზავრთა თვალწინ და ჩესტერ-  
ფილდის მარკის აბოლებულ სიგარეტს მი-  
ნის საფერფლეში ჩააფერფლებდა, ხელში  
ბანქოს მაროსავით გაშლილი დასტა ეჭი-  
რა და მეორე ხელთან რაღაც შეფერილი  
სითხე ედგა ჭიქით. იდაყვები ჩაცომებოდა  
და ღრმა ღარები გასჩენოდა. დედასაც და  
ქალიშვილსაც ხვეული, წაბლისფერი თმა  
და სავესე, კუთხეებში რკალად აზიდული,  
მეტყველი ბაგეები ჰქონდათ. თუმც ორივე  
დიასახლისი გულითად მასპინძლობას იჩენ-  
და, დევიდს იქაური ავეჯეული მუდამ რო-  
გორლაც თრგუნავდა და თვლემასა გვრი-  
და; ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თით-  
ქოს ყველგან ფარდები ჩამოფარებინათ  
და ირგვლივ წყვედადი გამეფებულიყო.  
სახლი ცალ მხარეს უფანჯრო იყო და მო-  
მიჯნავე სახლისაგან საერთო კედელი  
ჰყოფდა; იქითა მხარის ფანჯრები კი მე-  
ზობლის სულ რაღაც ექვსიოდე ფუტით  
დაშორებული სახლისაკენ მიიქცეოდა. მის-  
ტერ კაუფმანი, ერთი ჩია, უცხვირიპირო  
ფეიქარი, სამსახურიდან შინ დაბრუნებას  
არა ჩქრობდა ხოლმე. მამის შვებასა  
ჰგვრიდა თავისივე გულმხურვალება, კო-  
ლეჯში ნეტარებით ფუსფუსი - გრძელი,  
ნათელი დერეფნები, აწყობილი საქმე, ზა-  
რის რეკვით მონესრიგებული მქვეფარე ახ-  
ალგაზრდული ცხოვრება; შვებას ამაში პო-  
ულობდა. დევიდის მამისა არ იყოს, იქ  
რომ მუშაობდა მასწავლებლად, ამ განიერ,  
კდემით გაჟღენთილ გარემოში თავს შინა-  
ურად გრძნობდა. დევიდის სინაზეს მისდა-

მი არასოდეს გადაულახავს ის ზღვარი, თუნდ უმცირეს სექსობრივ ლტოლვას რომ გულისხმობს.

- სადღაც წასვლაზე არ ჩამოვარდა სიტყვა?

- ჰო, - მკვირცხლად და ძველებური შემართებით გამოეპასუხა მამი. - წასასვლელები ხართ. დევიდ, უსათუოდ უთხარი ერთ-ორი ტკბილი სიტყვა ბეთი ლოუს ამ მორთულობებისა და სამახსოვრო საჩუქრებისათვის. წელში განყდა ამ ზიზილ-პიპილების ძებნაში და, თანაც, ნახე, ფერები როგორ შეუხამებია!

ჩვეულებრივ აუჩქარებელი და გადაპრანჭული ბეტი ლოუ მართლაც რომ წელში გამწყდარიყო. შედეგი სწორედ რომ გამოგნებელი გახლდათ - მოყავისფრო-ჟოლოსფერი და თვალისმომჭრელად ყვითელი გირლიანდები, ყოველი მაგიდის შუაგულში ჩადგმული და მასთან შესამებული ყვავილებით განყობილი ლამაზი რამ ნივთი, ორმოცდაათზე მეტი წლის წინ გადაღებული გადაიდებული ფოტოებით გადაჭედილი

კედლები, საიდანაც იმზირებოდნენ ნანსა ვებიანი და მოკლემარვლიანი სკოლის მონაფეები, მერე კი - ყმანვილები ორფეროვან ტყავის ფესხაცმელებსა და წვრილნაკეც ქვედატანებში, ველვეტის ხალათებსა და ტყავის ჟაკეტებში.. გაქონილი, პომპადურის ყაიდაზე დავარცხნილი, თმაქორჩილი ბიჭების მზერაში განაზებული მუქარა გამოსჭვიოდა; ერთობ მყვირალა ადგილას მოთავსებული სიგარეტის კოლოფი მათი ხალათის ჯიბეს სწორკუთხედის ფორმას აძლევდა, გაუფილტრავი ცალი კი ყურს უკან გაეჩხირათ. გოგონებსაც, სქლად წათხიპნილი პომადითა და აქა-იქ ხელოვნურად გალიავეებული თმით, რალაც ავაზაკური იერი დაჰკრავდათ, თითქოს თავიანთი ამქვეყნიური ხვედრის ხელში მოგდებს ლამობენო.

ახლა კი, თუმც ლამის უკვე მოეჭამათ წუთისოფელი, საზეიმო ოთახში ყაყანი, ხალისიანი სალამ-ქალამი და ძველებური ოსუნჯობა ისმოდა: "ღმერთო ჩემო, რა გონჯიც იყავი, იმადვე დარჩენილხარ! ეს



ვინაა? შენი ძმაცაცია თუ ამოდენა ღიბი დაგდებია?!”

ბეთი ლოუ, რომელსაც, მამის გარეშე დარჩენილს, თავყრილობის მესვეურობა აჰკიდეს, დევიდს მიუხლოვდა, მკლავში ხელი ჩაავლო და პირით თავისკენ მიაბრუნა, - კედელზე დაკიდებული ფოტოსურათების თვალიერებას მოსწყვიტა, რათა კარგად ჩაცმული, ფუმფულა, მაცვალავით შავთვალა და ალაგ-ალაგ ლამაზად შეჭადარავებული, მოკლედ შეჭრილი, მუქი ფერის თმით დამშვენებული მანდილოსნისათვის წარედგინა.

- თუ იცი, ეს ვინ არის? - ჰკითხა ბეთი ლოუმ. დევიდს მაშინათვე ეცნაურა მისი მკვეთრი კილო. იდუმალი ქალის გამოკვეთილ ნაკვთებს რალაც ბუკიოტისეული ელფერი დაჰკრავდა და მკვიდრად მოხაზული, გიშერივით შავი წარბების წყალობით ისეთი იერი დასდებოდა, კაცი იფიქრებდა, იბღვირებო, თუმცა კი იმედიანი ღიმილით იღიმებოდა და უსიტყვოდ ცდილობდა ათნეულულების მიღმიდან დევიდისათვის თავისი ვინაობის გამოსმობას. დევიდს მოაგონდა, დანწყობით სკოლაში ფეხით რომ დაიარებოდა; ბარბარა მოიერი და ლინდა რიკენბაკერი ქუდსა და რეზინის ზოლებიან წიგნების ჩანთას რომ წაგლეჯდნენ ხოლმე; მერედა, რა მარჯვედ უმაღლავდნენ ნადავლს! უმაღლავდნენ, სანამ ცრემლები არ აუწვავდა თვალებს და გაგულისებული სადღაც არ გავარდებოდა; მერე კი გამოუდგებოდნენ გოგოები, უკანვე რომ დაებრუნებინათ მიტაცებული.

და, აი, ახლაც, ისევე გოგოები შეკრულიყვნენ მის წინააღმდეგ. იძაგრებოდა წამები. სამოცდაშვიდი-რვა წლის ჩაპუტკუნებული ქალები ისე დამგვანებოდნენ ერთმანეთს, კაცი იფიქრებდა, ფერი ფერს და მაღლი ღმერთსო. ძველმა გასაჭირმა შეახსენა თავი, - ენა დაება, ერთი გოგოს, ლორეტა ჰოლდემანის, სახელის ამოთქმა რომ დააპირა; თუმცა, ენადაბმულმა, შუა გზაში იაზრა, რომ ეს ლორეტა არ უნდა ყოფილიყო, რადგან მას, ხუთი წლის წინანდელ

შესვენარაზე მოსულს, ფოლადისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა ერთი გაუმჭვირვალე მინით, - ცალი თვალი გაფუჭებული ჰქონდა. ეს ქალი კი, თავისი სუსხიანი და ელვარე მზერით, თითქოს რალაც სასიამოვნოს, სათუთისა და იშვიათის მოლოდინით გაცხებდათ. დევიდი შეეცადა გაეხსენებინა, ვინ უწყალებდა გულს სკოლის ამხანაგების თავყრილობის მოთავეებს იმით, რომ მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში არა და არ ცხადდებოდა ამ შეკრებებზე; ჰოდა, არა იმდენად თავისი მესიერების, რამდენადაც ლოგიკური გამოთვლის წყალობით აღმოხდა მისი სახელი: “Elizanne (ელიზენ - მთარგმნ.)!” ეს სახელი არც ერთს სხვას არა ჰგავდა და, როგორც ოდესღაც ბავშვობაში ესწავლათ, იდუმალებით მოცული “ეი” ბგერა სწორედ ისე უნდა გამოეთქვათ, როგორც გამოთქამდნენ სიტყვაში “Chevrolet” (“შევროლეი“-მთარგმნ.). ასეთ ადათ-წესების მორჩილ საგრაფოში ქალიშვილის ამნაირი სახელით დადაღვა იმას მეტყველებს, რომ დედამისი თვითრჯული ქალი უნდა ყოფილიყო და ეგრე რიგად თავს არავის გაუყადრებდა.

ელიზენმა ნაბიჯი წადაგა საკოცნელად. დევიდმა მისი ლოყა ამოიღო მიზანში, მაგრამ ქალი ისე აფუთფუთდა, რომ კაცი ლამის ტუჩებზე დაეძგერა. “რა კარგია, აქ რომ ხარ!” - ოდნავ შეცბუნებით თქვა მან. ის იმ გოგონების რიცხვს არ ეკუთვნოდა, კაცს თვალს რომ მოჭრიდა, თუმცა, უმეტესობა მათგანზე ლამაზად დაბერებულიყო. პროვინციული ყაიდის, ტანზე მჭიდროდ მომდგარი, ძვირიანი მორუხო აბრეშუმის კაბა ეცვა; ამ სანახაობას კი აგვირგვინებდა მისი მეუღლე - მეტყველებაში სამხრეთულკილოკავშეპარული მაღალი, ხალისიანი მამაკაცი, საქმის კაცი, უკვე გადამდგარი თუ რალაც ამდაგარი. დევიდის წარმოსახვაში ორთავენი უცხოეთში უცნობელი მოგზაურობის, შვილიშვილებზე ზრუნვის, გამაჯანსაღებელ კლუბებში სიარულისა თუ ვიარასა და რკინა-კავეულის რეკლამაში ნაჩვენები წარმოსადეგი ხან-

დაზმული წყვილებისათვის ზედგამოჭრილი საქმიანი ამერიკელი მოცალეობის უზრუნველყოფილი კარიერის დაღმართს დასდგომოდნენ. იგი მიხვდა, რომ ელიზინი შორს წასულიყო; ქალს სახეზე დასთამაშებდა მის სსოვნას შემორჩენილი მორიდებული ღიმილი, მკვირცხლად აქეთ-იქით რომ დაქროდა; სახეზევე ეწერა, რომ საკუთარი ღირსების გრძნობით გამსჭვალულიყო და საზოგადოებაში მყარად მოეკიდებოდა, აი ისე, კაცს თვითმფრინავის ზედა ბუნკერში შეჩურთული ჟაკეტი რომ დაავინყვებდა. დევიდს თუმც კი ეამა მისი ნახვა, სათქმელი ცოტა რამ ჰქონდა მისთვის და, მით უმეტეს, მისი გარუჯული ქმრისათვის, სიტყვებს რომ ტკეპნიდა და, დევიდის ჭკუთი, ყველა იქ მყოფს, უეჭველად, პენსილვანიის შტატში მცხოვრებ ჰოლანდიური წარმომავლობის გლესუჭებად მიიჩნევდა.

საღამო დასასრულს რომ მიუახლოვდა და მათი მეუღლეები ხალხის ტალღაში ჩაიკარგნენ, ქალი მაშინლა მიუცუცქვდა. ჯერ იყო და, კლასის ნაცნობი ჯამბაზი უხეირო მონოლოგით ყველას თავს აწყენდა; მერე კლასის პრეზიდენტი, რომელმაც შესვედრაზე დასწრება ვერ მოახერხა, ელექტრონული ფოსტით მიესალმა იქ შეკრებილთ; ამის შემდეგ ყელში ბურთმონოლილმა ბეთი ლოუმ ხმამაღლა წაიკითხა მამის გულამაჩუყებელი მოკითხვის ბარათი. მიკროფონის გამამძიერებლის წყალობით კიდევ უფრო მკვეთრად მოისმოდა მისი აკანკალებული ხმა. "ჩვენ მხოლოდ საუკეთესო შევისისსლხორცეთ. არავითარი ნარკოტიკები, არავითარი სროლა და ბათქაბუთქი; მარტო მასწავლებლის პატივისცემა და ამერიკის ერთგულება," - იწერებოდა მამი. მერე ან უკვე მოკაკუვლმა და ფხვებდაბრგვილულმა ტყუშმა ფრენქშიოიზერებმა რბილძირა ფხსსაცმელებით შეასრულეს ტანმოვარჯიშის ნომერი, რომელიც ბოლოს გამოსაშვებ საღამოზე წარმოადგინეს. ბეთი ლოუმ მადლობა მოახსენა თავერილობის

ყველა თავკაცს, ბენ ფოჯელმა კი მეორე დღის პიკნიკისათვის მზადების განკარგულება გასცა, თუმცა ამინდის მაუნყებელნი ტელევიზიიდან წვიმას წინასწარმეტყველებდნენ. ამას მოჰყვა ფსიანი გასართობი პროგრამა: მეშუსიკე ქალმა, კლავიშებიან საკრავებზე რომ უკრავდა, ბასის მესაკრავესთან ერთად დაამღერა მავანისათვის - ოლონდ არც მთლად ამ ყაიდის ჯამაათისათვის - სამშობლოს მონატრებით გაჯერებული ძველი სიმღერები. ეს სიმღერები არად მისაწნევი ახირებები გახლდათ, ორმოციან-ორმოცდაათიანი წლების მიჯნაზე რომ გაჩხერილიყო, რაც წინ უსწრებდა იმას, რომ პრესლიმ, დუუ-უოფმა და როკმა ყველაფერი, მანამდე არსებული - სვინგ ბენდი იქნებოდა ეს, ესტრადის მომღერლები, რკინის მასებით თმადახვეული მდედრი ვოკალისტები, ახლებური რიტმები თუ მთვარის შუქით განათებული გულის გამანყალებელნი, რომლებსკენაც კაცი ზოზინითა და ბორძიკ-ბორძიკით თუ გადადგამდა ნაბიჯს - ფანკად აქციეს. არვინ ცეკვავდა. ჯერ კიდევ სუთი წლის წინ ერთმა წყვილმა იცეკვა და სხვები მათ აწყყენენ; ახლა კი - არავინ.

სკოლის ამხანაგები კარისაკენ რომ წაღასლასდნენ - ღმერთმა იცის, რას უქადადა მათ კარსმომდგარი სუთი წელი, - ელიზინი დევიდს მიუახლოვდა, ხელი მხარზე დაადაო და სულმოუთქმელად, შეუპოვარი დაჟინებით ალაპარაკდა, თითქოს თავის თავს ესიტყვებოა.

- დევიდ, - თავისებურად, ნაჩქარევად წაიჩურჩულია მან. - რამდენი წელია, რალაც მინდა გითხრა. შენ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყავი. შენ იყავი პირველი ბიჭი, რომელმაც სახლამდე მიმაცილა და... და მაკოცა.

გაფართოებულ თვალის გუგებს ამ დაბინდულ ოთახში ღამის ჩაცხრო ელვარება მისი ხავერდოვანი, მუქი თაფლისფერი თვალებისა, დევიდის მზერის მოხელთებას რომ ლამობდნენ, რის წყალობითაც ქალს ვარსკვლავებივით ურიცხვი შავი

წამწამებით დამშვენებული ქუთუთოები მალა აუდიოდა. წარბებსაც აღარ იჭმუხნიდა. სახე მიეხლოვებინა მისთვის და ისე დაპატარავებოდა, კაცი იფიქრებდა, აქ სადღაც შორიდან მოჩანსაო. იქნებ, ერთ-ორი ყლუბი სასმელიც გადაეყლურნა, - ფიორვენტის ხომ სწორედ ამ დარბაზს გარეთ გაემართა თავისი ბარი; მაგრამ ქალი ფხიზელი გახლდათ და აღარც კაცი იყო მთვრალი. თავშეყრილი მონიფული ხალხის ყაყანსა და თავაზიან მიკითხვ-მოკითხვაში მას თითქოს მები დასცესო მათი ყმანვილური სიგლახისა თუ ჭქმშიარითი თავისთავადობის შესენებით.

- მახსოვს ის გასეირნება, - თქვა მან; მაგრამ, ახსოვდა კი?!

ელიზინს ოდნავ უსიამოვნოდ, დღევანდელი პროვინციელი დედაკაცისათვის ჩვეული სიცილით ჩაეცინა.

- უნდა გამოვითქვდე, რომ იმან, იმ კოცნამ, გვარიანად დამმუხტა და - სულ ერთია, რა - ბევრი რამ შემძალებინა; თუნდაც, კოცნა.

დევდი შეეცადა თავიდან ამოეგდო ან უკვე გამობრძმედილი, მქირდავი დედაკაცის ხატება. გონებაში ამოუტივტივდა მივინყებული გასეირნება, - მიმქრალ შუქში გახვეული აუჩქარებელი, მოკრძალებული ნაბიჯით ოლინგერი რომ გაიარეს და, მერე, გოგონას მშობლიური სახლის კარებთან კვლავაც ლაპარაკში გართულნი და პირისპირ მდგარნი, ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ. გაახსენდა, როგორ გაინია საკოცნელად და ისიც, იმან მასავით არც მთლად ოსტატურად, მაგრამ მაინც მსურვალე კოცნით რომ უპასუხა. ერთ დროს, წელიწადის რომელიღაც დროს, დევიდს ის უყვარდა. როდის?! რატომ იყო ასე ხანმოკლე ის დრო წელიწადისა?! ნეტავი, ჩამოცვნილ ფოთლებს თუ წაკრავდნენ ხოლმე ფეხს ქალაქში სეირნობისას, ტრამვაის ხაზებით დასერილ ოლთონ ფაიქს რომ მიუყვებოდნენ, ან კიდევ, იმხანად აგურის სახლებით გაკინკინებულ სწორ ქუჩებში რომ დახეტიალობდნენ, მერე კი ელმდია-

ლისაკენ - იმ უზნისაკენ მიიწევდნენ, სადაც დაბრეცილ ხეებსა და სარეველებისაგან განმნდნილ გაზონებზე ეულად მდგარ, ნახევრად ხის მასალისაგან ნაგებ, შიფერით გადახურულ, ძვირადღირებულ სახლებს მოეყარა თავი; დაბოლოს, იმ სახლისაკენ რომ მიემართებოდნენ, სადაც ელიზინი ცხოვრობდა?! იქნებ გაზაფხული იყო მაშინ, უცხო რამ ყვითლითა და მწვანით მორთული და მოკაზმული; ეგებ, ზაფხული - მორიალე მწერებითა და მოკლემარვლიანი გოგონებით; ან იქნებ, ზამთარი, ლოყებს რომ გისუსხავს ბნელში?! დევიდი გააოგნა ქალის ყოვლის მცოდნის იერით, სიცილ-სიცილით გადაკრულმა სიტყვამ, მას მერე სხვებისთვისაც - სხვა ბევრისთვისაც - მიკოცნიაო. შეხვედრის მონანილენი ერთმანეთს ეთხოვებოდნენ და ისეთი გნისი ატყდა, რომ დევიდმა ამის გამო თუ იმიტომ, რომ ყურთასმენა აკლდებოდა, კარგად ვერ გაარჩია, კიდევ რას ეუბნებოდა ქალი; ალბათ, რაღაც ამის მსგავსს: "იმის მეტი თქვენ არც ერთს არაფერი გიტრიალებთ თავშიო." დევიდი გუმანიტ მიხვდა, რომ ამ სავალალოდ იაფფასიანი და გაცვეთილი, გესლიანი ანგლობით ქალმა სიტყვა გადაუკრა მამაკაცურ ავხორცობაზე, რაც იმხანად და იმ ვითარებაში უშველებელი, ვერგამხელილი მამოძრავებელი ძალა იყო და რასაც ბიჭები, უმეტესწილად, მართოდმარტონი უმკლავდებოდნენ. თუმცა ამ ანგლობამ, თავისთავად, რაღაც დროისმიერ ჩარჩოვებში მოაქცია ქალი და ორთავენი უკან დააბრუნა.

- შენ... - ძლივს ამოღერდა კაცმა და სიტყვას დაუნყო ძებნა, - შენ, რაღაცნაირი, ნამით გაჟღენთილი იყავი...

მას თუმც ბევრი რამ დავიწყებოდა, ეს მაინც ნამდვილად ახსოვდა - მხოლოდ მისეული სინოტივის, მისი კანის ამ აუმღვრეველი, ბუნდოვანი ტენიანობის შეგრძნება.

- მიხარია, - დასძინა მან ასაკოვანი კაცისათვის ჩვეული სიმშრალით. - მართლაც კარგი წამოწყება იყო.

ქალმა ნამით თვალი თვალში გაუყარა



ნაღვლიანად. მიხვდა, რომ კაცმა ვერ გამოსახა გულის ნადები, მკლავზე მარჯვენა მოუჭირა და მერე ხელი უშვა.

- მე მარტო ის მინდოდა, გცოდნოდა, - თქვა მან.

ამით ის ეთხოვებოდა, ეთხოვებოდა ორმოცდაათი წლით.

“მოიცა,” - გაიფიქრა დევიდმა, მაგრამ, ამის ნაცვლად, ერთობ ბრძვეულად წამორჩა:

- გმადლობთ, ელიზინ. რა ტკბილი მოსაგონარია. ეი, შესანიშნავად გამოიყურები, განსხვავებით ბევრი ჩვენგანისაგან.

ელტონ მერიოთში, ამ შეხვედრით აფორიაქებულმა ანდრეას გვერდით, ლოგინში, მთელი ღამე იწრიალა; დღე დღეს მისდევდა, დევიდი კი ცდილობდა, კვლავაც მოეხელთებინა ის გასაიწინება, კოცნით რომ დაგვირგვინდა. ელიზინის სახლი და არემიდამო მისსაზე უფრო მდიდრული იყო და ამან შეაცბუნა. ის არ იყო მისი ტოლი და სწორი. ამ ამბებიდან არც თუ დიდი ხნის მერე პირველი ნაღვი შეყვარებული გაიჩინა მომდევნო კლასიდან, რომელსაც, მისივე ნებით, საკინძეს შეუხსნიდა ხოლმე და მკერდზე წაეპოტინებოდა; ავტოსადგომზე დაყენებულ მანქანაში დაგდებული დოლარიანივით სლიკინა იყო ის გოგონა. ნეტავი, რამდენი წლისანი იქნებოდნენ მაშინ ისა და ელიზინი?! თექვსმეტის, ან იქნებ, თხუთმეტის... ეგ როდის იყო - ფეხბურთისა თუ სკოლაში გამართული ცეკვების მერე?! დიდი სილალე არასოდეს მოსდგამდა დევიდს; მერეც - თოთხმეტი წლისა ოჯახთან ერთად პროვინციაში რომ გადმოსახლდა - არ უნავარდია ისე, როგორც მოეპრიანებოდა, ოლინგერის არემიდამოში, თუმცა კი იქაურ სკოლაში განაგრძო სწავლა და მამამისს სულ კუდში დასდევდა.

მოაგონდა, ელიზინი მარშების შემსრულებელ ორკესტრში რომ უკრავდა. თვალწინ დაუდგა გოგონას ფორმის ტანსაცმელი, მისი კვებვე მოქცეული, მარყუჭივით გამონასკვული შავი თმა და სხეული, რო-

გორდაც სულის ამაფორიაქებლად რომ შეყუყუდიყო ოქროსფრად დაზოლილ, მსუყე ყოლოსფერ-მოყავისფრო ჟაკეტსა და შარვალში. მალაღყელიან თეთრ ბუცებსა და მოკლე, ფრიალა ქვედატანებში შემოსილ გოგონებს, სადირიჟორო ჯოხს რომ აქნევდნენ, უკან მოსდევდა მოყავისფრო-ყოლოსფერებში გახვეული ამაღა, რომელშიაც ვერ გაარჩევდი, ვინ გოგო იყო და ვინ - ბიჭი; მათ შორის იყო ელიზინი. რას უკრავდა იგი? ალბათ, კლარნეტს; ან, იქნებ, ეს მისი იერფერის მქრქალი ლანდი იყო? განსხვავებით მათი კლასელი სხვა შავგვრემანი გოგონებისაგან, მუქყავისფრად რომ უბზინავდათ ალაგ-ალაგ შეღებილი კულულები, მას მართლა შავი თმა ჰქონდა, რაც მშვენივრად ეხამებოდა მის წარბ-წამწამებს. მკვეთრად გამოირჩეოდა მისი სახის ქათქათა სითეთრე. ნაზი ბუსუსი ტუჩს ზემოთ ორ პატარა ლაქად დაჩენოდა.

ამ მუქი ფერის ბუსუსების გახსენებაზე, რაც ყველაზე მეტად მაშინ ეცემოდა კაცს თვალში, ზემოდან თუ დახედავდა, ის დღეც ამოუტივტივდა გონებაში, ელიზინთან ჩახუტებული ცეკვა-ცეკვით რომ მისრიალებდა; გრძნობდა, როგორ ელამუნებოდა მისი კორსაჟი, უსამხრეებო თავთის აზღუდი და თავთისავე ზორტები წელზე - პანანკინტელა ნაწიბურებით; აგონდებოდა, თავად როგორ აყოლებდა ფეხს მუსიკას და როგორ მალავდა ილიციებსა და სოლისებრ მხრებს ნაქირავებ საზაფხულო სმოკინგში. ეს ყველაფერი ორთქლ-ნამის უსასრულობას ერწყმოდა. ამასობაში თავზემთ გაკრული ტრანსპარანტები ქვემოთ ჩამოცოცდა, ბურთისებრმა სარკემ თავისი ანარეკლი სრულიად შეუფერხებლად მიმოტყორცნა მთელ იატაკზე, ორკესტრმა კი, რომლის თრომბონებიც უხმოდ ქვითინებდნენ, თავისებურად დააბოლოვა “Stardust” და “Goodnight Irene.” მისი და ელიზინის ლოყები თითქოს ერთმანეთს შესწებებოდა და, მაინც, მუსიკა რომ მიწყდა, ვეღარ ელეოდა დევიდი ქალიშვილს; იგი, თით-

ქოს ეთხოვებაო, კვლავაც ენაფებოდა მას, მისი სახის თითქოს შორეულ, დარბაის-  
ლურ გამომეტყველებას, მის ბუსუსებიან  
ზედა ტუჩს, გულამოჭრილი კაბით ვერდა-  
ფარულ, ნამით გაჟღენთილ არესა და აზ-  
ლუდის თეთრ კიდეებს, ნაზ მკერდს რომ  
გამოკვეთდა.

ნეტავი, რამდენჯერ უცეკვიათ ასე? რა-  
ტომ მეტი არაფერი გამოუვიდათ? რაც თა-  
ვი ახსოვდა, მშვენიერთა სქესის წარმომად-  
გენლები მუდამ ერთობ შთამბეჭდავი შე-  
მართებით უთვალთვალებდნენ, რაშიაც მათ  
მხარს უზამდნენ როგორც დედები და ბე-  
ბები, ასევე მასწავლებლები. სკოლაში მი-  
მავალი ბარბარა და ლინდა თავიდან ქუდს  
მოაშვლიაპედნენ ხოლმე; აგონდებოდა მა-  
გივით მუზმუხელა სხვა თანაკლასელებიც.  
და აი, ეს უაღრესი ქალურობითა და ამ-  
აღლებული იდუმალებით მოსილი არსება,  
ვისთანაც ჭირისა და ლხინის გაზიარება  
მართებდა, დაჰყვა მის უბადრუკ ნებას. თუ  
სწორად ახსოვდა, ელიზინი უსიტყვოდ მი-  
ნებდა მის უნიათო არშეიკობას და შეფა-  
რული, მოკრძალებული ცნობისნადილით  
ელოდა მისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

გასეირნება... სკოლის ამხანაგებთან შეხ-  
ვედრის მერე კვირა კვირას მისდევდა, მაგ-  
რამ ის გასეირნება ვერა და ვერ ამოეგდო  
თავიდან. ლუპაში, ხანდაზმულობის ასაკში  
ყველაფერს დაბრეცილად რომ წარმოაჩენს,  
ის თავისი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნე-  
ლოვანეს ამბად ელანდებოდა. ოლინგერის  
არემიდამო ჩანწულ-ჩახლართულიყო მის  
სულში, მის კუნთებში, ველოსიპედს რომ  
ამართვინებდა და ციგას ათრევინებდა. კვი-  
რაობით, მოსალამოვებულზე, მისი მშობლე-  
ბი სასეირნოდ დიარებოდნენ და ისიც  
კუდში მისდევდა, სანამ ფეხები არ უმტყუ-  
ნებდა. პაპამისი დაბაქალაქის ბრიგადაში  
მუშაობდა, რომელიც ქუჩების განახლებით  
იყო დაკავებული ქალაქის კარის, ფაიკის,  
ჩრდილოეთით. ფაიკის სამხრეთით ძველი  
ქალაქი გაუშენებინათ, სადაც დევიდის ოჯ-  
ახობა სახლობდა ოღროჩოდროქუჩებიან  
უბანში და სადაც აღრეული ხუროთმოძღ-

ვრული სტილი ჭარბობდა, აუთვისებელ  
მიწის ნაკვეთებზე კი ალაგ-ალაგ მარცვლე-  
ული დაეთესათ. მას ფაიკის ჩრდილოეთით  
ნაშენი კორპუსები ერჩინა - ოციან წლებ-  
ში აგებული აგურის ერთფეროვანი, საერ-  
თო კედლის მქონე ორბინიანი სახლები  
სწორკუთხასაყრდენებიანი პარმალებითა და  
წინა მხარეს ტერასებად გამწკრივებული  
კორდებით. მამივით თანშეზრდილი ბევრი  
მისი მეგობარი ცხოვრობდა ასეთ მყუდ-  
როდ მოწყობილ კორპუსებში, რომელთაც  
საბაყლოებიც ჰქონდათ, ძველებური ველო-  
სიპედების მაღაზიაც, სანაყინეცა და სახ-  
ლის წინა მხარეს გამართული სადალაქოც.  
მას ხიბლავდა ეს მკვიდრად ნაგები სახლე-  
ბი, მათი ერთფეროვნება, რაც მონესრავე-  
ბულობისა და მისწრაფებათა თანაზიარო-  
ბის სანინდრად ესახებოდა და რაც ასე  
აკლდა მის ჭრელ უბანს.

ამ უბნის გადაღმა, სადაც შემბული ეტ-  
ლებით შეჯიბრისათვის განკუთვნილი ბი-  
ლიკი ოდესღაც სამოც აკრს მიითვლიდა,  
ომამდელ წლებში მენარდეებმა განმარტო-  
ებით მდგარი, ქვითკირისა და რკინა-აგურ-  
ისაგან ნაგები სახლებით დაამშვენეს  
ახალი ქუჩები, შეიღ ჰილის ფერდობისაკენ  
რომ მიიკლანებოდა. იმ გასეირნებამ  
ელიზინთან ერთად დევიდი, ალბათ, ფაი-  
კის მიდამოებში აშენებული სკოლიდან ან  
მისივე მოედნიდან გამოიტყუა და ორბინი-  
ანი სახლების კორპუსებისაკენ წაიყვანა,  
რომელთა პარმალებს გადმოჰყურებდა  
დროის შესატყვისი დეკორაციებით და-  
სურათებული ფანჯრები: ყოველთა წმიდა-  
თა დღისადმი მიძღვნილი ნარინჯისფერი  
ქალაღდის ნესვები და შავი ფერის ქილაღ-  
დის ლამურები, საშობაო ზიზილ-პილაღები  
თუ სააღდგომო კალათები ქრისტიანული  
კალენდრისადმი მობინადრეთა ერთგულე-  
ბას გამოხატავდნენ. მისი სახლის მიდამო-  
ებში ამოყრილ ცხენწაბლას ხეებს  
მკვიდრად დაგებულ სწორხაზოვან ქუჩე-  
ბში ნორვეგიული ჯიშის ნეკერჩხლის ხის  
ხშირი რიგი ენაცვლებოდა, ხოლო ფერდო-  
ბისაკენ კლაკვით მიმავალ გზებზე მათ

თვალში ხვდებოდა გადმოზნექილი, ბუსუ-სიანი თელა და დაბრყვიულ-გალოპრილი სიკომორო (ლელესუღელი - მთარგმნ.), იქ-აურები ამერიკულ ჭადარს რომ ეხსდნენ. ამ ხეებს უფრო მეტად დაჰკრავდა სილა-ლისა და ჰაეროვნების ელფერი. იმ უბანში, სადაც ელიზინი ცხოვრობდა, მეტი სივრ-ცე და სინათლე იყო, თითქოს მალლობზე აღისარო, და ადიოდი კიდეც, - ოლონდ, ფულისა და სხვაზე ჰაიპარად აღმატების ნახად დაფერდებულ მალლობზე. და მაინც, ხომ აკოცინა?! თანაც, ზედ თავისი სახლის სქლად შემოფიცრულ სადარბაზოს კართან, რომლის ზარიც ორნაირ ხმას გამოსცემდა; ჰოდა, სსოვნა იმ კოცინისა ორმოცდაათ წელზე მეტ ხანს უტარებია და, მისივე სიტყვებით, ის ყოფილა საშივი სქესის სა-ოცრებათა სამყაროსთან მისი ზიარებისა.

მაში თუ მართალია და მარადიული ცხოვრება გვიწერია, იმაზე უკეთესი რალა იქნება, სულ მუდამ, ისევ და ისევ ელიზინთან ერთად ვისეირნო, სანამ ყოველი ჩვენი სიტყვა, ყოველი შეხება - თუმც ღმერთმა იცის, გავებდავ თუ არა მისთვის ხელის ჩაკიდებას, - მხრებზე ჩამოშლილი მისი მშვენიერი შავი თმის ყოველი ღერი ისეთი საცნაური არ შეიქნება, როგორიც მარმარილოს ქვაზე ღრმად ამოკვეთილი თითოეული ასოაო, - ფიქრობდა დევიდი. მას საკმაო დრო ექნებოდა, ყველაფერი გა-მოეკითხა მისთვის, რაც, თავისი მოუზ-რებლობის გამო, სკოლის ამხანაგების ორ-მოცდამეთე შეხვედრაზე ვერ მოახერხა. ნეტავი, ეს მისი პირველი ქმარი იყო თუ ბოლო ქმრების გრძელი რიგიდან? ჰქონია სასიყვარულო ურთიერთობები იმ თავის მონონებულ გარეუბანში? მართლა თუ გა-უჩაღებია ხვევნა-კოცნა, როგორც ყური მოეკრა დევიდს, ფეხბურთიდან უკანა გზა-ზე მისი ორკესტრის ავტობუსით მომა-ვალს? ამ ავტობუსში იყო, კოცნით რომ ვერ ძღებოდა, მერე ხელებს აფათურებდა და, აჭარხლებული, სულს ძლივს რომ იბ-რუნებდა?! ცვისი გულის სწორი იყო ჯერ ყრმობის, მერე კი - ქალიშვილობის წლებ-

ში? ბუნდოვნად ასსოვდა, ლოყებნაცვნილ და სახედამუნუკებულ ღენი ლემერს - ვარსკვლავად აღიარებულ მორბენალს - რომ გადაყროდა, რომელსაც ერთი მილი სუთ წუთში შეეძლო გაერბინა და ხშირი ტალღოვანი თმა ვიტალისით გაეპოხა. აამ-ნაირზე - ან, თუნდაც, იმ უსახურ ორკეს-ტრის წევრებზე - როგორ გაცვალა დევი-დი?! რად გაიყარა დევიდისა და ელიზინის გზები იმ გასეირნების მერე, ოლინგე-რი რომ გაიარეს და უფრო ნათელ უბან-ში ამოყვეს თავი? ან, იქნებ, იმ ღამის მე-რე, ცეკვითა თუ კალათბურთის თამაშით გული რომ იჯერეს და ქალიშვილის თეთრ სახეზე ძალუმად აზიდული წარბები და მკვირცხლი ღიმილი ღამის ბუნდს შეენი-ვა?!

დღე დღეს მისდევდა, ის კი ვერ ელეო-და მის წარმოსახვაში დალეკილ ხატებას, თუმც იცოდა, რომ თავის დროზე ისიც გაქრებოდა. ვერც ვერაფერს მისწერდა ქალს და ვერც შეეხმანებოდა, თუნდაც მი-სამართი ან ტელეფონის ნომერი შეეტყო მამისა ან ბეთი ლოუსაგან, რადგან ისინი გვერდს ვერ აუქცევდნენ თავიან მუულე-ებს და მყარად დამკვიდრებულ რეალობა-სა თუ დადგნილ ზღვარს ვერ გადააბი-ჯებდნენ. მაშინაც, უთუოდ, მათ რალაც უშლიდა ხელს ამ ზღვრის გადალახვაში. განა რა შეეძლო შეეთავაზებინა მისთვის გარდა იმისა, რომ ოდესმე წინ წაიწედა, ეს კი მეტისმეტად შორეულად და ბუნდო-ვნად ესახებოდა. იმ მწვავე კითხვებს, სულ ერთთავად ენის წვერზე რომ ეკიდა, გაც-ვეთილი პასუხები უნდა მოჰყოლოდა. ეს მხოლოდ ყმანვილური გაარშიყება იყო, რომელსაც ნაყოფი არ გამოუღია.

- აი, მოვედით კიდეც.
- ქუჩაში, ის-ის იყო, აენთოთ ნათურები.
- ასე მალე! - წამოიძახა მან. - რა მა-გარი სახლი გქონია!
- დედაჩემს სამზარეულო არ მოსდის თვალში. ასე ამბობს, ეს მუქი ფერის განჯინები მეტისმეტად ჩაჟამულიაო.
- ვესთ ალთონში უნდა გადაბარგება.

- აჰ, არა! არ გადახვიდე, ელიზინ!

- მე სულაც არ მინდა, ლმერთმა ხომ იცის! იმას ჰგონია, რომ ვესთ ალთონში უკეთესი სკოლებია და კლასშიაც უკეთესი ბავშვები იქნებიან.

- დ-დედაჩემმა პროვინციაში გადმოგვიყვანა საცხოვრებლად ჩემდა ჭირად.

- სულ ოლინგერში ხომ არ დარჩები, დევიდ.

- რატომაც არა? ზოგიერთები ხომ ცხოვრობენ.

- მაგრამ შენ არ იცხოვრებ.

გოგონამ დარბაისლური მზერა შეავლო და, ოდნავ წარბშეკრულმა, თვალი თვალში გაუყარა. ბიჭი მოელოდა, რომ შეტრიალდებოდა და სახლში შევიდოდა, მაგრამ ასე არ მოქცეულა.

- სკოლაში უნდა დავბრუნდე. ს-სანყალი მამაჩემი ა-აღბათ მეძებს. უკვე სუთზე მეტი იქნება, - მოჰყვა ასსნა-განმარტებებს დევიდი.

დღის ნათელი ყოველდღიურად კლებულობდა, - ოქტომბრის თვე იდგა. ფოთლებიც ფერს იცვლიდა.

- გულწრფელად მითხარი, - სწრაფად, თითქოს თავისთვის, ჩაილაპარაკა გოგონამ.

- ძალიან ბევრი ვილაპარაკე, ახლა, სეირნობისას?

- არა, ბევრი არა. სულაც არა.

- როდესაც ვინმესთან ერთად ვარ და მოვეშვები, ასე ვიცი ხოლმე; ჩავერთვები და ველარ ვჩერდები.

- არა, არა... სიმღერასავით ჩამესმოდა.

გოგონას, ზუსტად თუ განვსაზღვრავთ, სახე წელანდელზე მეტად არ მიუახლოვებია მისთვის, მაგრამ რაკი არც პირი მიიბრუნა და არც ფეხი მოიცვალა, ბიჭს მეტი სიახლოვის შეგრძნება დაეუფლა. ფრთხილად, ოდნავ გვერდულად დაიხარა მისკენ და აკოცა. ელიზინის თბილმა ბაგეებმა უშფოთველად გაიზიარა მისი ეს გულისტყმა; ოდნავ ჟინიანი კოცნითვე უბასუხა ქვემოდან რალაცის მაძიებელმა. დევიდი თითქოს იმ დინებაში მოქცეულიყო, ყოველდღიურობის საპირისპიროდ რომ მი-

ედინებოდა და სუნთქვა შეეკრა. ჯაჭვი განწყვიტა და განზე გადაგა. ერთმანეთს მიშტერებოდნენ; მაყვალევით ელავედა ქუჩის ნათურების შუქით განათებული მისი შავი თვალები სიკომოროს მოზრდილი, მოყავისფრო ფოთლების სუსტ, მოუსვენარ ჩრდილებში. ერთხელ კიდევ აკოცა და იმ თბილსა და მყუდრო კუნჭულს მიადგა, რომლის ირგვლივაც ბრუნავს მთელი სამყარო ჯერაც უჩინარი აუარება ვარსკვლავითა და ცის კაბადონით, კვლავაც ლურჯფრად რომ დასცქერის ქუჩის ნათურებს. ამჯერად უკან დაიხია გოგონამ. მანქანაში, მათ რომ ჩაუქროლა, ეგებ ნაცნობი, მაბუნღარა ან ენაჭარტალა ვილაც იჯდა.

- და კიდევ რალაცის თქმა მინდოდა, - ჩაიქირქილა მან იმის საჩვენებლად, რომ ან უკვე თავის თავს იგებდა მასხრად.

- მეტყვი კიდევ, - შეჰპირდა სუნთქვა-შეკრული დევიდი. ლოყები უზურდა, როგორც ვარჯიშის შემდეგ. იმაზე დარდობდა, მამამისი რომ ელოდებოდა და, აფორიაქებულს მუცლის გვრემა დაწყებოდა. თავს ისე გრძნობდა, როგორც მამინ, წინა ზაფხულის ერთ კვირადღეს, ჯერსის სანაპიროზე, - ტალღა, რომელიც სერფინგის დროს მის სხეულს მიაქანებდა, მეტისმეტად ნაადრევად უკუიქცეოდა; ცოტაც და, წინ, დაბლა, გამკვრივებულ ქვიშნარში მოიტყორცნიდა.


- მინდა, ყველაფერი გავიგო, - მიაძახა ელიზინს. - დ-დრო ყელამდე გვაქვს...

ინგლისურიდან თარგმნა

რუსულად მახათაძემ



სწილი



# მონანიე ხელოვნება

ხელოვნება მოგვაგონებს მომხიბვლელ ქალს, ერთ დროს უცოდველს ბავშვური სამყაროს უმანკო გარემოში, ოდეს მან არა უწყობდა საკუთარი მშვენიერების, რადგან საუბარი, საქმიანობა თუ შთაბეჭდილება მთლიანად იპყრობდა მის ნორჩ არსებას.

შემდეგ მოვიდა ხანი ვნებისა და თავმონონების, ხანი ცდუნებათა ნეტარი ტყვეობისა. შეიგრძნო რა საკუთარი სილამაზის ძალა, იგი მთელი არსებით მიეცა მის მათრობელ ხიბლს; და იყო: ჩაცმის ბრწყინვალეობა, სამკაულები, მათი მუდმივი განახლება, რათა არ დამცხრალიყო მისდამი თავყვანისცემა, და ბოლოს - ფერუმარილი, ხელოვნური თმა, ჭარბი სურნელი იმ იმედით, სამოცდაათი წლისასაც შერჩენოდა გარდასული მშვენიერების ელვარება.

მაგრამ დროდადრო, ამ ხანგრძლივი დაცემის გზაზე, იღვიძებს მასში მონანიების გრძნობა... იგი ფიქრობს ანმყოს ამაოებასა და სულიერ განახლებაზე. ბუნებრივია, ასეთი ნატიფი მანდილოსნისთვის არ არის იოლი, უარი თქვას ცხოვრების ჩვეულ წესზე; იგი ვალდებულია, თუნდაც იშვიათად, მოიაბიჯოს სადილად ძველი მეგობრები,

დროგამოშვებით გამოჩნდეს ოპერაში. ტრადიცია და გარკვეული მოვალეობანი საზოგადოების მიმართ, რომლის არცერთი წამონწყება არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად მისი მონანიეობის გარეშე, მეტისმეტად ძლიერი დაბრკოლებაა, რათა ეს განახლება იყოს უეცარი, ან კი, საერთოდ შესაძლო. მაგრამ მაინც, დროდადრო, სულის სისპეტაკის ზეობის, გრძნობათა სინრფელის ჟამს, ძალას იკრებს დროგადასული კვლევების ამოების შეგნება, რადგან არის რაღაც სევდისმომგვრელი ან მწუხრისაკენ გადახრილი მნათობის გვიანი სიკაშკაშის უინში - იყოს - კვლავ და კვლავ - ხიბლის ნებიერი, იყოს მისი თვინიერი, თვალისმომჭრელი და თვალწარმტაცია.

ხელოვნებასაც თითქოს დაუდგა ამგვარი, მარხვის სადარი, განწყობის ხანა. რა თქმა უნდა, არა ხელოვნებას მთლიანად: ხომ უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი დანიშნულების სკულპტურები და ოჯახური პორტრეტები, ხომ უნდა აშენდეს საცხოვრებელი კორპუსები, სადგურები, კლუბები, ეკლესიები და ცათამბჯენები. ამ აუცილებელ ნაგებობათა ფორმების აკადემიურობაში ხშირად გამოსჭვივის პროფესიული განსწავლულობის მალაღი დონე და კრიტიკული გამოყენება; ხან კი, თუმცა იშვიათად, იფეთქებს პოეტური განცდა ან გაიეღვებს ეგზოტიკური სილამაზის ანარეკლი. მაგალითად, ბან სარჯენტის მხატვრობაში, ფოტოგრაფიული სიზუსტით აღბეჭდილი მხატვრის სტუდიის ატრიბუტების დოკუმენტურობის მიღმა, იგრძნობა სატირული განზრახვა ან ფილოსოფიური იდეა, ინტერესი მოდელის, მისი ჩაცმულობის სენსუალური თვისებებისადმი; ესაა ველასკესისა და გოიას ტექნიკის ექო, თუმცა კი მოკლებული ცხოვრებისეულ პლასტიკურობას, დრამატული გამოსახვის სიმსუბუქეს და ბუნებრიობას; იგი მოგვაგონებს

ვან დეიკს მორგებულს ედუარდ VII-ის ეპოქაზე; იგრძნობა საბედისწერო ნაკლებობა იმ სიფაქიზისა და დახვეწილობის, რაც ალგამალეზებად ხვედრზე - იყო გვიანი ეპოქის გატაცებათა და ზნეთა უტყუარი სარკე. მაგრამ ინტერესი ტრადიციით კურთხეული, ყოველდღიური ყოფის კაზმულობის ძველი ფასეულობებისადმი კვლავაც არ ცხრება. მას ვხვდებით თავსაბურის ოსტატების თუ მოდური ჩაცმულობის, ავეჯის თუ სამკაულების დიზაინერების საქმიანობაში. მდიდრულობით აღბეჭდილი ეს ხელოვნება შორსაა ცოდვის შეგრძნებისა და, მით უმეტეს, მისი მონანიებისაგან. მაგრამ, რამდენადაც ბიბლიური მართიამ მაგდალელი პოტენციური, ან, შესაძლოა, სავსებით რეალური წმინდანი იყო, ხელოვნებაში გარეგნული ბრწყინვალეობით ჭარბი გატაცება სხვა არაფერია, თუ არა ცოდვითა მონანიების მაღალი ცნების, ანუ იმავე სიყვარულის, ამ შემთხვევაში კი მშვენიერებისადმი სიყვარულის ღალატი. მაგალითად გამოდგებოდა რუსული ბალეტი: ეროტიკულის, ტრაგიკულის, ისტორიულის, დეკორატიულის მძაფრად მოელვარე რადიონირებული ესთეტიკობის ყველა ამ ატრიბუტის მიუხედავად, დროდადრო იგი შეუშინებლად, თითქოს უნებლიეთ, აღმოჩნდება ხოლმე სისადავისა და უბრალოების სტიქიაში და მონანი ხელოვნების არაორაზროვან ფორმებში ეძიებს ხორცშესხმას, მსგავსად წმინდა ფერის თუ კარიკატურის ხელოვნებისა.

წმინდა ფერის კულტა და კარიკატურას მე ვუნოდებ მონანიების გრძნობით შეპყრობილ ხელოვნებას, რადგან მხოლოდ სხვა სანაწილებში იმედგაცრუება აიძულებს არტისტს მიმართოს ამ პირველად ეფექტებს. მხოლოდ ყოველივეს მიმართ, რაც ბუნებრივად აცდუნებს მას, მკაცრი თავშეკავებით აღწევს იგი ერთგვარ სულიერ სიმშვიდეს, რასაც გაცილებით ადვილად შეძლებდა საკუთარი naïveté-ს ხელახალი დაუფლებით და მაშინ საგანთა სენსუალური მომხიბვლელობა თუ ფორმათა კარიკატურულობა არა აბსტრაქტული ხელოვნების მწვერვალად, არამედ მხოლოდ საგანთა აშკარა თვისებების ცხადყოფად აღიქმებოდა; მარიონეტებითა და პანტომიმის ნატიფი შესტებით გატაცება იქნე-

ბოდა წრფელი, ხალასი, მსგავსად თოჯინებში შეყვარებული ბავშვისა, რომელიც ვერცკი ამჩნევს, თუ რაოდენ შორს არიან ისინი რეალობისგან.

მეცხრამეტე საუკუნეში ზოგიერთი რომანტიკოსი მხატვარი, პოეტი თუ ფილოსოფოსი ბეჯითად, გულმოდგინედ ცდილობდა იორდანეს წყლებში სიმხნევის მომგვრელი დაყვინთვით ხელახალ მოქცევას, თუმცა, ამაოდ. მაგრამ თვით სულის უმანკობის აღორძინების ცნება თავისთავში წინააღმდეგობრივია; მრწამსის შეცვლა მხოლოდ გრაციათა არაბუნებრიობას წარმოშობს; ხრწნადი მხოლოდ კვდომის გზის გასრულებით, მხოლოდ სიკვდილისმიერი განახლებით თუ შეძლებს უზრუნველად თავის წარმოჩენას; გასული საუკუნე, შესაბამისად, ან გარდასულის კვლავ მყოფობისკენ მოხმობის, სიძველეთა კულტის საუკუნე იყო - არაფერი რელიგიასა და ხელოვნებაში, გარდა რეტროსპექტულისა! გასული საუკუნე მხოლოდ მატერიალურის, ყოფიერების მხოლოდ საგნობრივი მხარის შექმნებაში იყო პროგრესული. თვით მისი ფილოსოფიური იდეალიზმი და ესტიმოლოგიზმი ამოსავალ წერტილად ისტორიას და შესაბამის ამოცანად ფაქტების აღწუსსვას გულისხმობდნენ - მშრალს, ეგოისტურს, როგორც მხოლოდ შიშველი ფაქტების განსჯა შეიძლება იყოს. რომანტიზმი თვლიდა, რომ იგი განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო შორეულის სულისკვეთების მიმართ, სინამდვილეში მხოლოდ მხატვრული ხედვის მატერიალური ასპექტის, გარეგნულის - კოსტიუმების და მიზანსცენების - მიმართ იყო მგრძნობიარე. ლეგენდები, სიძველენი მასში იწვევდნენ გრძნობათა მოზღვავებას და მას შეშლილის რწმენის შეუვალობით მიაჩნდა, რომ მათი სახით მიაგნო წარსულის სულთან თანაზიარებისთვის უფლებამოსილ მედიუმებს. მაგრამ წარსული არასოდეს ყოფილა განზრახ რომანტიკული; წინაპართა აზრები და გრძნობები უფრო კარგად ესმოდათ მეცხრამეტე საუკუნემდე, ვიდრე შემდგომ; ადრე ისინი მიაჩნდათ ჩვეულებრივ, არსებითად თანამედროვე ადამიანებად, რაც უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს უფლება დავეჭვოთ იმ ვენე-

ბის არაგულწრფელობაში, რომელსაც შეუძლია წარმოშვას ხელოვნურობის, მოჩვენებითის და ზედაპირულის ასეთი სიღრმე. კითხი, რესკინი და ოსკარ უაილდი გამოირჩეოდნენ ქარბი სასიცოცხლო იმპულსით და გამოსატავდნენ, თითოეული, მხოლოდ მისეული, განსწავლულის არაბუნებრივი არქაულობით სიღრმისეულ უსუსურობას, რომლითაც იყვენ შეპყრობილი; თუ კი რამ იყო მათში ქვეშარბიტი სასიცოცხლო იმპულსის მქონე - ეს, პირველ რიგში, ესთეტიკური, მორალური თუ რევოლუციური ინსტინქტი, წმინდა სახით არსებული შელის პიროვნებაში, მათში კი შერყვნილი წარსულთან სიახლოვის, იმპოზანტურობისა თუ რაფინირებულობისადმი თავდავიწყებული მისწრაფებით. მონუსხული მკვდარი სილამაზით, ამავე დროს ფანტაზიის სიმწირის გამო საკუთარ ეპოქაზე ზემოქმედების უნარს მოკლებულნი, რაც მისი ხელახალი მოდელირების წინაპირობა იქნებოდა, ისინი გაურბოდნენ რეალობას და თავშესაფარს უცხო სიამეთა - რელიგიური შეფერილობის, პრიმიტიული უბრალოების, ან პირიქით, ბრწყინვალეების, ხან კი ყველა ამ თვისების ერთდროულად მატარებელი ეგზოტიკური სილამაზით ტკობაში ეძიებდნენ. წარსულის სტილითა რესტავრაცია არქიტექტურასა და ხელოვნების ნაკლებმასშტაბურ სახეობებში, შესაბამისად, აღბეჭდილი იყო ფერადოვნებით, ორნამენტებით და სილამაზით გულწრფელი გატაცებით; ამ დევალირებულმა ბრწყინვალეობამ საშუალო კლასის სნობიზმს მისცა კულტურასთან თანაზიარების შანსი; მას შეეძლო მიერთვა იგი ჩაის ფინჯიდან - დინჯად, თავშექცევით. მაგრამ ყოველი ცალკეული რესტავირებული სტილი თუ მანერა იყო წარმავალი; გაიფანტებოდა თუ არა მორიგი გატაცების სიუცხოვით განპირობებული ხიბლი, იგი მაშინვე იქცეოდა ახირებად. ხელოვნება, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ექვემდებარებოდეს სტილს, რადგან არსებობს მისი ფორმების თავისუფალი ვარიანტების დიდი არჩევანი, მაშინაც კი, როდესაც მათი ძირითადი კონტურები გარკვეული ფუნქციით არიან განსაზღვრული. მაგრამ წარსულისკენ მზირალი ხე-

ლოვნებისთვის სტილი, მანერა ყველგან იგი იქცევა ექსტრავაგანტულ ჩაცმულობად, რომელიც უკმარი მოჩანს თვით სამეჯლისო დარბაზის დამაბრმავებელ სიკაშკაშეშიც და რომელშიც დილით გამოჩენასაც ჩვენ რა თქმა უნდა ვითაკილებდით.

საბედნიეროდ, წარსულის რესტავრაციით გატაცების ხანა წარსულსვე ბარდება; ნანგრევები და მუზეუმები დღეს ანტიკვარებს თუ დააინტერესებთ; ისინი ჩვენში აფორიაქებენ ისტორიული წარმოსახვის უნარს და აქა თუ იქ გვაბრმავებენ დახვეწილი, ძვირფასი თვალის ბრწყინვალეობად ჩამოქნილი სილამაზის გაელვებით; მაგრამ მათ არ ძალუძთ შთაბერონ ცუცხლი ჩვენს შთაგონებას; პლასტიკურ ხელოვნებაში, პოეზიაში თუ არ იქცეით ბავშვად, ვერ შეაღებთ ციური სამეფოს კარს. სწორედ ასეთ პატარა ბავშვად გადაქცევას ლამობს დღევანდელი მხატვარი თუ პოეტი შესაშური გულმოდგინებით: პატარა ბავშვად, რომელიც საყვირის ჩაბერვის ნაცვლად შემთხვევით მთელ ორკესტრს აუღერებს, თუმცა კი წმინდა ბავშვური მიამიტობით. ან იმ პანიად, რომელსაც ცარციით გეომეტრიული ფიგურის ჯღაბნის ნაცვლად შეუცლია ჯღაბნის სინათლის სპექტრის ელამად მზირალ ირიბი განიკვეთი ან კომმარული ზმანების შინაგანი სტრუქტურა ღია მოტენილობის მრავალსიბრტყოვან რაკურსში. ასეთია კუბიზმი: არამც და არამც გაუნაფავი ან უაზრო - ვიდრე შეძლებდეთ ქაოსის, უფორმოს გაფორმებას, ლოგოსისათვის მიუწვდომელის ფერებში ხორცშესხმას, უნდა გამოიჩუმაოთ სასტიკი თავშეკავება აღქმის ყოველდღიური ჩვევებისაგან, უნდა შეროიკულად დათრგუნოთ გონება, შედეგად - თუ მონანიება სავსებით გულწრფელია - მომზიბგლელობა სიღრმის და მაღალფარდოვანება ბუნდოვანების; პიროვნების მთლიანობა იმსხვერვა და თქვენ აღიქვამთ იმას, რასაც ალბათ აღიქვამდა ხერხემალი მისი ლოკალური ცნობიერების არსებობისას, ან ხედავთ იმას, რასაც დანახავდა თვალის ბედურა, შესაძლებელი რომ იყოს ტვინისაგან მისი უმტიკივეულოდ მოკვეთა - სინათლის ანარეკლებს, აბსტრაქტულ სტრუქტურებს, მოძრაობის წამიერ მინიშნებებს; რემინის-

ცენციებს ერთმანეთში შერწყმულს, ჰიპნოზურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის შეგრძნებებს ვეგეტატიურ ან თვით მინერალურ დონეზე, მათ ჰარმონიას; თქვენ იქცევით უთვალავ ურთიერთამრეკლავ პრიზმად და სარკედ. ესაა ესთეტიკურ ცოდვათა მონანიების ერთი სახე. ამო იყო, ამო, ეუბნება იგი თავის თავს, საგანთა გამოსახვის თუ მათი მშვენიერებად გარდასახვის ცდა; დე იყენენ საგნები თავისთვის, ან კი რა უნდა უთხრან მათ ხელოვანს? ბუნების ჰარმონიული იდენობა მხოლოდ არსებობისათვის ბრძოლის, ურთიერთგანადგურების საბედისწერო დრამის არტისტული ნიღაბია. სტიქიის, ბუნებისეული სიცოცხლის მძლავრ ფეთქვას ხელოვნება ვერ გაუწევს მეტოქეობას, ოღონდ რეალობის მომხივლელობა მაცდურია და დამლუპველი, რადგან მისი სინამდვილის დამატყვევებელი სილაბაზე იმავდროულად დაუნდობელია და სასტიკი - აქ მეფობენ განგება და ნაშეირნი მისინი: ბოროტება, ქაოსი, ამაოება; რა უნდა ჰპოვოს აქ ადამიანის სულმა? დე მან აღიაროს საკუთარი უსუსურობა ამ სფეროში, საერთოდ ხელი აიღოს ხილულის გაცნობიერებასა და საგნებად აღქმული რეალობის აღბეჭდვაზე; დე თასის შიდა ზედაპირის ბზინვარებად განმნდის ნაცვლად განწმინდოს საკუთარი მგრძნობელობა - განა სწორედ მის ჯადოსნურ პრიზმაში გარდატეხილი არ გარდაისახება ბუნების იდუმალება ცისარტყელას ფერთა მშვენიერებად? იქნებ სწორედ ამ გზაზე შეძლოს სულმა მშვენიერების ოქროს წმინდა შენადნობი გამოათავისუფლოს მატერიალური ფორმების, გარე სამყაროს მოვლენების, ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლების თუ ზნეობრიობის უცხო მინარევებისგან, დიდი ხნის მანძილზე რომ იმონებდნენ გზაცდენილ ხელოვანს, ოდეს მას ძალუქდა მთელი სამყაროს გამოსახვა, ოღონდ სულის თვითმყოფადობის საფასურად. მაგრამ რაა გარე სამყარო, თუ არა ჩვენში მთვლემარე შემოქმედ ძალთა უმოქმედობის ძილისგან გამოფხიზლების საბაბი და მხოლოდ ჩვენ შეგრძნებათა თამაშით სხივფენილი იძენს იგი მნიშვნელობას. სწორედ საგნებით ავბედითმა ცდუნებამ მოაქცია ადამიანის მგრძნობელობა

მათ ტყვეობაში, დააბლაგვა და გადაავარა იგი: *ხსნა გამოსახვის საშუალებების საგანთა ტირანული ბატონობისგან ემანსიპაციაში!*

მხატვრული სახის სრული უარყოფა, ან მისი დაკნინება - აი, მონანიე ხელოვნების ერთი სახე. მაგრამ არსებობს სხვაც, აღსავსე თვითგვემით და, - კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი. იგი არ ცდილობს წინ აღუდგეს საგანთა შემეცნებისა და მათი რეპროდუქციის შინაგან იმპულსს და არ თვლის ქედმაღლურად, რომ გამოსახვის საშუალებები, ეს ადამიანური ნვლილი მხატვრული აზროვნების ევოლუციაში, შეიძლება თავისთავად ღირებულებას წარმოადგენდეს. პირიქით, შეგრძნებათა გამოსახვის საორკესტრო პალიტრაში რუდიმენტულობას ჯერადება - თიხაში თუ ხეზე მუშაობს და ატარებს შინაური წარმოების სამოსელს, იგი - აღსავსე გრძნობით, ინფანტილური სინაზით, მონუსხული შეჰყურებს ყოფიერების უნატიფეს მიმოხრას, ხარბად ენაფება მის ყოველ ამოსუნთქვას, რათა მთელი არსებით შეერწყას მას. იგი აღფრთოვანებულია პიროვნებებით, ცხოველებით. ამავე დროს, ბანალურობამდე ცხადი რეალისტური პოეზიის თუ ნატურალისტური მხატვრობის შემდგომი ხვედრით დაშინებული, პორტრეტულ მხატვრობაში ვერ ბედავს ვერაფერს, გარდა ღრმააზროვანი მინიშნებისა - მხოლოდ ზოგადი გრაფიკული ნიშანი, მხოლოდ საფუძვლიანი კარიკატურა. ნუ იქნები რიტორიკული, ამბობს იგი, ნუ ეცდები იყო ამომწურავი, ყოვლისმომცველი და მომავლზრეველი. სათქმელი შეიძლება ითქვას ერთმარცვლიანი სიტყვებითაც. დააკვირდი დიდხანს, თქვი მოკლედ. არა მატერიალურის სისრულედ და დეტალურობის ყოვლისმომცველობად, არამედ ზოგადობის სისადავედ, ისე როგორც ბავშვი სცნობს დედას, ძიძას ან საყვარელ ძაღლს, მკვიდრდება საგანთა ხატი სულის საუფლოში. ჩანასახობრივი ფორმების სიხალასე, მსუბუქი მოსასხამით შესუდრული ხმები ეუფლებიან ადამიანის სულს ცხადშიც, სიზმარშიც. ურჩხულები და ჯუჯები იყენენ პირველი ღმერთები; ნახევარი, ამბობს ბერძნული ანდაზა, მთელის უმჯობესია. არა ცხადად ნათქვამი - ნაგულისხმევია მხოლოდ



ღირებული; არაფერია აბსტრაქტულ პოზაზე, უძრავ, იზოლირებულ შესტზე მჭევრმეტყველი. ხელოვნებამ უარი უნდა თქვას გამოსახვის სიცხადეზე და იქცეს მინიშნებად, და თუ ეს კარიკატურულობით იმუქრება, იცოდეთ ღრმაზროვანი ხელოვნება არც შეიძლება სხვა რამ იყოს. თუკი ადამიანები, სწორი რაკურსით დანახულნი, ცხოველების ან მარიონეტების სახეს ღებულობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თავისი არსით ცხოველები და მარიონეტები არიან. თუმცა, აუცილებელი არაა კარიკატურამ დაკარგოს თავაზიანობა, იგი შეიძლება სიფაქიზის ან ამალღებულის მატარებელიც კი იყოს.

დეფორმაციას, უბრალო აქცენტს, უკიდურეს გამარტივებას შეუძლია წარმოაჩინოს სული, მანამდე რიტორიკითა თუ თავმოწონე ეგოიზმით ყალბ რაციონალიზმში მიჩქმალული. აბსურდულობა ჭეშმარიტების სიშიშვლეა, გასულდგმულებული ფაქტის, მოვლენის თავისთავადობის თრთოლვა-ვედრება - სურვილი მყოფობისა, ფორმად სრულქმნას რომ უსწრებს წინ. ასე იმზირება წინილა, ჯერ კიდევ შეუშოსავი, მეტყველი თავის პირველყოფილ სიშიშვლეში, ახლად გატყინილი კვერცხის ნაჭუჭიდან. ტრადიციულობის პომპეზური სამოსელი მხოლოდ ჩრდილავდა არსს - ჩამოიშორეთ იგი! ერთდეთ თქვენი მხატვრული სახის ტოპოგრაფირებას; შექმენით მისი თანამეწყვილე; არა ღმერთების სრულქმნილება, არამედ კერპების ნაკულუობა; არა ცხადის სიმყარე, არამედ გარდამავალის გრადაციები. იყავით: ემფატური, გამომწვევი, ძუნწი ჩანაფიქრის გაშიფვრისას; *ხსნა კარიკატურაში!*

ზოგიერთი კრიტიკოსი, წარსულს ესოდენ მიჯაჭვული, ესთეტიკური მონანიების ამ სახეობაში პირველყოფილი, ველური ადამიანის ხელოვნების ალორძინებას ხედავს, მაგრამ წარსულში სრულიად სხვა განზრახვა ამოძრავებდა ადამიანს. იგი არასოდეს ცდილა ყოფილიყო პრიმიტიული, არასოდეს მიმართავდა ექსპერიმენტებს ფორმათა დამახინჯებასა თუ მათ გამარტივებაში და კიდევ უფრო ნაკლებად ესწრაფვოდა საგანთა მხატვრული სახის თვითნებურ დაკნინებას ან სრულ უგულვებლყოფას გამოსახვის საშუა-

ლებების გამძაფრების მიზნით. ის უბრალოდ ხატავდა როგორც შეიძლო. ჩვენ ამ მხრივ გაცილებით შორს წავედით. მონანი ხელოვნება, რაც უნდა ბავშვური მოჩანდეს დროდადრო, რაფინირებული, მეტისმეტად რაფინირებული მოვლენაა - არა იმდენად ტლანქი და არაკომპეტენტური, რამდენადაც ასკეტური და ავადმყოფური, და ხანდახან ვულგარულიც, რადგან კარიკატურისა და თვითმხილების ერთ-ერთი ფორმა მოითხოვს იყო სასტიკი, თავი მოიწონო ალოგიკური შტრინხით, რომელიც თავისი შესუბამობით აკინებს ჩანაფიქრს. ტრაგედია ერთ დროს იყო კეთილშობილი, დღეს კი ითვლება განსაკუთრებულ სინატიფედ იმის ხშირი ხაზგასმა თუ რაოდენ მდაბალია იგი. და ამაშია ტრაგედიის კიდევ ერთი მიზეზი. ის, რაც ერთი შეხედვით ხელოვნების სავალალო დეგრადაციად გვეჩვენება, შესაძლოა სწორედ ამ თვითგვემის გრძნობის გამოვლიძება წარმოადგენდეს. შეხედეთ რა საზარელი ვარ, გაჰყვირის იგი, რა სასტიკი, რა ვულგარული, რა ხეიბარი! ჩვენამდე მოაღწიეს რომის იმპერიის გვიანდელი პერიოდის ფერწერამ და სკულპტურებმა, რაღაცით რომ მოგვაგონებენ უახლესი დროის ექსპერიმენტებს. დეკორატიული ბრწყინვალება - ერთ დროს ასეთი ხაზგასმული - გამქრალია; გაქრნენ მონახტული მარმარილოს ქანდაკებები, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი, მდიდრული ქარგულობა, ბარბაროს ტომთა საომარი აღჭურვილობა, იშვიათი სილამაზის თვლები; მათ ნაცვლად - დღენაკლული, ჩამომტყნარი და მალაღფარდოვანი ფიგურების სიჭარბე. ითქვას სულს არღარავდ უღირს ადამიანურ თვედებად და მისწრაფებებდ განსხვავლების სისხარული - მან მთლიანად მიჩქმალა ადამიანი იერატიკულ სამოსელში ან კიდევ სიბრაველით განმსჭვალული თანაგრძნობით მოგვითხრობდა ამბავს - მისი ბედკრული მოდგმის ტანჯვა-ვაგებისა. იგი იქცა პონტიფიკოსის ბრწყინვალებით შემკულ გვადად. რა თქმა უნდა, ჩვენც მოკვდავნი ვართ, მაგრამ ბუნებაში ერთი, კერძო არსების სიკვდილი ნიშნავს მეორის არსებობის დასაბამს. პიზანტიურ ეპოქაში წმინდანთა სასუფეველის შემკობის ნაცვლად ჩვენი ეპოქის სული

ვანი ცოდვებს სულიერ უდაბნოში ინანიებს, სადაც თავდავიწყებით მისცემია საკუთარი შეგრძნებების ანალიზს, სინათლის თუ ბგერის აბსოლუტური ბუნების წვდომას. მაგრამ რადგან კარგა ხანია რაც მუსიკა პოეზიას გაემიჯნა, ინსტრუმენტული მუსიკა კი ვოკალურს, დღეს მდიდრული, მაგრამ მჭახე ყლერადობის ხელოვნება ემიჯნება ყველას და ყველაფერს საკუთარი გამოსახვის საშუალებების გარდა. ეს, რაც შეეხება დეკორატიულ საწყისს, ხოლო რაც შეეხება საგანთა გამოსახვას, თვითშეზღუდვის იგივე ტენდენცია აქ სხვა დონეზე ვლინდება. გამომსახველობასაც აქვს თავისი წანამძღვრები ადამიანის ფსიქიკაში. ფანტაზია მონოდებულისა შექმნას მხატვრული სახეები, რომლებიც საგანთა მხილველისა თუ გამომსახველის ცნობიერებაში აღიბეჭდებიან როგორც საგანთა ფორმები. ისინი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენენ საგანთა ფორმებს; არათუ მათი პერსპექტივა ყალიბდება აღმქმელის გონებაში, არამედ მათი ხასიათიც - განხილული მიუყვრიძობლად - საოცრად წამიერია, არამდგრადი, ფანტასტიკური - ოდენ ზმანება, ოდენ ქარაგმა, ოდენ სიმბოლო. როგორადაც ჩვენ ვთვლით, მივიჩნევთ საგნებს, ეს, უპირველესად ყოვლისა, ზოგადი წარმოდგენებია, თავმოყრილი ჩვენს მესხიერებასა და ენაში, როგორც შედეგი ხანგრძლივი, უწყვეტი დაკვირვებისა, ესაა დისკურსიული შემეცნება, შესაძლოა ყველაზე ზუსტად აღბეჭდილი სწორედ დისკურსიულ მხატვრობაში. მაგრამ რამდენადაც ტოტალური კომპოზიცია არასოდეს ყოფილა და ვერც იქნება მხატვრული სახე, მისი ნაწილები მით უფრო ვერ იქნება მთლიანობის და სიცოცხლისუნარიანობის მატარებელი. ახალი, ვინრო საზღვრებით ბორკილდებულნი, ისინი კარგავენ თავიანთი პირველყოფილი არსის დად წაწილს. მართალია, ჩვენ ვახერხებთ დანახულ საგანთა ხატვას, მაგრამ ხელიდან გვისხლტება მხატვრული სახეები, რომელთა მეშვეობითაც აღვიქვამთ საგნებს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია თუ მხატვრული სახეები და არა საგნები გვანტიერესებს, დავხატოთ რაიმე ისეთი, რომელსაც ოპტიკის ოკულტური ფანდით შეუძლია გააცოცხლოს მხატვ-

რული სახე რაიმე სპეციფიკური შტრიხით. ასეთი ნახატი, განხილული დისკურსიულად, შესაძლოა სულაც არ მოგვაგონებდეს საგანს, მაგრამ მას მინც ძალუქს, თითქოს უხილავი სურნელით, გადმოსცეს შეგრძნება, საგანთა თავდაპირველმა ხილვამ რომ აღძრა ჩვენში და მაშინ შეიძლება ითქვას, რომ *გადმოცემულია ობიექტის არსი*. სწორედ გამოსახვის საშუალებები აცოცხლებენ ობიექტს და იმავდროულად თითქოს ბუნდოვანების ბურუსით მოსავენ მას. ეს უკანასკნელი, რამდენადაც მათი მეშვეობით ახდენენ საგნები ჩვენზე ზემოქმედებას, გრძნობადი ბუნებისა არიან, და თან, რამდენადაც ისინი განსაზღვრავენ ჩვენს მიერ საგანთა აღქმის რაობას, სულიერი ბუნებისანიც. რაც უფრო იცვლიან სახეს საგნები მათი ჭვრეტის პროცესში, მით უფრო სპირიტუალიზებულ ხასიათს იძენენ და მით უფრო ადვილად გარდავქმნით მათ ჩვენი გრძნობადი აღქმის ფორმებად, მივიჩნევთ რა ჩვენში წარმოქმნილ ცოცხალ მხატვრულ სახეს ობიექტის დრამატული არსის გამოსახულებად. ამ ილუზიის კორექტირება მეცნიერების საქმეა; ხოლო მონანიების გრძნობით შეპყრობილი ხელოვანი, რომელმაც თავშესაფარი სულის სფეროში ჰპოვა და აღარ ცდილობს არსის წვდომის უნარი აზრის სიცხადედ წარმოაჩინოს, რადგან საგანთა დისკურსიული გამოსახვა აღმოწინა გამომფიტავი, უნაყოფო ამბიცია - თანამედროვე ხელოვანი ჯერდება წმინდა რითმულ კომბინაციებს, ხილულის თუ ყლერადის ანარეკლებს, სხივთა ციმციმს და, ვითარცა ექოთა და ანარეკლთა ეს თამაში დღესაც არ ცხრება, პოემა რჩება მოთქმად, მოთხრობა სიზმრად, შენობა წამიერის გაეღვებად, ხოლო პორტრეტი კარიკატურად.

ინგლისურიდან თარგმნა  
თამაშრაჟ ხანციბაძე





<http://www.opentext.ge/arili>

წაას HERE



hp 20/1



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ԲՆԱԿԱՆ

2007